

ი ა ნ ვ ა რ ი

✓ R(05)37

8-20

1914 წ.



570000000506

33304

48975

305



2

შინაარსი: 1) რედაქციისაგან. 2) სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი. კრიტიკული ეტიუდი (ტაგორძელება) — იპ. ვართაგანვა. 3) ცოტა რამ ძველი ფილოსოფიის ისტორიიდან — შელეუთის ნატურ-ფილოსოფია არ. ჯაჯანაშვილი. 4) საზოგადოებრივი აზრები მე-XIX საუკუნის სიტუა-კაზმულ მწერლობაში — ს. დადიანი. 5) ზელებენკევიჩი — შთაგონება და მისი მნიშვნელობა ჰედაგოგიკაში ლ. ბოცვაძე. 6) აჩრდილნი (პოემა) გელა. 7) შინაური მიმოხილვა — ქართული ენა სოხუმის ოლქის სკოლებში — პ. ჭია. 8) მოწერილი ამბები — ბ.ნი ტერ-გაბაშანიანი და გადაგვარებული მასწავლებლები (წერილი გურიიდან) — მასწავლებელი. 9) რუსეთი. ფურცელი კიევიდან — პროფესორ მარის პატივისცემა დ. თ. 10) მასწავლებელთა კრებები ჰეტერბურგში. 11) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. პროფ. როსკო ქიშია — თარგმანი ვ. ვრცხილავის მიერ, გამოცემა მორე, თბილისი 1907 წ. ილ. ალხაზიშვილი.

დამატება: ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა: სარევიზიო კომისიის მოხსენება; ჰასუნი გამგეობის საზოგადო კრებისადმი სარევიზიო კომისიის მოხსენებაზე. ჩემები საზოგადო კრებისა.

მიიღება ხელის მოწერა საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ბატუმის გაზეთი“

(წელიწადი მეოთხე)

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ. ერთი წლით 3 მან. ნახევარი წლით 1 მ. 50 კ. 3 თვით 75 კ. ერთი თვით 25 კ. აღრესის გამოცვლა 20 კაპ.

წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ პრემიას ექვსს წიგნს

1) ერთ-ერთ ახალგაზდა მგონის ლექსების კრებულს, ავტორის ბიოგრაფიით და სურათით. 2) ერთ-ერთ ახალგაზდა ბელეტრისტის მოთხრობათა კრებულს და დანარჩენსაც სხვა და სხვა ღირსეულ წიგნებს.

ფოსტის აღრესი: Батумъ, Шереметьвская ул. д. Барона-Фитингофа, № 18
 Редакция Газ. „Батумсь Газети“.

გამართულია ხელის მოწერა 1914 წლის

„ხ მ ა კ ა ხ ე თ ი ს ა“ - სე

(წელიწადი მესამე)

1914 წელს გაზეთი გამოვა კვირაში ორჯერ, ხუთშაბათობით და კვირაობით. გაზეთის ფასი: ერთი წლით 3 მან. 50 კ., ნახევარი წლით 1 მან. 80 კ., ერთი თვით 1 მან. 40 კ. სიღნაღში და სოფლებში: ერთი წლით 2 მან. 50 კ. ნახევარი წლით 1 მან. 30 კაპ. ერთი თვით 1 მან. 25 კაპ. ცალკე ნომერი უფლებან 3 კაპ.

გაზეთის გამომწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

მისამართი: გ. Сигнахъ К. I. Ткавадзе.

განათლება

(წელიწადი მეშვიდე)

I	ი ა ნ ვ ა რ ი	1914 წ.
ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან. ნახევარი წლით . . . 3 მან. სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მან.	ცალკე ნომ- რის ფასი 40 კაპ.	ხელის მოწერა მიიღება თფლისში - წერა- კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად- რესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

რედაქციისაგან

მეშვიდე წელიწადში გადადგა ჩვენი ჟურნალი. დღევანდელს პირობებში, როცა მრავალი დაბრკოლება ეღობება წინ ჟურნალის არსებობას, თვითური ჟურნალის წარმოება ცენტის მეტად საძნელო საქმე. მაგრამ საქმის იდეურმა მხარემ ბევრი რამ გაგვაბედვინა, მრავალი დაბრკოლება, უფრო ნივთიერი კიდევ წინ გვიძღვის, მაგრამ რაკი იდეურად მაინც ჟურნალი იმარჯვებს, რაკი მკითხველთა და თანამგრძობთა რიცხვი თან და თან მატულობს, ჩვენც უშიშრად ვეგებებით მეშვიდე წელს და ვეცდებით, რომ ჩვენი მკითხველები ამ 1914 წელსაც უკმაყოფილონი არ დარჩნენ.

ჟურნალ „განათლებამ“ თავისი არსებობის კვალი ცოტად თუ ბევრად ჩვენს ცხოვრებას უკვე დაამჩნია. ჟურნალის გარშემო თან და თან იკრიბებიან უფრო სახალხო მასწავლებლები, რომელთა ხელშიაც არის ჩვენი ეროვნების ბურჯის გლეხთა მოზარდ თაობის სწავლალზრდის ბედი. სახალხო მასწავლებლებში თვით შეგნების და თავიანთი მძიმე მოვალეობის ღირსეულად ასრულების აზრის შეტანა და დახმარება ერთი მთავარ მიზანთაგანია „განათლებისა“. იგი გულმოდგინეთ ემსახურებოდა ამ მიზანს, უდიერად ჰკიცხავდა და ჰგმობდა გადაგვარებულ—სულით დაბეჩავებულ მასწავლებლებს, რომელთა

მიზანს ტერ-გასპარიანცების ქება-დიდება, თავისი კერძო ინტერესებისადმი სამსახური და ქვეყნის დალატი შეადგენდა; ჟურნალი იწვევდა მასწავლებლებს შეერთებულის ძაღლონით მოქმედებისაკენ, ქვეყნის სასარგებლოდ მუშაობისკენ და ანგარიშის გასაწევად იმათთან, ვინც სწავლა-აღზრდის წმინდა საქმეში საპოლიტიკო იარაღით შეიჭრებოდა. „განათლებას“ თავისი სხივი განათლებისა ოჯახშიც შექჷონდა და შეძლების დაგვარად აღვივებდა მშობლიურს კერას, ურჩევდა ყველას ეროვნული განათლების საჭიროებას და ტკბილი დედაენის დაცვას ოჯახში და სკოლებში. მკრთალია ჯერჯერობით ეს სხივი, მაგრამ ნიადაგი იგი უკვე ჰპოულობს და საუკეთესო მერმისის იმედს გულში გვისახავს.

ბეჩავი და საცოდავია ის ერი, რომელიც არ ცდილობს და არ ეწაფება მშობლიურის ენით მეცნიერების შეთვისებას. რაც უნდა კარგად იცოდეს კაცმა უცხო ენა, დედაენაზე უახლოესი გულთან და სულთან სხვა ენა არ იქნება და არც უცხო ენაზე შეძენილი ცოდნა ისეთი მტკიცე და საფუძვლიანი არ იქნება, როგორც დედა ენაზე, რომელიც ყოველთვის ღრმა აზრსა და კვალს სტოვებს ადამიანში. და მართალიც არის პოეტის სიტყვები: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების საშვილიშვილოდ გადაიცემისო“. ამა თუ იმ მეცნიერების გავრცელება მშობლიური ენის საშუალებებით ერის მთელს სულიერს სიმდიდრეს შეადგენს, რომელიც

მემკვიდრეობით გადაეცემა შთამომავლობას. ჩვენში, სამწუხაროდ, ბევრი არ ცდილობს, რომ მეცნიერებამ მართლა მკვიდრი ნიადაგი მოიპოვოს ხალხში; ვისაც საყველბურო რუსული უსწავლია, ისიც კი რუსულად დაწერილს სამეცნიერო წიგნებს არჩევს; უფრო განათლებულნი ხომ ჭირივით გაურბიან ქართულად დაწერილს სამეცნიერო წერილებს. ამას ჯერ კიდევ დიდი ხნის ბრძოლა მოუნდება. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა და შემდეგშიაც უნდა ემსახურებოდეს ჟურნალი „განათლება“, რომელიც ავრცელებდა პოპულარ-სამეცნიერო წერილებს საზოგადო მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან იმ აზრით, რომ დედაენაზე მეცნიერულად ფიქრს და მსჯელობას მტკიცე ნიადაგი მოეპოვებინა მკითხველებში.

მეცნიერულ მსჯელობასა და აზროვნობას გადაჩვეული ხალხი თავის ძველებურს კულტურასაც ჩამოშორებულია და ახალსაც ვერრას შექჷმნის. ყოველ-დღიური გაზეთი, რაც უნდა ნიჭიერი იყვეს მისი ხელმძღვანელი, ვერ შექჷმნის სერიოზულად მოაზროვნე მკითხველს; იგი უფრო ხშირად დღიურს ვარამს ეხება, ერთი გადათვალიერების შემდეგ გაზეთი ჰქრება, რადგანაც დღიურს გაზეთს იშვიათად თუ ვინმე ინახავს და ამ სახით გაზეთში ზერეულე წაკითხულიც ხშირად მალე ავიწყდებათ; თუ გაზეთის რამდენსამე ნომერში ვრცელი წერილი იბეჭდება, ესეც უხერხულია მკითხველისათვის, თუ ყველა წერილებს ერთად თავი არ მოუყარა და ერთად

არ წაიკითხა, წერილის ზოგიერთი ნაწილების სხვა და სხვა დროს წაიკითხვას აზრი ეკარგება. მკითხველი ძლიერ დაინტერესებული უნდა იყოს, რომ ასეთი გაფანტული წერილები შეაგროვოს და ისე წაიკითხოს.

სერიოზულ მოაზროვნე მკითხველს ჰქმნის სერიოზული ჟურნალი, რომლის კითხვით მკითხველის გონება საღს ვარჯიშობაშია და მისი აზროვნებაც წესიერად მიმდინარეობს. ამ მხრით ჟურნალს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ყოველ დღიურს გახეთს, იგი აჩვენებს მკითხველს სერიოზულს კითხვასა და მსჯელობას, უვითარებს გონებას და აქვს მეტი აღმზრდელი მნიშვნელობაც.

რასაკვირველია ჟურნალ „განათლება“-საც ზოგიერთი ნაკლი აქვს, რომლის თავიდან აცილება დამოკიდებულია არა მარტომის ხელმძღვანელზე, არამედ ჟურნალის ნიუთიერად უზრუნველყოფაზე, მკითხველ საზოგადოების თანაგრძნობაზე და ჩვენი მწერლებისა და მეცნიერების შეერთებულად მუშაობაზე და რედაქციისათვის შესაფერი მასალის მიწოდებაზე. რედაქციას იმედი აქვს, როცა „განათლების“ მკითხველთა რიცხვი უფრო იმატებს, ჟურნალიც უფრო ვრცელი მასალით მიეგებება მკითხველებს და მაშინ მკითხველებიც და ჟურნალის ხელმძღვანელებიც უფრო კმაყოფილნი დარჩებიან.

დღეს რედაქცია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ იგი ჟურნალის მკითხველთა და თანამგრძნობთა ზრდას თან და თან ამჩნევს, რისთვისაც გუ-

ლითადს მადლობას ვუძღვნით ყველას, ვინც კი ხელს გვიწყობს ამ სამძიმო საქმეში, მასალის მოწოდებით, ჟურნალის გავრცელებით თუ ნიუთიერის დახმარებით. რედაქცია სიამოვნებით ულოცავს მკითხველებს ახალს წელიწადს და უსურვებს მათ, რომ ამ ახალწელში ახალს ბედნიერებასთან ერთად არ მოჰკლებოდეს ჩვენს ბედკრულს სამშობლოს ცხოველყოფელი სხივები ეროვნულს ნიადაგზე აღმოცენებულის განვითარებისა.

დეე, ყველამ, დიდმა და პატარამ, სწავლულმა და უსწავლელმა შეისისხლხორცოს მარტივი აზრი, რომ განათლება ძალაა და თუ არა დედაენაზე ყოველგვარი სწავლა-აღზრდა, უცხო ენაზე მიღებული, მოკლებულია სიღრმე-სიცხოველეს, უნიადაგოა და ზერელე.

დეე, ამ ახალმა წელმა მოგვივლინოს მეტი ეროვნული თავმოყვარეობა, თვითშეგნება, თვითცნობიერება, აკარგის დაფასება, მტერ-მოყვრის გონივრულად გარჩევა. განათლება ძალაა მაშინ, როცა იგი მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული. ნიადაგი კი თვით ერის ენაა, ერის ზნე-ხასიათი, ჩვეულებანი და თვისებანი, რომელნიც, როგორც ენაში დაცულნი, ძალა დაუტანებლად, ბუნებრივად თანდათან განსპეტაკებულნი გადადიან ერთი მოდგიმიდან მეორეზე და მაშინ, მხოლოდ მაშინ შეიძლება ასრულდეს ხალხური ბრძნული თქმულება, რომელიც გვამცნევს: „ისა სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასო“.

სიმღერა მთის შვილის—ვაჟა-ფშაველასი.

კრიტიკული მტიული

ლ ი ლ ი კ ა.

პირადი გრძნობა და განცდა ვაჟას პოეზიაში.

ნ. ბარათაშვილის შემდეგ, არც ერთს ჩვენს მგოსანს არ გამოუთქვამს ისე ძლიერად და მძლავრად გრძნობა მწუხარებისა, პირადის უბედობისა და ტანჯვა-ვაგებისა, როგორც ვაჟას. ვაჟა ამ შემთხვევაში არამც თუ მიმდევარია, თითქმის მეტოქეცაა ნ. ბარათაშვილისა ნაღვლიან კილოთი სიმღერაში, გულის ვარამის გამომჟღავნებაში, მწუხარ და მოშხამულ სულის კვეთებაში. მისი „სიმღერა“ არა მარტო სევდით და დარდით, — ჰმუნვითაცაა აღსავსე: მასში სწორედ რომ ნაღველია ნაღესი და ეს ნაღველი ცრემლში და სისხლშია არეული და ისე შეზავებული!

რალაც განსაკუთრებული დარდი და მწუხარება, რალაც მწარე ჭრილობა და იარა, რალაც სულიერი ქენჯნა, გონებრივი იჭვიანობა და უიმედობა ღრმად, მძლავრად ჩანერგია მგოსანს გულში და გონებაში, მოუწამლავს მისთვის სიცოცხლე, წარუტაცნია სულის სიმშვიდე, აუშფოთებია ურწმუნოდ გონება და თითქმის სასოწარკვეთილებამდის მიუყვანია. იშვიათად შეხვდებით თქვენ სხვა ჩვენის პოეტების ლირიულს ლექსებში ასეთს მწვავე და უცვლელ ელეგიურს, მელანქოლიურს კილოს, თუმცა ყველა ჩვენი მგოსნები საზოგადოდ სევდით არიან მოცულნი, „სევდის ბაღში“ უყვართ ჰყოფნა და აზროვნობა. ნურავის ჰგონია, რომ ვაჟა

ხელოვნურად ჰქმნიდეს განცდას, თვალთმაქცობდეს და სხვისის წაბადებით (თუ გინდ ბარათაშვილის) მწუხარებას გვიხატავდეს. სრულებით არა. მას, პირიქით, ენატრება „ლალი სიმღერა“, უყვარს „საგმირო ჰანგები, სიტყვა და აზრი ციური“, მაგრამ, მისდა სავალალოდ, ასეთის სიმღერისათვის „თითები აღარ მოჰყვება“, ვინაიდან „გული არ არის საღადა“, „გადაქეუულა ნაოხარ გააბეჩხრებულ ბაღადა“ (ცრემ., 69). პოეტს თავზე დასწოლია „შავი ღრუბელი და განადგურებას უპირებს (ცრ., 198); მას დაუკარგავს ნუგეში, გრძნობაც დაღუმებია (ცრ., 177), პირზე კლიტე დასდებია (ცრ., 171) და მთლად მისი სიცოცხლე გაოხერ-ტიალეზბულა, უშინაარსო შექმნილა. ვაი-ვაგლახს, სიმწარეს, ტანჯვას ისე გაუქვავებია და გაუყინავს მგოსნის მთელი არსება, რომ ცხოველ-მყოფელ მზის სხივსაც არ შეუძლია მისი გათბობა.

„თუნდა ამოდი მზეო, და
თუნდ ნუ ამოხვ:ჯ ბრწყინავი,
შე მე გამათმობ ვეღარა,
ეინუჯი მაწვევს მუინავი“ (ცრ., 180).

სჩანს, რომ „ცხოვრებას არ შეუბრალებია“ ვაჟა, „გულზე ისარი დაუსვამს“ (ცრ., 69), შხამის ფიალა მიუწოდებია და „ათას მეხით უგვემია“ (ცრ., 16). — ამდენს „მოზღვავებულს“ უბედურობას და გასაჭირს პოეტისთვის ჩაუხშვია აღმაფრენა და ძალა შემოკმედებისა. ის მწარედ მოსთქვამს:

„ჩანგურს სიმები დამიწყდა,
 მღერა შწადიან ადარა.
 საკუთარის ღვთის ტკბილი ხმა
 უურს მეწვეოება ადარა:
 განწყობა სასიმღერო
 გულის ეკარება ადარა;
 მიტომ მღუმარებს ჩანგური,
 გულის ნადეღმა დაჭლარა.
 შკმირცხვა უდროყო დროსა
 ნამუსიანი ჭადარა“.

„ჩანგურს სიმები დამიწყდა,
 ვქცეულვარ მკვლარზე მკვლარადა:
 უბედურად ვგრძნობ თავის თავს
 ადარა ვღირვარ ჩადადა.
 ნეტა ღოგინად ჩავვარდე,
 ვიყო სიკვდილად ავად...“

„...დამიწყდა ჩანგურს სიმები,
 ადარ აესხმის, ადარა;
 სხვისამ იმღეროს ჩანგურმ,
 სხვამ ააქუხოს ნადარა.
 ადარ სჭრის ჩემი იღბალი,
 გაცუდა ჩემი ჭადარა“.. (გრ., 176—8)

„ლიერ ძნელი და მწარეა მგონისათვის შეგნება თვისის შემოქმედების გაუქმებისა, აღმაფრენის ფრთის შეკვეცისა, აზროვნების გაქვავებისა და „გაცულებისა“; ძნელია, როდესაც ის გრძნობს, რომ „გულს იქით არ მიდის გრძნობა და ფიქრი ღვთიური“ (გრ., 71); როდესაც იძულებულია შეურიგდეს იმას, რომ

„სხვა დასტკბეს ტკბილის ჭანგითა,
 ტკბილის ღეჭსების მღერითა,
 სხვას ესაუბროს უფალო
 ტკბილის, ღვთიურის ენითა;
 სხვა დასტკბეს, სხვამ იქეიფოს
 განწყობით ამაზრზენითა“ (გრ., 178).

ვაჟა ცხადად ხედავს, რომ მისი მდგომარეობა მწარეა, მისი სულის განცდაც საველალლო და თითქმის სასიკვდილოა.

«მტერის გულია ისეთი,
 როგორც გული ჩემია:
 უნდა დავლიო სიმწარით
 ჩემი სიცოცხლის დღენია.
 ძილშიდაც ვაება მქენჯნის,
 ერთს წამს არ დამისვენია.
 კუბრის ნადუღის გულითა
 არ მინდა ნათესს ვხედავდე;
 მინდა გარს სიბნელე მერტყას,
 მარტო ოცნებით ვსჭვრეტამდე
 ჩემ გულის ამკვლეულს საგანსა...
 ფიქრებს ცრემლითა ვღებავდე.
 როდემდის უნდა არ ვიცი
 ჩემ ხორცს კბილითა ვკვებვარა?!
 შორს მიდის ფიქრი, შორს მიდის,
 თან გლოვა-ცრემლი მიჭვებება;
 მთვა და ისევ ჩემთანა:
 გამხიარულად იქნება?
 სულ ტუუილია, ტირილით
 მთვა და მამესაღმება.
 რად მინდა ფიქრი მტინაღი,
 თავს მოუაღი წუხილი?
 თუ ნაკვალ მიწას არ დასწვდომს,
 რად მინდა ჭექა-ქუხილი...
 — მაინც არაა ეწამლა
 დაჭრილის გულის ტანჯვასა:
 წელიც ამტკივდა, თავიცა
 ქარი დამადგა მაჯასა“ (გრ., 162).

— რა უნდა იყოს მიზეზი პოეტის ასეთის უიმედობისა, „თავს მოუვალის წუხილისა“, „გლოვა-ცრემლისა“, „კუპრში ნადუღის“ და დაჭრილის გულის ტანჯვა-წვალებისა? დროებითია, შემთხვევითი ხასიათისაა, მოღალატე-მოღუწეულ ნერვების აშლითაა ან პირად თავ მოყვარეობით, ჟინიანობით და უმიზნო ახირებითაა გამოწვეული ასეთი სულიერი მდგომარეობა და განცდა პოეტისა, თუ ამ ვაებას და სულიერს ქენჯნას უფრო მუდმივი, ჭკუით

აწონილ-დაწონილი და გულით ღრმად ნაგრძნობი მიზეზი უდევს საფუძვლად?

ვაჟას ლირიულ ლექსების გაცნობა ნებას გვაძლევს თამამად და გადაჭრით ვსთქვათ, რომ მისი წუხილი, მისი ტანჯვა და ქენჯნა არ არის დროებითი, მდაბალი და უღირსი გრძნობა-წარმოდგენით გამოწვეული. მიზეზი მისის „გულის ტანჯვისა“, მისის შემოქმედების, „მღერის“ შესუსტებისა და თითქმის შეწყვეტისა ზოგადია, ეროვნულია, მაშასადამე წმინდა და უანგაროა. ეს არის სევდა და ვარამი ნამდვილის მოქალაქისა, ერთგულის და თავდადებულის ერის შვილისა, შეგნებულის და დაკვირვებულის კაცობრიობის წარმომადგენლისა. ეს სევდა გამოწვეული და ნაშობია ერის ბედ-იღბლით, მისი მდგომარეობით, მისის წარსულის, აწყყის და მომავლის წარმოდგენით; ერთის სიტყვით, „ქართლის ბედზე“ აზროვნებით ღებქრით. პირადი გრძნობა, პირადი უკმაყოფილება: მაგ. გაუზიარებელი გრძნობა სიყვარულისა, დაუფასებელი და უკუგდებული გრძნობა მეგობრობისა, სარწმუნოებრივი იქვიანობა, საზოგადოებაზე იმედის და მოლოდინის გაცრუება, რომლებიც შეადგენენ თითქმის უმთავრეს მოტივს სხვა ერების მგონების ლირიკისას, — ყოველივე ეს დაუჩრდილავს, თითქმის განუდევნია ვაჟას ლირიულის ლექსებიდან „ქართლის ბედზე“ კმუნვას და ფიქრს, როგორც უმთავრესს ღებთად-ერთს ლირსეულს მოტივს. — ჩვენის მგონის პირადი განცდა და გრძნობა ინთქება საერთო და ეროვნულ გრძნობაში და განცდაში. აი სწორედ ამითია განსაკუთრებით საყურადღებო და ღირსშესანიშნავი ლირიული ლექსები ვაჟასი...

მაგრამ ვალაპარაკოთ თვით პოეტი მისი თავისებურის ენით და სურათებით:

„... გელით—არ მხსველ, მთვარეო,
ცრემლი წინ გვიდგა გუბედა,
შავი შაქრტყა ნისლეები
ჩვენს უბედურს ბედს ზღუდვდა.
ვსტრით, ტირილი არას გვიშველის,
დავცურავთ ნადულის ზღვაში;
შინა არ გვებინავება,
არც გვასვენებენ კარშია.
ჩამწარდა ჩვენი სიცოცხლე,
ყოველგან მთა და ბარშია.
მკლავიც გაცუდა, გონებაც,
ჩვენთვის ორივე მკვდარია.
უვაგ-უოვნის საბუდრად იქცა
ჩვენი სახლი და კარია.
მთვემწვედით ორ წყალ შუაში,
აღარსად ჩვენთვის ნავია;
დაგვაწვა თავზე ღრუბელი,
როგორც ნახშირი, შავია;
არ ვიცით ჟამ-კარ არეულთ,
სით დავახწოთ თავია“... (ტრ. 72-73).

ამ ლექსში მგოსანი თვალწინ გვიშლის ყველა ჩვენის: დიდის და პატარის, მდიდრის და ღარიბის, თავადის და გლეხის, ერის და ბერის, სწავლულის და უსწავლელის „ჟამ-კარის არევას“, „ცხოვრების ჩამწარებას“, „ორ წყალ შუა მომწყვდევას“. ჩვენი სახლ-კარის, მიწა-წყალის და მთლად სამშობლოს „ყვავ-ყორნის საბუდრად ქცევას“; ერთის სიტყვით, ჩვენი, ქართველების, როგორც ეროვნების, დაცემას, დააცადებას, თითქმის გაქრობას. ვაჟას სიტყვით, სამშობლოს „ყოველგან მთა და ბარშია“ გარს შემორტყმია საბედისწერო „შავი ნისლეები“...

„... ნისლეებში გახვეულია,
ოდნავად ბჟუტავს ვარსკვლავი,
ველარ ვაშორებ თავალებსა
ერთხელ იმისი მნახავი.
დაჟინებულს მის ცქერით
შევიქენ დასაძრახავი“.

ასეთი ყოფა სამშობლოსი ვაჟის. „საწყალი“ ამირანის ყოფას აგონებს:

„... ხმალიც გვერდს უძევს, კაშიაც
ერთგულადა ჰდრღნის რკინასა;
არც ხმალი შოდის გმირთანა,
ვერც თითონ სწვდება იმას.
გადრღნილი ჭაჭვიც მთელა,
ჰხედავს შეორე დილას;
სწვავს ტანჯვა-ვაჟის ცაცხვი
მატრანს და იმის ბინას“ (ნრ. 201-202)

ამირანივით შეკრულ-შებოქვილ საქართველოში „სხვა და სხვა ფერი დაედო კაცსა და ცხოველს ყველასა“: „პირზე კლიტე დაედვა სახლის ყარაულს მურასა“, „ცხვრის ზნე დასჩემდა ტურასა“, „წაილო ქარმა და წყალმა ცრემლით მორწყული გალობა“; ყვავ-ყორნის სათრეველად გახდა „წინაპართ მონაგარობა“... — საქართველო ისე დაუძლეურებულა, ისე მოდუნებულა და დაშინებულა, რომ მას ეშინია, თითქმის აღარც უნდა გამოამჟღავნოს და გამოაშკარავოს ის, „რაც უღრღნის გულის ფიცარსა“, რადგანაც ჯერ მიაჩვიეს და მერე იძულებულ ჰყვეს „ცოცხალი ფიქრები ჩაემარხა გულში“. თუ საზოგადოდ რას ნიშნავს და რას წარმოადგენს თავისუფლად, ძალდაუტანებლად ცხოვრება და განვითარება და თუ რანაირ მდგომარეობას ნატრობს და ოცნებობს ვაჟა სამშობლოსათვის, ამას შემდეგი სადა, მაგრამ ლამაზს სურათში დავინახავთ:

„გუშინა ვნახე ფრინველი,
თვის სიმღერაში დნებდა;
არვინ უშლიდა ხელობას,
ტკბილის სიმღერით ძღებდა
და იქვე გვერდზე მდინარეც
ტკბილ სასაუბრო ჰხდებოდა.
ნიაჟიც მოდუდუნებდა
ველეებზე სული წმიდადა,

იგივე იყო უცვლელად
რაც ათსის წლის წინადა.
არვინ უშლიდა ნაჯარდას,
რაც ჰქონდა სადენ მიჯადა.
არვის მტრობს, არც ვინ მას მტრობს
ცხოვრობს თავისთავინ ტკბილადა“.

(ტრ., 207)

თუ ფრინველისათვის, მისი ლალი სიმღერისა და ხელოვანებისათვის აუცილებლად საჭიროა თავისუფლება; თუ საჭიროა, რომ მას „არავინ უშლიდეს ხელობას“; თუ მდინარეც „ტკბილ მოსაუბრედ“ მაშინ ხდება, როცა თავისუფლად მიაქანებს თავის ტალღებს და უშიშრად მოდუდუნებს და თუ ნიაჟიც „ველზე სული წმიდად“ დაჰქრის, დანაგარდობს მხოლოდ თავისუფლობის წყალობით, — მაშ მით უმეტეს ადამიანი და ერიც უნდა გრძნობდეს „ხელ-შეუშლელი“ აუცილებელს საჭიროებას, რადგანაც შეზღუდვა, დაკარგვა თავისუფლებისა, პოეტის სიტყვით, „ცოცხალ ფიქრს მარხავს გულში და ზედ მიწას აყრის“ (ტრ. 207). მართალია, შესაძლებელია, რომ ასეთს მდგომარეობაშიაც ფიქრის ძაფი მთლად არ შესწყდეს; შესაძლებელია, რომ შეკრულ-შებოქვილი ადამიანიც და ერიც რამსე ჰფიქრობდეს; შესაძლებელია, ვინმემ ერთს მდგომარეობაში შემოქმედებასაც მოჰკიდოს ხელი, მაგრამ ყველაფერი ეს უძლეური, უფერული და უფხო იქნება, რადგანაც ცნობილია, „დაშინებულს ლეშიდგან ფიქრიც მშიშარა შობილა“ (ტრ., 209).

როცა მთელი ერი დროთა მსვლელობას გასაჭირს მდგომარეობაში ჩაუყენებია და მოუსპია მისთვის თავისუფალი გზა წინსვლა-განვითარებისა; როცა ისტორიულს ჩარხის ტრიალს მისთვის მოუწამლავს გული და სისხლი, ამდროს ერის

შემადგენელი ნაწილებიც—სხვა და სხვა წოდებანი და კერძო პირნი—ქეშმარიტს გზას სცდებიან და ზნეობრივად უძლოურდებიან.

„როცა წვიმის და დეღემისგან
იმღვრევა დიდი მდინარე,
რა დაითარავს პატარას,
მზე, მთვარე სხივთა შფინარე,
რომ არ აიმღვრეს ბეჩავი,
თუნდ არ ეწადოს დიდადა
ლაფის და წურის თავს დასხმა,
დენა ეწადის წმიდადა“... (ტრ., 211).

დაავადყოფებული ერი და დაუძლოურებული მისი შემადგენელი ნაწილები ჰკარგვენ სიმხნევებს, სულიერს, ზნეობრივს და გონებრივს სისალეს და სიძლიერეს. დაბეჩავებულ ერის ცხოვრების ყოველივე დარგს ემჩნევა გავერანება, დაძაბუნება, სილატაკე: უღონოა მუშა-მშრომელი — „ქანგისაგან დახრული და დაქმულია მისი მიგდებული ცული და ნამგალი“; ერთს დროს სამშობლოს მამაცი დამცველი მამულის შვილს ნამდვილი ფრანგულის მაგიერ „წელზე ხის ხმალი ჰკიდია“ და ყირიმის თოფის ნაცვლად „მხრებზე კომბალი აქვს გადებული“.

პოეტს „გულს უწყლულებს, სულს უხუთავს“ ასეთი სამარცხვინო და სავალალო მდგომარეობა, ერთს დროს „გულადი, პურადი“ და „თავისუფალი“, ერისა. ეს ტანჯვა-წვალება, ეს სულიერი ტკივილი, ერის უმწეობის ცქერა-შეგნებით გამოწვეული, ისეთი მძლავრი და მწვავეა, რომ სასიკვდილო სენს უდრის.

როგორც ვხედავთ, მიზეზი ვაჟს ტკივილისა რთულია: ის არ არის გამოწვეული მხოლოდ თანამედროვე მდგომარეობით „ათას გვარ მეთოქით გაქილულ სამშობლოსი“; მისი ტანჯვა რთულდება იმ მიზეზის ზედ-გავლენითაც, რომ ახსოვს,

იგონებს სამშობლოს საგმირო და სამავალითო, აზრიანსა და შეგნებულს წარსულ ცხოვრებას და განუშორებელ ფიქრ-ზრახვითაა მოცული; მისი მომავალ ბედობაზე მგოსანი ამბობს:

„მემღვრება და ვიმღვრი:
გულზე მჭინს სამი აარა, -
წარსულზე ფიქრი მაწუხებს,
აწმყოში არა ურავრა
და მომავლის ფიქრებიც
არავინ გამიზიარა“ (ტრ., 201).

ვაჟამ იცის, რომ პირადის ბედნიერებისათვის და უღარდელად დროს გატარებისათვის უკეთესია ადამიანს ჰქონდეს უგრძობი სული და გული, აღუშფოთებული ხასიათი, ცივი გონება; უკეთესია ადამიანი უარყოფდეს საზოგადო ინტერესს და ეროვნულს იდეალებს. მაგრამ მგოსანი ამავე დროს იმასაც გრძნობს, რომ

„მკვდარია უგრძობი კაცი,
უსაზარესი მკვდარზედა,
მით რომ სიცოცხლე უდგას
საღის ეინულის ტანტზედა.
არ უბრალება მოყვასი,
მის წინ რომ აფან ჯვარზედა.
ისე მოკვდება, ვერ შესდგეს
ერთს წამს ტრფობისა მთაზედა.
ჭაბბში არის ჩაფუფუდი,
ვიცნობ მოწამლულს ხმაზედა.
საზარელია დადგომა

უგრძობობისა გზაზედა“ (თბ., 109)
ლიახ, მწვავეა ტანჯვა და წყლული პოეტისა, გამოწვეული სამშობლოს დაბეჩავებით და დაჩაგვრით. მაგრამ ეს ტანჯვა ერთგვარს სიამოვნებას, ზნეობრივს კმაყოფილებას და თავისებურს სიტკბოსაც აგრძნობინებს დასევდიანებულს მგოსანს, ვინაიდან უარისყოფა პირადის ინტერესებისა და გამსჭვალვა საეროვნო ფიქრ-

ზრახვით ერთგვარი სულიერი უმაღლესის ხარისხის პირადი სიამონებაცაა. ამისთვის პოეტი არამც თუ არ გაუბრბის სამშობლოს იარით და მისი ბედით გამოწვეულს ტანჯვას,—პირიქით კიდევაც ნატრობს მას; ის ბედს კიდევაც ევედრება და ემუდარება, „გულის დარდი გაუღიადოს იმ სანეტარო საგანზე“, ე. ი. სამშობლოზე.

„დაწერე ფიქრი ღრმა, მწვავე
ჩემი გონების სახანზე.
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი...
ნუ დამსგვენებ ნუკას ღრას,
მამყოფე შეძრწუნებუდი,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუნებუდი;
როცა გულს ცეცხლი შეღება
გონება მსჯელობს სადადა,—
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინ ვგრძნობ სადადა“.

(თხ., 297).

მგოსანმა იცის, რომ საეროვნო სევდატანჯვით გაღსკვალვა ღონეს შემატებს მას: აღმაფრენას გაუძლიერებს, ფანტაზიას გაუტხოვვლებს, გრძნობას აუთრთოლებს, გონებას გაუმახვილებს, სიტყვას გაუელვარებს, გულის წყრომას გაუღრმავებს და მთლად მის სიმღერას ენერჯიას, ძალას, შინაარსს შეჰმატებს. ვაჟა გრძნობს ამ ძალას და შემდეგის სიტყვებით მიმართავს თავის „ქარასხას“, დროებით „ქურდებისაგან მოპარულს“:

„ვაჰმე, ჩემო ქარასხავ,
ადარ მომიხვალ ხელადა,
რომ შევიფარნეთ ძმობილნი
და გავიფარნეთ ველადა,
ამოგაუღერო, ტიადო,
ვაკვნესო მთა და ბარიო,—
ქაღსა და კაცს მოსინჯილეთა
ვადინო ცრემლის ღვარაო“ (თხ. 324)

საზოგადოდ „სიმღერა“ ვაჟასი თუმცა ნაღვლიანი და სევდიანია, თუმცა ჰმუნვა და ტანჯვა სჭარბობს მასში, მაგრამ მაინც არსებითად მხნე და ენერჯიულია: უსასოებას, უიმედობას პოეტი არ დაუმონაგვებია; მას სწყურია შინაარსიანი შრომა და გარჯა; მიილტვის აზრიანი მოქმედებისაკენ, ერის და სამშობლოს სასარგებლო მოღვაწეობისაკენ, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ მხოლოდ „ვაი“ და „ვიში“, მხოლოდ ტირილი და ცრემლის ღერა, მხოლოდ გოდება და მოთქმა საქმეს ვერ გამოასწორებს, იარას ვერ განკურნავს, დასუსტებულს ვერ ჩაჰბერავს სიმხნეს და დაცემულს ვერ აღადგენს. ვაჟა ჰხედავს, რომ დაუძლიერებულის და მიმკვდარებულის სამშობლოს გამოსახსნელად და გამოსათხიზლებლად საჭიროა ვაჟაკატური ყიჟინი, გულადი შეძგერება და მოუღალავი ენერჯია. გრძნობს-რა ამას, ის თითონაც მხნეობს, გულს იმაგრებს, ძალ-ღონეს იკრებს, გრძნობას და გონებას იცხოველებს. რამდენჯერაც კი მას მუხანათნი და მტერნი „დაჰკრავენ“, „იმდენად ის იწევს ზეცადა“, სდგას „ცა და ქვეყნის შუა ქედ-მოუღრეკელ სვეტადა“. ჰირში გამხნეებულო და გამაგრებულო, ვაჟა თითქმის გაზვიადებულის იმედით და მხნეობით გაიძახის:

„მოჩა... ვეღარ ვინ შემეუსყაყს,
რაც უნდ იცადოს შეტადა.
და თუნდა მთელი ქვეყანა
დამატუდეს ურო—ხვედადა,
წარბ-შეუხრეჯად ვუუდივარ
ჩემთა წადილთა ბედადა“ (ტრ., 70).

რამ გაასალკდევია, რამ გაამხნევია ასე პოეტი? რა ძალამ შთაბერა მას „სული უკვდავი“? რა ასაზრდოებს, რაზე დაწყარებული ასეთი უშრეტი და განსაცვიფრებელი იმისი ენერჯია ღ ძალა?—ნუ გგო-

ნიათ, რომ ვაჟა უსაფუძვლოთ ყოყოჩობდეს და უნიადაგოთ მხნეობდეს! არა, მან იცის, სად იმალება საიდუმლოება მისის უძღვევლობისა და „წარბ-შეუხრელად ჰყუდებისა“: ეს ძალაა ის გაუწყვეტელი, უხილავი, მაგრამ ძლიერი სულიერი კავშირი, რომელიც არსებობს პოეტის და მისი დამბადებელ და ამღზრდელ სამშობლოს შორის. ერთს თვის სიმბოლიურს ლექსში „პასუხი არყისა“, რომელსაც უძღვნის თავის ძმას, თედო რაზიკაშვილს, მგოსანი გვამცნევს მიზეზს თვისის ძლიერებისას:

„რა გიოხნა, ბიჭო, ისეთი,
 ან გაჯაჯავრა მსმეკელი? ბლასი).
 ის მასაზრდაებს, რომ დედის (სამშობ-
 ტრფობის ჭირის ვარ მთმუნელი,
 გულში რომ ცეცხლად მიღვივის
 სიცოცხლის გამომცემელი.
 კლდეზე ვარ დაფუძნებული
 იგია ჩემი მრჩენელი.
 ეს გიკვირს? ტუუილად გიკვირს:
 უშრეტს მწოვებს ნექტარსა,
 საით ჰმთულობს, ვინ ჰკითხავს
 მე გენაცვალე დედასა!
 უეჭველია, საერთო
 ცისა და მიწის ძალითა,
 რასაც მე კლდისვე აღზრდილი
 ბევრს ვერა ვხედავ თვალითა:
 და იქნებ კიდევ ვივსებ
 მე იმის ცოდვა-ბრალითა“? (ტრ. 154)

მართლაც, ძალა და ღონე ერის შეი-
 ლისა, მისი ცხოვრების აზრი, საზოგა-
 დოდ მთელი მისი არსებობის შინაარსი
 მშობელ ერთან, გამზრდელ ქვეყანასთან
 ხნეობრივ და ფიზიკურ ერთიანობაზე და
 გაუწყვეტელ კავშირზეა დამყარებულ-დამ-
 კვიდრებული. თუ ეს ითქმის მორიგ მა-
 მულის შვილზე, მით უმეტეს უნდა ით-

ქვას პოეტზე, მხატვარზე. პოეტი, რო-
 გორც საუკეთესო შვილი ერისა, რო-
 გორც მისის სულის, გრძობის, მისწრა-
 ფების, აზროვნების, მოლოდინ-იმედის,
 სევდა ზრახვის მკაფიოდ და ძლიერად
 გამომხატველი და გამომთქმელი, შესისხლ-
 ხორცებული უნდა იყოს თვის მშობელ
 ერთან: მისს ძარღვში უნდა დიოდეს ერის
 წმინდა სისხლი, მისი გული გაუღნთილი
 უნდა იყოს ერის გრძობით, მისი გონე-
 ბა უნდა იყოს ერის ფიქრ-ზრახვის მატა-
 რებელი და მთელს მისს სულს უნდა ესვას
 ბეჭედი მშობელის ერის სულისა. მხოლოდ
 და მხოლოდ მაშინ გახდება პოეტი ნამ-
 დვილი ერის მესაიდუმლედ, მისის გენიო-
 სობისდა სულიერ ძალების გამომსახველად,
 მისი ჭირ-ვარამის ღირსეული მტვირთვე-
 ლი. მხოლოდ მშობლიურ სფეროში
 გაზრდილს, მშობლიურ კულტურით გა-
 კეთილშობილებულს, მშობლიურ ლიტე-
 რატურით განვითარებულს, მშობლიურ
 საზოგადო დაწესებულებებში გაწვრთნილს
 და გამოცდილს პოეტს შეუძლიან გახდეს
 ღირსეული ღვიძლი შვილი თვისის ერისა;
 მხოლოდ ის შესძლებს გაიგოს ჩემი და
 უჩინარი მაჯის ცემა ერისა, მხოლოდ
 მას ძალ-უძს ცხად ჰყოს და ხორცი შე-
 ასხას ერის გამოურკვეველს ნდობას და
 წადილს, — ერთის სიტყვით, მხოლოდ მას
 ძალუძს ჩასწვდეს ერის გულის სიღრმეს
 და იქიდგან ამოიკითხოს სანატრელი და
 სათაყვანო მისი სურვილი და მისწრა-
 ფება.

მშობლიურს ნიადაგს მოწყვეტილი,
 უცხო კულტურის ზედგავლენით აღზრ-
 დილი, რაც გინდ ნიჭიერი, დაკვირვებუ-
 ლი და განვითარებული იყოს ის, ვერ
 შესძლებს, გულითაც რომ უნდოდეს,
 სამშობლო ერის გულის მესაიდუმლოე-
 ბას, მისი მისწრაფებათა, იდეალთა და

რწმენათა ღრმად და გატაცებით გამოთქმას და ჰქომაგობას.

უცხო კულტურის შეთვისება და გაგება, საკაცობრიო სალაროდგან აზრებით და იდეებით სარგებლობა, ფართე და საერთო განათლება მხოლოდ გააღრმავებს, გააფართოებს, გააკაშკაშებს ეროვნულს ტალანტს, — შექმნით კი ვერ შექმნის მას.

ის მგოსანი, რომელიც, ვაჟას თქმის არ იყოს, ეროვნულს „კლდეზე“ არ არის, „დაფუძნებული“ და რომელსაც ეს კლდე არ არჩენს და არ ასაზრდოებს; ის მგოსანი, რომელსაც ერის არსება „უშრეტს არ აწოვებს ნექტარსა“ და რომელიც არ იყვება ერის „ცოდვა-ბრალითა“, — ასეთი მგოსანი, დიდი ნიჭიერიც რომ იყოს, ერისთვის გამოუსადეგარი და უნაყოფოა.

როგორც დავინახეთ ზემოდ ამოწერილი ლექსიდგან, ვაჟა — თვით ნამდვილი ღვიძლი შვილი ერისა, რომლისათვის მთას და ბარს „ძუძუ უწოვებიათ“ — მხატვრულად და სიმბოლიურად გვისურათებს ჩვენგან აქ მშრალად გამოთქმულ აზრებს, რადგანაც ღრმად გრძნობს მათ ქეშმარიტებას...

საზოგადოდ მხნე, მძლავრი და იმედია „მწარე სიმღერა“ და „დამწველი ფიქრი“ ვაჟასი, მაგრამ მასაც, მართალია იშვიათად, ეწვევა ისეთი სულიერი მდგომარეობა, როდესაც თითქმის სასოწარკვეთილებამდის მიდის: უძლეველად მიაჩნია დაბრკოლება, დაუამებლად წყლული და შეუძლებლად მხნე და აზრიანი მოქმედება. ასეთს წუთებში პოეტი უნებლიეთ ეძებს თავ-დავიწყებას: უნდა მოდებულნი ცეცხლი რითიმე დაინელოს და მტანჯველი მოქმედების წყურვილი ღვინოში ჩაჰკლას. მაგრამ მგოსნის ეს გიჟური თავ-

დავიწყებაც, ეს უიმედობაც გმირული და ტიტანიურია. აბა ყური დაუგდეთ მის ელვამოსილ სურვილს:

„ღამისხი, დამაღვენიე
ე ღვინო, ოხერ ტიაღი,
ეგება წადმა ვიფიქრო
სოფლის ეკუდმა ტრიაღი!
ეგება გულის ვარამი
ჩავკლა მა ჯიხვის რქებშია,
თვალთწინ დამიდგეს ღამაში,
ურჯოლა მამკიდოს ტანშია.
ღუზი ვკრა ჩემსა ღურჯასა,
გადავერიო ზღვაშია.
თქვენთან ძაღურად სიცოცხლეს
სიკვდილი მიჯობს ცაშია.
ვერ მათწინებთ კარგს ემასა
რაც არ უჯდება ჭკვაშია“ (იხ., 325).

ვაჟა გრძნობს, რომ ძლიერ ძნელია, თითქმის შეუძლებელია, ადამიანისათვის, — რაც გინდ დიდსულოვანი, ენერგიით სავსე და გაუტეხელის ხასიათისაც იყოს იგი, — გამუდმებით, შეუწყვეტლად და შეუსუსტებლად გულში ატაროს მწველი ცეცხლი ერის ტანჯვისა და დაუშრეტელი სურვილი ამ ტანჯვასთან ბრძოლისა. დიღია, წმინდაა ეს სურვილი! ზნეობრივ მწვერვალზე აყენებს იგი მის მტვირთველ-მატარებელს და სათაყვანებელ გმირად ხდის მას! მაგრამ ამავე ღროს დიდად სამძი-მოა თვით ადამიანისათვის ასეთ ზნეობრივ და სულიერ სიმალღეზე დგომა, რადგანაც შეუძლებელია მუდმივ უშრეტის ცეცხლის გულში ტარება. ამით აიხსნება ის არა იშვიათი მოვლენა, რომ საუკეთესო შვილნი ერისა დრო გამოშვებით, თითქმის პერიოდულად, აღტაცება აღფრთოვანებასთან ერთად, განიცდიან დასუსტებას, დაუძლურებას, ზნეობრივად ჩამოკვეითებას, შემოქმედების შესუსტებას და ხშირად ამ ჩამოკვეითებას უნებლიეთ

ემორჩილებიან და ამას თვითვე გულახ-
დილად აღიარებენ.

ვაჟას სურვილი ღვინოს დაეწაფოს და
მის წვეთებში ჩაჰკლას გულის დარდები,
სოფლის უკულმართი ტრიალით გამოწვე-
ული, ერთგვარი ზნეობრივი წაბორძიკე-
ბა და ჩამოქვეითებაა მის განცდაში და
შემოქმედებაში.

მგოსანი თვით აღიარებს, რომ ასეთს
სამწუხარო მოვლენას ადგილი ჰქონია მისს
ცხოვრებაში; ის მოსთქვამს:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეტ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზე შესვენა მზე-მთვარე,
ვლამარაკობდი ღმერთთანა.
საკეთილდღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულად;
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
მქონდა მეორე რჯულადა.
ეხლა თავ-თავქვე მივდივარ,
ხევში მიმეღის ბნელა,
თან მომდევს ფიქრი მწუხარე
გულის, გონების მწველია.
მადლიდგან დაბლა ჩამოსვლა
ვაჭმე, რა მეტად ძნელია!
წამლობას ვეღარ გამიწევს
ეხლა ცრემლები მწველია.
რად მივალ, თავქვე რად მივალ,
ჩემს თავს რად ვიხდი ტიალად?
იმ მთას თავს რისთვის ვანებებ,
თუნდ ვიქნე ტანჯვის ფიალად?!“

ხომ ხედავთ, რა მძიმე, რა მტანჯველი
ყოფილა მგოსნისთვის იდეალის ლალატი —
„მწვერვალიდგან“ „თავ-თავქვე“ სვლა
და „მთის“ — წმიდა მისწრაფების — თავის
დანებება!

ვინც ასე მწვავეთ არ გრძობს გულის
ვაცვივებას, გონების შესუსტებას, ენერ-
ჯიის მოჩლუნგებას და შემოქმედების გა-
ცრცვას, ის ჯეროვნად ვერ იგრძნობს

აღმაფრენასაც, ვერ განიცდის ქეშმარი-
ტების ღალადების სიტკბობასაც, ვერ
მოექცევა „მწვერვალზე“, ვერ „დაისვენ-
ებს“ მზე-მთვარეს გულზე და ხმა-ტკბი-
ლად ღმერთებსაც ვერ ელაპარაკება. დი-
დი ტანჯვა, დიდი სიყვარული, დიდი
მოქმედება, და თან დიდი დაცემა-ჩამო-
ქვეითება, დიდი უსიამოვნება და სასო-
წარკვეთილება მხოლოდ დიდ ბუნებოვან
და ზეგარდმომადლით ცხებულ პიროვნე-
ბათა წილი და ხვედრია. დიდი „შავი
ღრუბელი“ მხოლოდ ძლიერის სინათლის
მოყვარე ადამიანს აწვება ხოლმე! მაგრამ,
ვაჟას რწმენით, ბოლოს მაინც დევნილი
„მზის შვილი“ სძლევს „ვაებას ამდენსა“
(ცრ., 198) და, ადრე თუ გვიან, დაჰ-
კრავს ყოყინს განთავისუფლებისას და
უძლიეველობისას.

თვით ვაჟამაც, როგორც საუკეთესო
„მზის შვილმა“ და ღვთისაგან ნაკურთ-
ხმა მგოსანმა, სძლია „შავ-ბელი, რომე-
ლიც მას გულზე აწვა, და ააჟღერა ჩან-
გური მტარვალთა შესამუსრადა“ (ცრ.,
12); მას ისევ „მხრები“ შეესხა, გაიზარ-
და და ცად აიწია ასაფრენადა“.

„გაჩნდება სადღაც ხათელი,
გულს ჩაუდგება სვეტადა;
ზღვავდება მწყობრი სიტყვები
ქაღალდზე დასაბღერადა;
უთრთიან გულის სიმები,
სიამოვნების ღმერთადა.
არა სთქვას, არ შეუძლიან,
მონა არს მამინ ჰანგისა;
ნაცნობნი ეუბნებიან:
„ჭირივე შენის ჩანგისა“!
თავდაც მისწონს: საამოდ
ხმა მწყობრად ადის-დადისა;
ქუხს ჩანგი, აღარ ისვენებს
მას მხოლოდ მდერა სწადისა.
იშლება, მდერაში დნება
ბუდე ვუელა სხვა დარდისა“... (ცრ., 86).

მოქალაქობრივი მოტივი ვაჟას
პოეზიაში

ის უმაღლესი ძალა, რომელიც ააზროვნებს, ამაღლებს და ასალკდევებს ვაჟას და მისი შემოქმედების, სამშობლოს სიყვარულია.

ეს გრძობა და მისი განცდა მგოსანში არ არის განყენებული, რეფლექტიური, მით უმეტეს, შაბლონური. პოეტის სულში და გულში სამშობლოს სიყვარული ისეა ჩაქსოვილი და ჩამჯდარი, ისე გადაბმია და გადახლართულა ყველა სხვა მის სულიერს ძალებს, რომ მისი არამც თუ გაჭკობა, შესუსტებაც კი პოეტის მთელს არსებაში ისეთს ცვლილებას გამოიწვევს, რომელიც მომასწავებელი იქნება პოეტის სულიერად სიკვდილისა, მისი პირადობის გაჭკობისა.

სამშობლოს სიყვარული განსაკუთრებით ათბობს, აბრწყინებს და აღფრთოვანებს მგოსანის მთელს არსებას: ის აამყებს მას და საუცხოვო ნეტარებასაც განაცდევინებს. აი რა სიტყვებით მიმართავს პოეტი „ტანჯვაში მყოფ“ სამშობლოს:

„ვიდრე ტანჯვაში გხედავ უბედურს,
არ შეიძლება, უნდა ვიტანჯო,
შენს უოფნას ჭკავდეს, მსურს, ჩემი უოფნაც,
თუნდაც ძალ-ღონე უბრალოდ ვხარჯო.
ბედნიერადა თავს მაშინა ვგრძნობ
და აღარ მარცხუნს ხმა იღუმადი,
ჩემი ტაიჭიც უღალაფადა რბის
და არ ელევა მუხლებში ძალი;
თამამად ვადგამ მიწაზე ფეხებს,
ამყად სტკერს გული—ბედკრული;
თავს მადლა ვიღებ, წელში ვსწორდები,
კაცი ვარ მაშინ, ვაჟ-კაცი სრული.
ია და ვარდი გულზე მასხია
ნეტარებასა განიცდის სული“ (ცრ., 11)

ეს სიყვარული იმისთვისაა ასე მძლავრი და ინტენსიური, რომ ერის ტანჯვაშია ჩასახული, ნაშობი და ამ ტანჯულ ერის ღვიძლი შვილის გულშია აღზრდილი და მონათლული. ცნობილია, რომ ლალი, მოდღესასწაულე, გაფერადებული ეროვნული სიყვარული იმდენად არ არის მუღზივი, უცვლელი და მთელი არსების შემკვრელ-შემბოქველი; როგორც სიყვარული დევნული და შეურაცხყოფილი. თუმცა ამ უკანასკნელს სიყვარულს მეტი ტანჯვა და სევდა თანსდევს, ვინემ სიამოვნება და სიხარული, მაგრამ მითი შეპყრობილი ადამიანი მაინც მისი მონატრული და მალმერთებელია. ვაჟა-ფშაველას სამშობლოს სიყვარული სწორედ ასეთია. აი როგორ მიმართავს მგოსანი ჩვენს სასიქადულო აკაკის:

„მშობელი ქვეყნის მზახრეგ,
უნდა გიმდერო მთურადა.
იმავ ჭირით ვარ სხეული,
რაც შენ გატევაა წყლუადა;
რა უეოთა, ბედი, შავ-ბედი
თუმცა გვექცევა მკლურადა,
მაინც ვაუღერებ ჩანგურსა
მტარვალთა შესამუსრად“ (ცრ., 12).

როგორც სჩანს, ეს „სნეულება“ არ არის მომაკვდინებელი, წელში მომხვრელი და დამაძაბუნებელი. რაც გინდ გაურისხდეს მგოსანს „ცა“—ბედის წერა,— რაც გინდ „უნდა ჭირი მიკერძოს“ მან მას, იგი მაინც „ბილწს არ შეეკვრება ზავითა“ და თვისს იდეალს—ოცნებას ვერ შესცვლის, თუ გინდ „ავი მოზღვაოდეს“ მისს წინააღმდეგ. მგოსანი, აღფრთოვანებული სამშობლოს სიყვარულით, ამბობს:

„ისევე მტერი ვარ იმისა,
ვისაც დღესნამდე ვმტერობდი,—
იგივე მიუვარს, იგივე,

ვისაც ამ სოფლად ვრჩებოდი.
სხანა ვრცხვობ, გულში მაქვს
კეთილს ვუვანდე ზიარად;
გერ მივსტე მტერსა მამულსა
საჯიჯგნად, დასაზიანად“ (გრ., 172).

და სიკვდილითაც რომ დაბოლოვდეს
პოეტისათვის ეს სიყვარული სამშობლო-
სი, ის მაინც ამ სიკვდილს ამჯობინებს
ლაჩრულს, უსარგებლო და მცენარეულს
არსებობას. ოღონდ კი მგოსანს ენატრება
სიკვდილი სამშობლოში და მისი წიალსა
შინა განსვენება.

„მძიმეა თავის ქვეყანა,
თავის წყალ-ჭაღა ძლიერა!
მიწაც ტკბილია მშობლური,
გულს რომ ეერება ფხვიერა“ (თხ., 121)

ვაჟა ღმერთს სთხოვს, აცდინოს მას
სამარცხვინო სიცოცხლე და საშვილის-
შვილო დასაგმობად არ გახადოს „მისი
მუდმივი სამყოფი“.

„ნუ მაჯღერ ქვეყანაზედა“ — შესთხოვს ის
კაცთაგანთა ჯეშითა, — ღმერთს —
თვალებში მადლ დაკარგულსა
შუბლზე გაკრულს მუშითა“ (თხ., 297).

როგორც ვხედავთ, ვაჟა ნამდვილი პო-
ეტი-მოქალაქეა. ის საუკეთესო გამოძხა-
ტველია იმ ღრმა და მწველი სევდისა,
რომელიც შეადგენს ქართულ ახალ პო-
ეზიის უცვლელს და უმთავრეს თვისებას.

ჩვენ წინედაც გვქონდა შემთხვევა გვე-
თქვა (იხ. „განათლება“ — ეროვნული მო-
ტივები ჩვენს პოეზიაში, — „გრდემლი“,
№ 1 — პოეტი მოქალაქე...) და დღესაც
ვიმეორებთ, რომ ყველა ქართველი ჭე-
შმარტი პოეტი, რა ნაირის თვისებისა და
ხასიათისაც არ უნდა იყოს მისი ნიჭი და
შემოქმედება, ჭეშმარტი მოქალაქეა.

რადგანაც „ქართლის ბედი“ უკანას-
კნელ საუკუნოებში დიდს ღირს და ვა-
რამს განიცდიდა; რადგანაც ვითომცდა

დასასვენებლად მომზადებულმა საქართვე-
ლომ ამ „დასვენების(?)“ დროს თითქმის
დაჰკარგა „ენა, საყდარი, სარწმუნოება“
და „ნაჭერ-ნაჭერად“ დაჰყიდა მამა-პაპა-
თა სისხლით მორწყული მიწა-წყალი და
რადგანაც მთელს საქართველოს სხე-
ულს რაღაც ავადმყოფური მოღუნება
დასჩემდა, — ამისათვის ყველა მისი ჭეშმა-
რტი შვილი მოვალე იყო და არის „ბუ-
კი და ნაღარა“ დაეკრა და დაჰკრას, გმი-
რულად მოჰმართოს თვისი ქამანჩა, ეროვ-
ნული დარდით, სევდით და იმედ-მოლო-
დინით გაჟღენთოს თვისი სიმღერა. მთე-
ლი აზრი, ფიქრი, ნდომა-სურვილი ქარ-
თველ მგოსნისა დაბეჩავებულ სამშობლოს
გარს უნდა ევლებოდეს და დამატებოდელ-
დამამებელ და გამკურნელ მალამოდ უნ-
და ედებოდეს მის წყალულებს და იარებს.
მომეტებულად ჩვენს ბედში მყოფ ერის-
თვისაა საჭირო და სასურველი ასეთი პო-
ეტი და პოეზია. მხოლოდ, ან გადამე-
ტებით, ხმა-ტკბილი გალობა ქართველს
მგოსანს არ ჰშვენის, არ ეკადრება. ვინ
არ იცის, რომ პოეტი, თუმცა მას ღმერ-
თი გზავნის ქვეყნად, მაინც ერის და
დროს შვილია, და როგორც ასეთს, მას
არ ეპატიება, ამცირებს კიდევ, ცხოვრე-
ბას განუდგეს, ცხოვრების საჭირ-ბორო-
ტო საკითხები, როგორც უღირსნი, უკუ-
აგდოს ან ჯეროვან ყურადღებით და ჩა-
ფიქრებით მათ არ მოეკიდოს.

ტკბილი სიმღერა, „ოცნების კოცნა“,
„სიამოვნების ბაღში“ ფანტაზიით ნავარ-
დი, სიყვარულით გატაცება და საზოგა-
დოდ პირად საამო განცდათა ჰიმნის მღე-
რა ლალის და თავისუფალის, მხნე და თა-
მამის, მდიდარი და განათლებულის ერის
შვილის ხვერდია. სანამ კი ქართველ მგო-
სნების „სატრფო“ — საქართველო „ცხრა
კლიტულშია დამწყვედული“ და სანამ

ბედის ჩარხის უკუღმა ტრიალს განიცდის, მანამდის მისი ღირსეული შვილები სულ „სევდის ბალში“ უნდა იყვნენ და „მშობელ ქვეყნის მოზარეობას“ (კრ., 12) თავს ვერ დაანებებენ.

ასეთი განსაკუთრებული გარემოება რომ არ ხდიდეს ქართველ მგოსნებ-ხელოვნებს მოვალედ საჭირ-ბოროტო საკითხების შესახებ ააჟღერონ თვისი ჩანგი, ისედაც, პრინციპიალურადაც, ისინი ჭეშმარიტ გზას ადგანან, როდესაც მოქალაქობრივ მოტივს აქცევენ ყურადღებას. როგორც ვიცით, დღეს ზოგიერთი მწერლები და კრიტიკოსები ამტიკებენ, ვითომც ხელოვნება თავისუფალი თამაში უნდა იყოს ხელოვანის წარმოდგენისა და შეგნებისა; ვითომც ის თავის შექცევა (შილლერი), ვინაიდან ხელოვანი არავითარ რეალურ მიზანს არ ემსახურება; ვითომც პოეტის ფანტაზია შეუზღუდველი უნდა იყოს და არ უნდა ეძიებდეს ჭეშმარიტებას; ვითომც ხელოვნური ნაწარმოები მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილ მხატვრული, როდესაც მის ობიექტად არ არის არც ჭეშმარიტება, არც სარგებლობა, არამედ მხოლოდ გრძნობა და სილამაზე. (რენჯვიე) და სხვა და სხვა.

დღეს არამც თუ ესთეტიკის თეორეტიკოსებმა, არამედ თვით ხელოვანებმა უარ ჰყვეს ასეთი შეხედულება და თავიანთ ნაწარმოებებში აღწერეს და განმარტეს ცხოვრება და ცხოვრებისაგან გამოწვეული მრავალგვარი საკითხები. დღეს ხელოვნების ობიექტს შეადგენს არა მარტო გრძნობა და სილამაზე, არამედ ჭეშმარიტება და სარგებლობაც.

ჩვენი პოეზიის ერთი მთავარი წარმომადგენელთაგანი—ვაჟა-ფშაველა სრულიად იზიარებს ამ უკანასკნელ შეხედულო-

ბას პოეტზე და პოეზიაზე და „სიმღერის“ მიზნად ისახავს შემოქმედების მეოხებით გაათვითცნობიეროს, გამოაფხიზლოს, გრძნობა გაუსპეტაკოს, ცხოვრებაში და მის ჭირ-ვარამში ჩაახედოს თანამემამულეები და ამით „სარგებლობა“ მოუტანს თვისს სამშობლოს.

ვაჟა გადაჭრით ამბობს, რომ მისი შემოქმედება და „სიმღერა“ სრულიად არ არის თავისი შექცევა, სასიამოვნო და უმიზნო ვარჯიშობა. მას თვისის პოეზიის უმთავრეს მასაზრდოებელ წყაროდ მიაჩნია ქვეყანა და ქვეყნის საკითხები: ჭეშმარიტება, სამართლიანობა და მათთვის თავგამოდებული ბრძოლა-მოქმედება.

„სოფლის წელულებმა გამსენეს,

ამაღებინეს სტვირი“-ო, პირდაპირ ამბობს პოეტი.

ამ სტვირში მგოსანს ჩაუქსოვია „სოფლის წელული და ჭირი“, ე. ი. მას თვისი ნიჭი და აღმაფრენა უმთავრესად მოქალაქობრივ კითხვებისათვის მოუხმარნია, ეს კითხვები გაუხდია თვისი შემოქმედების შინაარსად და მიზნადაც.

დაისახა-რა თვისის პოეზიისათვის მიზნად ქვეყნის სარგებლობა, ბედ-კრულთ და ოხერთ ინტერესების დაცვა, პოეტი პირადად სრულებით უანგაროდ მღერის, არავითარ სარგებლობას არ ესწრაფვის. პოეტს აგონდება თვისი „ქამანჩის“ ხმა

„ველური, მაგრამ ლამაზი...

უსასუილლოთა მუდრინაჲსა

არ უნდა თქვენი აზაზი“ (თხ., 324).

ვაჟა ღმერთს შესთხოვს მისცეს მას იმდენი ძალა და მხნეობა, რომ მუდამ ფხიზლობდეს, მუდამ მზად იყოს „დაჩაგრულისა მცველად“; ევედრება, აშრომოს ქვეყნის „საკეთილდღეოდ“ და „მოაშიოს-მოაწყუროს კეთილი“. მხოლოდ ასეთს მოღვაწეობაში ხედავს მგო-

სანი პირად სიამოვნებას და ბედნიერებასაც. მას უნდა, რომ

„გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულის ცეცხლი სვამდეს ძლიერი.
მშობლ-მწიურადეს კეთილი,
ვერ გავძლე, მოგკვედე მშვიერი.
ნუ დამსვენებ ნურა დრას,
მამყოფე შეძრწუნებუდი,
მხალოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებუდი;
როცა გულის ცეცხლი შედება,
გონება მსჯელობს სდადა,—
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლადადა» (თხ. 297)

მართლაც, როგორც ჭეშმარიტი მამულისშვილის, ვაჟის გრძნობა—გონება უმთავრესად სამ ცხოვრების კითხვას თავს დასტრიალებს და მათი ახსნა-გარკვევას ანდომებს თვისს ძალას.

„მემღერება და ვიმღერი:
გულზე მჭიანს სამი იარა,—
წარსულზე ფიქრი მაწუხებს,
აწმყოში არა ურია-რა
და მომავლის ფიქრებიც
არავინ გამიზიარა“ (ტრ., 201).

ეს საკითხებია: ა., ფიქრ-ოცნება საქართველოს წარსულ ბედ-ილბაღზე; ბ., ფიქრ-ზრახვა საქართველოს თანამედროვე მდგომარეობაზე და გ., ფიქრ-იმედი საქართველოს მომავალზე.

უწინდელი საქართველო.

საგმირო ჰანგები ვაჟას პოეზიაში.

ვაჟას აზრით და რწმენით, საქართველოში ძველად ერთი რწმენა იყო ჭეშმარიტებად აღსარებული: ყველა მამულისშვილს სამშობლოსათვის უნდა ეშრომა, ეჯაფა, თავი გაეწირა, მომკვდარიყო, თუ კი ამას გარემოება მოითხოვდა.

„უველას შრამაც იქნება
მშობელი ქვეყნის წამლად“,

აი რას ამბობს ერთი ვაჟას გმირი — ბერიძე (იხ. „სიკვდილი გმირისა“ ტრ., 1—5 გვ.), წარმომადგენელი ძველის ქართველისა.—სასიკვდილოდ დაქრილი და მომაკვდავი, ერთს დროს უძლეველი ვაჟაკაცი, ბერიძე სიკვდილის წინ, როდესაც სული ხორცს ტანჯვით და სიმწარით შორდება, მხოლოდ იმის ფიქრში და ზრუნვაშია, რომ ემბლემა თვისის ვაჟაკობისა—თოფ-იარაღი და ლურჯა ცხენი—ისეთს გმირებს უანდერძოს და დაუტოვოს, რომლებიც მისსავით პირნათლად და ვაჟაკურად ემსახურებიან ქვეყნის და ერის საქმეს. აი ეს ანდერძი გმირისა:

„...შანშეს მიეცით ხმალია,
სხვის ხელში ნუმიტ მგეგულება,
დიხსი სხვა არავინ არია.
ხანჯარი — ფუნჩაიშვილსა,
ის კარგი შეომარია.
ფარი და ჯაჭვი-ლეგასა,
ჯურ თმში შეუვალაია.
ვინც პირველად მიუხდეს
ბახტრიონს თარაქამასა,
ვინც კი ამომხამებს
თათარს ცოდვების ტამასა,
ჩემ ცხენი იმასა ჭყავდეს,
ხელ იმან უსვას გავას;
აღალი არი იმაზე,
ნურც თქვენ დაუწებთ დავასა.
თოფი ელიზბანს, ჭრილობით
მე მტონავ, იეოს ავადა.
ვინ ჩემ იარაღს იხმარებს,
ერთგულად, დაუმცდარად,
ცოცხალიც ვამბობ, მკვდარიცა:
დმერთმა ახმაროს ალდადა“.

ძველად სწორედ ის ქართველი იყო ნამდვილი „დარაჯი ქვეყნისა“, რომლის გულს ანათებდა და ათბობდა ასეთი სა-

უცხოვო მგზნებარე გრძნობა სამ-
შობლოს სიყვარულისა, მისთვის მტლად
დადებისა და საზოგადოდ მშობელ ქვეყ-
ნის წინაშე ყოველივე მოქალაქობრივ
მოვალეობის პირნათლად აღსრულებისა.
აზრიანი, ღრმა შინაარსიანი და საამო
იყო ვაჟკაცური სიცოცხლე ასეთის ადა-
მიანისა, მაგრამ მისი გმირული სიკვდილიც
ხომ არა ნაკლებ ღამაში და აზრიანი იყო!
პოეტს სჯერა, რომ ასეთის გმირის სული
„პირნათლად მივა სუფეთსა,
სადც იმის წინაშანაა,
რამ არ უმტუნა, ასრულა
გმირმა გმირული ვალა“.

ვაჟკაცობა და გმირობა ძველს საქარ-
თველოში ნამდვილ კულტად იყო აღიარ-
ებული. გმირის თავ-გადასავალი, მისი
„საქმენი საგმირონი“ საშვილისშვილოდ
ზღაპრად გადაიცემოდა ხოლმე ხალხში.
ამ თქმულების ზედგავლენით მხნევდებო-
და ისედაც ძლიერი სული ქართველისა;
ის ასაზრდობდა ქართველის ენერჯიას
და ფანტაზიასაც. ეს გმირობა,—გმირობა
აზრიანი და ნაყოფიერი,—სრულებით არ
ჰბადებდა მაშინ ქართველთა შორის შურს
და უაზრო მეტოქეობას. ეს თვისება ძვე-
ლად წმიდათა წმიდათ მიაჩნდათ, მისი
როგორმე შებღალვა აღსარებულ იყო
მომაკვდინებელ ცოდვად და მძიმე და-
ნაშაულობად. პირადი თავმოყვარეობა,
კერძო ღირსება, სასარგებლო, მაგ-
რამ არა საეროვნო, მოქმედება, მოწი-
წებით მუხლს აყრიდნენ მის წინაშე.
აი, მაგალითად, თავგანწირული მეომარი,
ლეკების თავდასხმის დროს შემთხვევით
სიკვდილს გადაარჩენილი, რა სიტყვებით
და რა გრძნობით მოუთხრობს მესაუბრეს
ბაკურ-გმირის საოცნებო ამბავს.

„...—არ მინდა, ძველი დარღები,
რამ გუღში აიწეწას.“

მე რა ვთქვა? უნდა კაცობა
ბაკურმა დაიკვივს...
ჩემ ფერეების სიტაცხლე
სამაყეს დაიკვივს...
„—რად იტყვი, კაცო მაგას,
თავს რადა სწინლაგ ფეხითა?“ ეუბნე-
ბა მას მსმენელი.


პასუხი:

„—სიმათლით მარტო ეს შეთქმის,
მამ ტუფილი ვთქვა კვიხითა?
ვერ შეეძელ იმის მხრის ჭკა,
ვერ მოვკვდი, სული მეტკბილა...
ბაკურის რმი და ქტევა
ნეტავი თვალთ გეჩილა!
გული მკლავს, ცოცხლად რისთვის
მტერს ჩაუვადი ხელშია, —
ამისგან ახლა ფიქრები
შხამად ამომდის უელშია.
თავის ადებს არ მწადის,
ველარც გაუძლიჯვარ წელშია“.

მომთხრობი შემდეგ ცოცხლად და
ძლიერის გრძნობით აღწერს თვით ფაქტს
ბაკურის განსაცვიფრებელის გმირობისას,
პირადის გრძნობის და ინტერესის უარყო-
ფისას.

ერთს დროს დიდი ლეკის ჯარი, რო-
გორც ღობე, გარს შემორტყმია „ბაკუ-
რის ციხე-ეზოსა“. შვიდი დღე და ღამე
გაცხარებული ხელჩართული ბრძოლა ყო-
ფილა. ქართველებს ბევრი მტერი დაუ-
ხოცნიათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მერვე
დღეს თოფ-წამალი შემოპკლებიათ. ამ
გარემოებას „გაუცუდებია“ მთელი მათი
თავ-განწირვა. შეუტყვია რა მტერს ქარ-
თველების გაჭირვებული მდგომარეობა,
ციხის „ლიბოს“ შემორტყმია, რათა ციხე
აეღო. „უძილონი, მშიერ-მწყურვალნი“
ქართველები გალომებულან, თავი ვასა-
წირავად გადაუღვიათ. ყველაზე უფრო

5700000050
33307
48275
33307
33307



„გაცეცხლებულა“ გმირი ბაკური, რომელსაც ასეთის სიტყვით მიუმართავს ქართველებისთვის:

„—უნდა ცოლშვილით მტერს დავრჩეთ, სირცხვადი კისრით ვზიდეთა!!

მას მეტყე ტანზე აბჯარი როგორღა დავიკიდეთა?!“

ცეცხლად გადიქა ბაკური მარტო ოხვრად და კვნესდა...

„—ვაჭმე, დედას მტრისას“ —ესა სთქვა ხელი გაიფლო ხმაღზედა;

„ისევე მე დავხოცთ“ და ცოლ-შვილს თავები დასჭრა წამზედა.

მტერს მიეგება ციხის-კარს,

მეც იმას მივეუკვ კვალზედა.

გაუხტა ხმაღ მოღერებით,

ფრანგულმა გაუცინაო:

თორმეტი მოჭკლა ციხის კარს,

ერთ-ერთზე დაწვინაო,

ვეფხვსა დაცვდა კლანჭები:

ბაკურმაც დაიძინაო“ (ცრ. 92).

ძველი ქართველი, ვაჟას წარმოდგენით, მთელს თვისს ძალ-ღონეს, სულიერს ენერგიას და პირად კეთილდღეობასაც სწირავდა სამშობლოს და მის ბედნიერებას. დაავადებულების ან მოხუცებულების დროს ქართველს ყველაფერზე უფრო სადარდელად და სამწუხაროდ ის უჩნდა, რომ „ველარ შეჯდებოდა ცხენზედა, ველარც ხმალს დაატრიალებდა“, ქართველ ჯარის „სილაღეს — დროშას ვერ ააფრიალებდა“ და სამშობლოს „გამბთილებელის ბანაკს ვერ გაატრიალებდა“ („რაინდის ჩივილი“, ცრ., 174).

მართლაც, საუცხოვო სანახავი იყო თავგანწირული ძველი ქართველი ბრძოლის ველზე! მისი ერთი დანახვა მთელს ჯარს სიმამაცის და თავგანწირვის სულს შთაბერავდა და საარაკო საქმეებსაც ჩაადენინებდა ხოლმე.

„... მე რომ მნახავდნენ ხმაღ ამოწვდილს“, — მოგვეთხრობს გმირი, —

ჯარი გაცოცხლის მთელა

და მიესევს მტრის ლაშქარს,

როგორც ცხვრის ფრანს შგეღა“ (ცრ., 175)

ასეთს თავგანწირულს „შრომას და ღვაწლს“ ძველი ქართველი არ ამადლიდა სამშობლოს, მაშინაც არ აყვედრიდა და სულგრძელად აპატიებდა ერს, როდესაც მას, „მუხლში ქარებ ჩამდგარს“ და „წელ“ დასუსტებულს, გულცივად, თითქმის უყურადღებოდ სტოვებდა ყველა — „ერი და მღვდელი“. გმირს ნუგეზად უნჩნდა თვით წმინდად და პირნათლად შესრულებული მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

„ან ვის ვაბრალო, ვემდურაო:

სუეველა ჩემი ბრალა,

ხომ ავასრულე, მეწადა,

მე კაცობრივი ვაღა“ — ინუგეშებს

თავს დაუძლიურებული გმირი.

გამუდმებული თავგანწირვა სამშობლოსათვის და შეუწყვეტელი ბრძოლა მტერთან ასალკდევებდა ძველს ქართველს. პირველ შეხედვით, თითქოს მკაცრი, ცივი და მიუთვისებელია სახე ამ გმირისა. მაგრამ თუ დააკვირდებით, დაინახავთ, თუ რამდენი სულიერი სიძლიერე, ხასიათის სიმტკიცე და ღრმა გრძნობაა ჩაქსოვილი მასში! აი თუ გინდა ავიღოთ ჩალხია, რომელიც, პოეტის შედარებით, „რძით ნახელ, რკინით ნაგებსა კოშკსა ჰვავს გოხით ნაქოლსა“. — ჩალხია ნამდვილი განხორციელებაა ომში და ჭირში გამობრძმენილი გმირი-ვაჟაკის შეუღარებელის ხასიათისა.

ჩალხიას საზოგადო უბედურობასთან ერთად პირადი საშინელი უბედურობაც ეწვია.

„... დერეფანს სამი კუბო სდგას,
სამი ცხედარის სწოლი,
ერთი დედა შვილების,—
შვილები მასთან ნაყოფი.
გათავდა ჩაღბის ბედობა,
იმისი სარჩო-საყოფი;
ადარეინ დარჩა ვაჟ-კაცსა
იმისი ამყოფ-დამყოფი,
ადარც დაშქრობას ერთგული,
ადარც საქმეზე გამყოფი“.

ესენი იყვნენ ცოლ-შვილი ჩაღბისი, მსხვერპლნი თავგანწირულის ბრძოლისა შშობლიურ კუთხის დაცვის დროს. უბრალო ადამიანი, ჩაღბის ბედში მყოფი; იმედ გამწყდარი და სასოწარკვეთილი, უსათუოდ მიეცემოდა ურვასა და ვაებას, ცრემლთა დენით და მოთქმით ააქვითინებდა და ააცრემლებდა ყველა დამსწრეს და მნახველს.—

„არც არას ამბობს ჩაღბისა,
ჩიბუხსა სუტავს მხოლოდა;
ფეხ-ფეხზე გადადებულნი
დამჯდარა ტახტის ბოლოსა.
ვინაა ისეთი მოზარე,
რომ იგი აიყოლოს?
როგორც ქვას, ცრემლი არ მოსდის,
გული თუმც სტიკია მწარედა;
გულშივე ხარშავს ნაღველსა,
არ გამაჩენს გარეთა...
არავის უკუარს იქ მყოფთა,
რატომ არ სტირის ჩაღბისა:
ვაჟ-კაცად არის ცნობილი,
განა დიაცა, ბაღდა,
რომ თავის დადებებითა
აცრემლ-ატირის ჩაღბისა
და მტერსაც გადადებულსა
ის ათქმევინოს: „ახია!“
ვერ შასძლებს შეუძლებელსა:
ჯვარს ვერ დაიმხნევს ბგია.“

ჩაღბისას ასეთი ქცევა
სხვებისთვის მაგალითია—
გაადვილოს სიკვდილი
დაჩარის ხაღბის თვალშია:
რას ხმაღზე საქმე მიდგება,
არ აკანკალებს მკლავშია“ (ცრ., 184).

ასეთი მძლავრი და შეუღრეკელი სულის მატარებელი სხეულიც თავისებური უნდა ყოფილიყო; და ვაჟაც, თუმცა ტლანქად, მაგრამ ცოცხლად აგვიწერს მას. ჩაღბისა და „ორი მისი სწორები“, მოსულნი უბედურობის დროს ძმად შეფიცულთან, აი როგორ აქვს პოეტს გარეგნულად აწერილი:

„... ორნი მხარ და მხარ უსხდნენ,
ახლად მოსვლიან სწორები:
ერთი შავრდა, სხვა გივი,
ორი მთა და გორები;
ისინიც მისებრ კერპები,
დაშქარში მოზიარენი,
გულს უმაგრებენ ჩაღბისა,
გმირნი ტყავ-ჩაღბისანი.
დაჭრეხილ ფაფარინი,
ხმა მუდივან-ბოხიანები,—
თითო ორალი წარმოთქვეს,
სიტყვები ბოძიანები.
გახსნეს არაუის დოქებიც,
საფევეთ ძინძიანები
და გაუწოდეს უანწითურთ
მკლავები ტოტანები“...

გარდა გოგოლისა, სხვას ძვირად შეხედებით ისეთს მწერალს, რომელიც გმირის სულიერ თვისებას და ხასიათს ასე მშვენიერად უხამებდეს მისი გარეგან ფორმებს, სახეს, როგორც ვაჟა-ფშაველა. ეს დიდი ღირსებაა მწერლისა.—

ძველს ქართველს თავისთავად არ აში-

ნებდა და არ ანაღვლიანებდა ომიანობა, თოფ-ხანჯლის ტრიალი და სამკვდრო-სამსიცოცხლო ბრძოლა: მას „ტყვიის ხმა“ დედის „ნანად“ მოესმოდა. და როდესაც გაიგონებდა მოწოდებას საომრად, „გული უწყებდა ფრიალსა“, რადგანც თვალ მოეჩვენებოდა „ვაჟ-კაცთა ომი, შუბ-ხმალთა ტრიალი“ და „ომი-ქორწილი ეგონა და სისხლის რუ-წყარო მდინარე“. აი რას ამბობს ერეკლეს თანამედროვე მოხუცი გმირი:

„ველი,—სადა და რადისა
თქრიალს შიადეს ჯარით,
რომ მეც მოვასტე შაკასა,
ზიხს დავისახო ჯვარით;
მეც მერგას წილად ომს უფთხა
მთარველად მამულისათ,—
ისე ჰგონაა მაშინ კაცს
ნათლული არის დვთისათ“ („მოხუცის
ნაამბობი“ თხ., 8 9).

არც მტრის სიძლიერე, არც თავისიანების რიცხვით სიმცირე, არც სხვა რამე აშინებდა ომში წასულს ქართველს: ომში ის ნატრობდა ან გამარჯვებას ან და სასახელო გმირულს სიკვდილს. ბრძოლის წინ ქართველები ჩვეულებრივად ერთმანეთს შეეკროდნენ ზედმიწევნით შემდეგის ძმურის პირობით:

„ქუდი ნუ ხურავ თავზედა,
ვინც არ იჩინოს გმირობა:
ვინცა ცოცხალი მტერს დაჩქეს
უმადა და სასაცილოდა,
დვთისაგან წუეული იუოს
გვართ საშვილის-შვილოდა!
თუ ვერ შევიძლოთ სიცადა,
გაკვირონ სასიკვდილოდა,
მოგვადეთ გვეხურეს მიწისა
ნაბადი მოსათბილოდა“ (გვ., 14).

ისტორიული ვითარება, თვით სამშობლოს გეოგრაფიული მდგომარეობა, ოჯახური და თემობრივი ჯრთი-ერთობა და თანდაყოლილი თვისებები ხელს უწყობდნენ ძველ ქართველებს აღეზარდათ და განევითარათ რაინდული სული. ამას დაუმატეთ შეგნება უწმინდესის მოვალეობისა, უანგარო სიყვარული სამშობლოსი და სურვილი ამ უკანასკნელისთვის თავის დადებისა. პოლიტიკური მრწამსი ქართველის თავდადებულის გმირისა ნათლად, მკაფიოდ და ლამაზად არის გამოთქმული ვაჟის ერთს ლექსში: „მხედართა ძველი სიმღერა“. მოვისმინოთ ეს პოლიტიკური ჰიმნი ქართველისა:

„მიტომ გაგზარდა დედამა,
მისთვის გვეტოლა ნანასა—
ტანზე ახჯარი ავისხათ,
მუდამ ვლესავდეთ დანასა,
რომ შიშს ვუგდებდეთ გულშია
მეზობელს მეტიჩარასა;
არ ვაქეჟინოთ სამშობლო
მეტოქეს ათას გვარასა.
გამოვეთხოვეთ ნათესავთ,
ცოლშვილთ და თავის უანასა;
სიკვდილს სიცოცხლე აღუთქვით
და პირი სისხლის ბანასა.
ცოცხალის თავით ვერ მივსცემთ
მტერს თავის მიწის დალასა.
გაჭზრდის-და კიდევ მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?!“

სამშობლსათვის სიცოცხლეს
ისე ვწვავთ, როგორც ჩაღასა;
ვწუდებით გულ დამშვიდებულნი.
და თანაც ვმღერით ამასა:
მშობელი მოკვდეს, რა უმაგ,
შვილები რჩება მამასა,
კიდევ ექნება ფრთეები

ამ წუთი სოფლის ჯაქასა.
 კარგის მამის შვილს, წესის,
 მტერიც უფრთხება კვალად:
 ხვალ და ზებ ვერ ვინ გაბედავს
 შინ შემოგვეჭრას ძალადა...

სამშობლას აჩვის წავართმევთ,
 ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
 თორემ ისეთს დღეს დავაურით,
 მკვლაცხსაც კი გაეცინება.
 არ მივცემთ სხვასა სამშობლას
 ჩვენის სიცოცხლის თავითა,
 უკან ვერ დავასვეინებთ,
 მისთვის ნადგვენის შესმითა.
 მტრისაკენ მივიჩილებით,
 რომ გავწუდეთ, რაგორც ლომები.
 ჩვენს ზურგს ვერ ნახავს მეტოქე,
 რომ გვნახო, მოგეწონება.
 შვილებს საზღაპრად ექნება
 ჩვენი ბძოლა და ომები!..

მართლაც, დღესაც „საზღაპრად“ გვაქვს
 „საქმენი საგმირონი“ ამ ჩვენის მამა პა-
 პებისა! ვინც ცოტაოდნად მაინც გაცნო-
 ბია საქართველოს ისტორიას, ის უთუოდ
 განცვიფრებას მიეცემოდა, რომ ერთი
 მუჭა ქართველებმა საარაკო თავგანწირვით
 გადაიტანეს შეუწყვეტელი ისტორიული
 გრივალი. ვგონებთ, არ არსებობს და
 არც არსებობდა დედამიწის ზურგზე იმის-
 თანა სხვა ერი, რომელსაც იმდენი სხვა
 და სხვა მოდგმის, რწმენის და ძალის
 მტერი გარს ხვეოდეს, როგორც საქარ-
 თველოს! სკვითნი, მონღოლნი, ჰუნნი,
 არაბნი, თურქნი, სპარსნი, თათარნი,
 ლეკები, დიდო, ქისტი—ყველა ქართლის
 მტერი იყო, ყველამ წაკრა თითო ხიშ-
 ტი“. —ამას ისიც დაუმატეთ, რომ ში-
 ნაურობაშიაც ქართველებში წინედაც არ

ყოფილა შეურყვევლი ერთსულობა და
 თანხმობა. უწინაც ყოფილა ქართველებ
 შორის, მომეტებულად წარჩინებულებში,
 შური, შულლი, განდგომა, ლალატიც.
 მაგრამ მიუხედავად ამ ხელის შემშლელ
 და დამაუძღურებელ გარემოებათა ქარ-
 თველებმა შექმნეს საკუთარი სახელმწიფო,
 ზოგიერთ ხანებში შესამჩნევად ძლიერი,
 საკუთარი კანონმდებლობა და სამართა-
 ლი, საკუთარი მდიდარი მწერლობა, ხე-
 ლოვნება, თავისუფალი ეკკლესია.

და დღესაც, როდესაც თითქმის ყველა
 მისი თანამედროვე სახელმწიფოებანი,
 ერთს დროს ძლიერნი და განათლებულნი,
 აღიგავენ „პირისაგან ქვეყნისა“ და მათს
 არსებობაზე „ქვანიც არ ლაღადებენ“, —
 დღესაც პატარა საქართველო, არც ეგრე
 ძლიერი და განათლებული, თვისის შეგ-
 ნებულ და თავგანწირულ მშობლიურ
 მიწა-წყლის სიყვარულის ზედგავლენით,
 დღესაც არსებობს, დღესაც ითვლება ერ-
 თა შორის, დღესაც გრძნობს ძალას და
 ღონეს თვისი ხალხისობა და ეროვნობა
 შეირჩინოს, დღესაც ასულდგმულებს მას
 უმაღლესი პოლიტიკური და სოციალური
 იდეალები... მართალია, ბოლო დროს
 მას თითქოს მიეძინა და ამ ძილის დროს
 კინალამ დაჰკარგა ყოველივე ის, რასაც
 საუკუნეთა განმავლობაში თავგამოდებით
 იცავდა, მაგრამ მისმა საუკეთესო შვილებ-
 მა დაუძღურებულ მშობელში შეამჩნიეს
 სასიცოცხლო ძარღვის ცემა და სასიამოვნო
 ყიყინი დაჰკრეს: არა, საქართველო
 არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავსო... დღეს
 მართლაც ყველა მტერ-მოყვარესთვის
 ცხადზე უცხადესია, რომ საქართველო
 არ მომკვდარა და არც ასე ადვილად
 მოჰკვდება: ეტყობა, რომ ის ცხოველ-
 მყოფელი ძალა, რომელიც ასულდგმუ-
 ლებდა საქართველოს მთელი მისის მრავალ-

ტანჯულ სიცოცხლის განმავლობაში, არ გამქრალა.

საქართველოს შვილებს დღეს „საზღაპროდ აქვთ:“ არა მარტო „ბრძოლა და ომები“ ძველი საქართველოსი, არამედ მისი გონების ნაწარმოებიც. „საზღაპროა“ ის სულიერი ძალაც, მხნეობაც, რომელიც ქართველს გამოუჩენია რამოდენიმე ათასის წლის თვისი ისტორიულს ცხოვრებაში და რასაც დღესაც იჩენს მიუხედავად ათას ხელის შემშლელ გარემოებათა.

თვისს საარაკო მხნეობას და სულიერს ძალას ქართველი ძველად განსაკუთრებით პოლიტიკურ ცხოვრების დაცვას ანდომებდა, სამშობლოს თავისუფლებას და მთლიანობას მსხვერპლად სწირავდა. ქართველი არასდროს არ იჩენდა მისწრაფებას სხვისი დამონავებისას და თავისუფალი ერის დაპყრობისას. მისი დევიზი იყო: „სამშობლოს არვის წაგართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება“. თუ მაინც ვინმე „შინ შემოეჭრებოდა ძალადა“, მაშინ ძველი ქართველი „სიცოცხლეს მისთვის სწირავდა, როგორც ჩალასა“ და ცოლ-შვილის და თავისთავის კეთილდღეობას მას მსხვერპლად სწირავდა.

ამის შემდეგ, სრულებით არ იყო უნიადგო და უსიამოვნო კვენა-ბაქიაობა, როდესაც ჩვენი მამები თამამად და წმინდის გულით იტყოდნენ: „გაზრდის-ლა კი-

კიდევ მშობელი ვაჟ-კაცსა ჩვენისთანასო?!“

მიუხედავად „ზღაპრული“ თავგანწირვისა, ბევრჯელ დადგომია ქართველებს დრო განსაცდელისა და უბედურობისა; ბევრჯელ მოუხრიათ მათ ძლევამოსილი მტრის წინაშე ამაყი ქედი; ბევრჯელ შემუსვრილა მათი პოლიტიკური ძლიერება: აოხრებულა დაბა-ქალაქები, დანგრეულა ციხე-კოშკები, საყდარ-მონასტრები; გათელილა ამწვანებულ-აბიბინებული მინდორ-ველები; შეწყვეტილა საყდარ-მონასტრებში ქებათა-ქება შემოქმედისა და სიამოვნო კითხვა „ვეფხის ტყაოსნისა“...

მაგრამ ქართველი მაინც სულით არ დაცემულა, სასო არ წარკვეთია, აღდგომის, გამარჯვების იმედი არ გაჰქრობია, ვინაიდან დიდი ხნის გამოცდილებამ და დაკვირვებამ იმ საიმედო დასკვნამდე მიიყვანა, რომ „მშობელი მოჰკედეს, რა უშავს, შვილები რჩება მამასა, კიდევ ექნება ფრთები ამ წუთი სოფლის ჯარასა“. და მართლაც, არა ერთხელ უწინდელ დროში საბედნიეროდ დასტრიალებია საქართველოს „ფრთები ამ წუთისოფლის ჯარასი“... იმედია, მომავალშიაც დაუტრიალდება!

„ახალი“ საქართველოც ამ იმედით სულდგმულობს!

იპ. ვართაგავა.

(შემდეგი იქნება)



ცოტა რამ ძველი ფილოსოფიის ისტორიიდან

მილეთის ნატურფილოსოფია

ისტორიული პირობები. მართალია ჯერ ისევ საბერძნეთის სწრაფი მხარეებში იხენს თავს ფილოსოფიური აზროვნება, მაგრამ ცოტად თუ ბევრად სისტემატიურ სხეს ეს აზროვნება იღებს მხოლოდ შექვეყნებული საუკუნეებში ქრისტეს წინ. ეს სწორედ ის დრო არის, როდესაც საბერძნეთში ჩნდება ტირანოფილი ფორმა მართვა-გამგეობისა. ამ დრომდე ბატონობა წარჩინებულ ჰარტა ხელში იყო. მაგრამ ეკონომიურად განვითარებულმა საბერძნეთმა მიაღწია განვითარების იმ წერტილამდე, როდესაც ბატონობა არისტოკრატისა შეუძლებელი და ჰხდებოდა. ჩნდება ტირანიები, რომლებიც რადენაღმე ათანასწორებენ სხვადასხვანაირ კლემენტებს და დემოკრატისას გასაფაცხს აძლევენ. პოლიტიკურ ცხოვრებას დაშორებული, არსებული წეს-წყობილებით უკმაყოფილო არისტოკრატის თავის პირადს ცხოვრებას დაუბრუნდა და პოეტურს შემოქმედებაში ეძებდა ზნეობრივ კმაყოფილებას. სწორედ ამ დროს განვითარდა საბერძნეთში პოეზიის პოეზია.

პოლიტიკური და სოციალურმა ცვლილებებმა გამოიწვია ერთგვარი განთავისუფლება პირფრებისა, რომელიც იმ დროინდელი ცხოვრების აქტიურ მონაწილედ ჰხდებოდა. ეს მადრამა, რა თქმა უნდა, მარტო თვით საბერძნეთში არა ხდებოდა. იგი ეხებოდა საბერძნეთის მრავალრიცხოვან კუნძულებს და, სხვათა შორის, მცირე აზიის ნაპირებზე მდებარე ბერძნების ახალშენებს. აქ იონიულთა ახალშენებში, რომლებიც მუდმივ ვაჭრულ ურთიერთობაში იყვნენ იმ დროინდელ კულტურულ მსოფლიოსთან, პირველად ჩაისახა

ფილოსოფიური აზროვნება, ამ სიტუაციის ნამდვილის მნიშვნელობით. სადა და მარტივია ეს ფილოსოფია, მაგრამ იგი მაინც იმის მძამს-წავებელია, რომ განება ძირითად საკითხებს უკვირდება და ჰსურს ცოდნას სისტემატიური ხასიათი მისცეს. აქედან იწყება სისტემატიური განვითარება ფილოსოფიისა, ამის შემდეგ დრმაგდება ფილოსოფიური აზროვნება და იყოფა სხვადასხვანაირ პრამლებებად.

თალესი. ადამიანს რომ თვალები დაუხუჭოთ, სრულიად უცნობ ადგილას მიიყვანოთ და მერე თვალები აუხილოთ, პირველი იმისი კითხვა იქნება: სადა ვარ?

სწორედ ასეთსავე კითხვას აძლევს ადამიანი თავის თავს ცნობიერების პირველ საფეხურზე. იგი უცქერის გარემოცულ ბუნებას, აკვირდება ბუნების მოვლენებს და ჰსურს გამარკვევოს, საიდან წარმოსდგება ეს მოვლენანი, რა არის ქვეყანა, როგორ გაჩნდა იგი, რაში გამოიხატება ადამიანის დანიშნულება და სხვა. ერთი იმ პირთაგანი, რომელიც პირველად ჩაუფიქრდა ამ საკითხებს და თავისებური პასუხიც მისცა, თალესია.

ნამდვილი ცნობები იმის შესახებ, თუ როდის დაიბადა **თალესი**, არ დაჩინილა. და ნამდვილებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ თალესი ეკუთვნოდა იმ შვიდ ბერძენთა რიცხვს, რომელთა შესახებაც ბევრსა დაპაპაკობდნენ შექვეყნებული საუკუნის ბერძნები. თალესი, როგორც ისტორიულ წყაროებიდან სჩანს, პოლიტიკურ ცხოვრებაშიც იღებდა მონაწილეობას. იმან წინადადება მისცა იონიულებს, დაეარსებინათ ფედერაციული სახელმწიფო,

რომლის საერთო საბჭო თეოსში უნდა ეფილიყო.

თაღესი ადგურვილი იყო ცოდნით, რომელიც, იმ დროსთან შედარებით, საჭიროდ დიდს ცოდნად უნდა ჩაითვალოს. დარჩა თქმულება, რომ თაღესმა იწინასწარმეტყველა მზის დაბნელება. სჩანს, მას ჰქონია ასტრონომიული ცნობები. თაღესი დახელოებული მათემატიკოსი იყო და მრავალი თეორემის დამტკიცებას მას აწერენ. იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მის შემდგომ ფილოსოფოსთა ნაწერებში დარჩა, აუცილებელი სიმტკიცით შეიძლება ითქვას, რომ თაღესი ერთი ნასწავლი და გავლენიანი პირთაგანი იყო თავის დროისა. მიუხედავად ამისა, თაღესის არავითარი ნაწერები არ დარჩენილა. არამც თუ ნაწერები არ დარჩენია, სხვებსაც არა აქვთ ნაჩვენები, თაღესი საზოგადოდ სწერდა თუ არა. ამიტომ თაღესის ფილოსოფიური აზროვნების შესახებ მსჯელობა შეგვიძლიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი მომდევნო ფილოსოფოსები გვაძლევენ ცნობებს ამ ფილოსოფიის შესახებ.

როგორც ვსთქვით, თაღესი ერთი იმ პირველი მათემატიკოსი იყო, რომელიც საზოგადო საკითხებს ჩუქვირდნენ და ჰსურდათ აესნათ, თუ რა არის მსოფლიო, საიდანა ვჩნდებით, რისთვისა ვსტყვობთ, რა საბოლოო მიზანი უდევს წინ კაცობრიობასა და სხვა. ამ საკითხების გადაწყვეტის დროს, რა თქმა უნდა, ფილოსოფოსს შეეძლო ესარგებლა მხოლოდ იმ მასალით, რომელიც იმ დროს ჰქონდა ხელთა. ძალიან ცოტა ცნობები მოიპოვებოდა იმ დროს და ფილოსოფიური დასკვნაც, რა თქმა უნდა, პრიმიტიული და სიდა იყო ხელში.

თაღესი დაუკვირდა გარემოცულ ბუნებას და დაინახა, რომ უკვლავური ნივთიერებისაგან შესდგება. გარდა ამისა, ერთი სახის ნივთიერება ცვლება მეორე სახის ნივთიერებით,

მაშასადამე, იგი მუდმივ ცვალებადებაშია. რას ხან ეს ასეა, რას ხან ცვალებადებაში მეორე ნივთიერება სხვადასხვანაირ სახეს იღებს, უსათუოდ უნდა არსებობდეს ერთი რომელიმე ძირითადი ნივთიერება, რომლიდანაც იქმნის მრავალსახეობა. რანაირი უნდა იყოს ეს ძირითადი ნივთიერება? იგი ისეთი უნდა იყოს, რანაირიც უფრო ხშირად გვხვდება. ცხოვრებაში. ასეთი ნივთიერება კი წყალია. მაშასადამე, თაღესის წარმოდგენით, ის ძირითადი ნივთიერება, რომლიდანაც ქვეყნის მრავალსახეობა იქმნის, წყალია. მართალია თაღესმა ქვეყნიერების ძირითად ნივთიერებად წყალი აღიარა, მაგრამ ის კი აღარ გამოურკვევია, თუ რანაირად, როგორა ჩნდება ამ ნივთიერებიდან ქვეყნის მრავალსახეობა, რანაირად გადადის ერთი სახის ნივთიერება მეორე სახის ნივთიერებად. ვიცით მხოლოდ, რომ თაღესის წარმოდგენით, ეს ძირითადი ნივთიერება ქვეყნისა. წყალი, მოძრაობს თავის-თავად. ამასთანავე ერთად, რადგანაც ცხოვრებაში სწარმოებს დაუსრულებელი ცვალებადება და დაუსრულებელი გარდაქმნა ერთი სახისა მეორე სახად, ეს მოძრაობაც ძირითადი ნივთიერებისა უნდა სწარმოებდეს გამოუღმები. ამ შეხედულებას, რომელს მიხედვითაც ნივთიერებას, მატერიას, თანდაყოლილი აქვს თვისება მოძრაობისა, სიცოცხლისა, პილოზოიზმი (hyle—მატერია, zoé—სიცოცხლე) ჰქვია.

ამ რიგად, თაღესის ფილოსოფია არის პირველადი ფილოსოფიური მონიზმისა. მონიზმი ჰქვია ისეოს მოძღვრებას, რომელიც ქვეყნის დასაბამს საფუძვლად უდებს ერთს რომელსავე ნივთიერებას ან ძადას. თაღესს ქვეყნიერების ძირითად და ამასთანავე ერთად ერთს ნივთიერებად წყალი მიაჩნდა, და ამიტომ შეგვიძლიან იგი პირველ მონისტად ჩავსთვალოთ. უკვლავ ის საკითხები, რომლებიც თაღესს აინტერესებდა, რა თქმა უნდა

თვით თაღესის დრეს არ დაიბადა. საბერძნეთის მთელი მითოლოგია ნაყოფია ცნობიერებაში მოსულ ადამიანისა. ახალი თაღესის აზროვნებაში ის არის, რომ მან საბერძნეთის მითოლოგიაში არსებული სიმბოლოები შესცვალა ნივთიერებით. საბერძნეთის მითოლოგიის **პიროვნებათა** ადგილი დაიჭირა **ნივთიერებამ** და ამითვე ჩაეყარა საფუძველი ფილოსოფიურ აზროვნებას როგორც ბუნებისმეტყველებას.

ასეთი იყო ფილოსოფიის თაღესისა. იგი მარტივად მსჯელობს, მაგრამ ამ მარტივ მსჯელობაშია მისი მისი სურვილი ქვეყნიერების განსაზღვრისა.

ანაქსიმანდრი. ანაქსიმანდრმა თაღესის აზროვნება უფრო გააღრმავა და მეტი ფილოსოფიური მთლიანობა მისცა. თაღესი გვასწავლიდა, პირველ-ყოფილი ძირითადი ნივთიერება წყალი არის. ანაქსიმანდრი ჩაუფიქრდა ამ გარემოებას და ასეთს დასკვნას დაადგავს: თქვათ, არსებობს ერთი რომელიმე ძირითადი ნივთიერება. ამ ნივთიერებიდან მუდამ ახალ-ახალი საგნები იქმნის. ერთხელაც არის ეს ძირითადი ნივთიერება უნდა დალეულიყო. რასხნ ეს ასე არ მოჭხდა, სჩანს ეს ძირითადი ნივთიერება **დაუსრულებელი** ყოფილა. ამისთანა მსჯელობის შემდეგ ანაქსიმანდრი იმ დასკვნას დაადგა, რომ **პირველყოფილი** (*ἀρχή*) **დაუსრულებელია** (*ἄπειρον*), ე. ი. ის, რაც პირველად იყო და რაც საფუძველად უდევს ქვეყნიერებას, არის **დაუსრულებელი, უსაზღვრო**. ამ პირველყოფილ დაუსრულებელს ანაქსიმანდრი ბევრნაირად ახსნათებს: იგი მუდამ არსებულა, არ გაჩენილა, მუდამ იარსებებს, არასოდეს არ გაქრება. მაგრამ რა არის თავის თავად ეს დაუსრულებელი? ნივთიერებაა, როგორც თაღესის წყალი, თუ სხვა რამ? ზოგი გადაჭრით ამბობს, ანაქსიმანდრს არასოდეს არ უთქვამს, დაუსრულებელი ესა და ეს ნივთიერება არის. ცუდჯერ

ამტკიცებს, ანაქსიმანდრს დაუსრულებელი ნივთიერების სხვით ჰქონდა წარმოდგენილი საკვამ და საკითხავი მხოლოდ ის არის **რომელი** ნივთიერება მიაჩნდა ანაქსიმანდრს დაუსრულებულად. ამის შესახებ არავითარ გარკვეული ცნობა არ არსებობს და ამიტომ იძულებული ვხდებით დავკმაყოფილდეთ იმით, რომ, ანაქსიმანდრის წარმოდგენით პირველყოფილი იყო დაუსრულებელი. თ მხედველობაში მივიღებთ იმას, როგორც ანაქსიმანდრი ახსნათებს ამ დაუსრულებელს, ი დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ანაქსიმანდრი დაუსრულებელი არის დასაბამი ზეგარძნობიერი მეტაფიზიკური, წინააღმდეგ თაღესის ფიზიკური ცნებისა— წყლისა. საინტერესოა, როგორ ესმოდათ ეს ცნება ძველი დროის ფილოსოფოსებს. არისტოტელი ამის გამო ერთს თვის თხზულებაში სწერს: „ყველა იმით, სრულიად საფუძველანად, იგი, (ე. ი. დაუსრულებელი) მიაჩნიათ დასაწყისად... ყველაფერს აქვს დასაწყისი, ან თვითონ არის დასაწყისი. დაუსრულებელს კი დასაწყისი არა აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დასაწყისი მისი საზღვარი იქნებოდა. როგორც დასაწყისი, ი არც წარმოიშობა და არც განადგურდება. ყველაფერს დაბადებულს აქვს თავისი დასასრული დასასრული აქვს აგრეთვე განადგურების უფლება ვაკ ვრცელს. ამიტომ, თანხმად ზემოთქმულისა, დაუსრულებელს არა აქვს დასაწყისი, პირ-იქით, თითონ არის დასაწყისი უფელივესი, ყველაფერს შეიცავს და ყველაფერს განაგებს, როგორც ამტკიცებენ ისინი, ვისა დაუსრულებელის გარდა, არავითარი დასაწყისი არა სწამს... ეს დასაწყისი ადარებულ დემურთად (τὸ φεῖτον). ვინაიდან იგი უგვლავია განადგურებელი, როგორც ამბობს ანაქსიმანდრი სხვა ფიზიკოლოგებთან ერთად. *)

*) იხ. С. Н. Трубецкой: Ист. др. Фил. 33. 64.

ამნიარად გადმოგვცემს არისტოტელი თანამედროვეთა აზრს ანაქსიმანდრის ფილოსოფიის შესახებ. როგორ გაჩნდა ხილული ქვეყნა ამ დაუსრულებელისაგან? ქვეყანა ხომ მრავალ-სახიანია, დაუსრულებელი კი ერთსახე? როგორ წარმოიშვა ერთსახეობისაგან მრავალსახეობა? ანაქსიმანდრი ამის პასუხსაც გვაძლევს. ანაქსიმანდრის პირველყოფილში, რომელსაც იგი დაუსრულებელს ეძახის, დასაბამიდანვე ერთი შეიქმნა სწინააღმდეგო ძალები არსებობენ. დაუსრულებელის შუდმივი მოძრაობის პროცესში ეს მოწინააღმდეგე ძალები დაუსრულებელს შორდებიან და დამოუკიდებელ სახეს იღებენ. თავდაპირველად ჩნდება ორი წინააღმდეგობა: ცივი და თბილი, სიცივე და სითბო, ან ნისლის მსგავსი ჰაერი და ციციხელი. ამ ორი ძალის მოქმედება ჰქმნის ქვეყნიერებას. ცივ ჰაერს გარს ციციხლად ქცეული ეთერის მსგავსი რამ ნივთიერება ახვევია. გაცხელებული ცივი ჰაერი მოძრაობაში მოდის. ჩნდება ქარი. გაცხელებული ჰაერი გარემოცულ გარსს არღვევს. ამ გარსიდან ჩნდება რტოლები. თვითთველ ამ რტოლთაგანს ახვევია ლურჯი ჰაერი, რომელსაც ეს რტოლები მოძრაობაში მტყუავს. ამ ჰაეროვან რტოლებში, რომლებიც ციციხლის მსგავს რკალებს ახვევია, ერთგვარი ჭურჭრუტანებია. ამ ჭურჭრუტანებიდან ჩვენს ვხედავთ ვარსკვლავებისა, მთვარისა და მზის შუქს. უველახე მადლა მზის რტოლია მოთავსებული, მერე მთვარის რტოლი, სულ ბოლოს კი — უძრავ ვარსკვლავთა რტოლები. უველა ეს რტოლები ქარს მოჭყავს მოძრაობაში. ღრუბლებიც სწორედ ასეთივე მოძრაობაა. ღრუბლები შეკუმშული ჰაერია. მათში ხშირად იმყოფება ციური ციციხელი. რტოსაც აბობქრებული ქარი ღრუბელთა რკალებს სწევავს, მათში ჩნდება ეს ციური ციციხელი და ჭეჩქარუხილით გვევლინება.

ქვეყნიერების შუა ადგილას სდგას მიწა, რომელსაც გარშემო ჰაერი ახვევია. პირველად

მიწა მაგარი კი არ იყო, არამედ თხელი. თანდათან მზის სითბომ მიწა ამოაშრო და გამაგრა. სითხის ნაწილი ისევ დედა-მიწაზე დარჩა და ზღვის სახე მიიღო, მეორე ნაწილი კი ჰაერად იქცა, გაჩნდა ქარი, რომელიც მზისა, მთვარისა და ვარსკვლავების მოძრაობას იწვევს. რასან პირველ ყოფილი დედა-მიწა სითხე იყო, ცხადია, პირველყოფილი ცხოველებიც ისეთები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც სითხეში შეუძლიანთ ცხოვრება... ასეთები კი თევზები არიან. ანაქსიმანდრის წარმოდგენით, პირველყოფილი ცხოველები თევზის მსგავსი ცხოველები იყვნენ. თანდათან, იმისდამხედვით, თუ რასიარად იცვლებოდა დედა-მიწა, პირველყოფილი ცხოველებიც იცვლებოდნენ. ადამიანიც პირველად თევზის მსგავსი არსება იყო და მხოლოდ შემდეგ მიიღო ეხლანდელი სახე.

როგორცა ჰხედავთ, ანაქსიმანდრი ძალიან გულ-უბრუნებლად ჰქსნის მრავალ მოვლენას. მიუხედავად ამისა, არ შეგვიძლიან ხაზგასმით არ აღვნიშნოთ, რომ აზროვნების პირველ საფეხურზე იგი მაინც სცდილობდა მიეტანათ მთლიანი შეხედულება ქვეყნიერების წარმოშობის შესახებ. ანაქსიმანდრის კოსმოგონია, ანუ ომდგრება ქვეყნიერების წარმოშობის შესახებ, ძალიან პრიმიტიული და სადაა, მაგრამ მასში ჩვენ მაინც ვხედავთ ჩანასახს ევოლიუციონურ თეორიისას, რომელიც სულ უკანასკნელ ხანებში განვითარდა. ანაქსიმანდრი ჰხედავდა, რომ ქვეყნჭურება და ცხოველები უსათუოდ უნდა განვითარებულიყვნენ, დაბალ საფეხურიდან უმაღლეს საფეხურამდე მისულიყვნენ. ეს კი უკვე დიდი სამსახურია ფილოსოფიისთვის. რაც უნდა მარტივი არ იყოს ანაქსიმანდრის კოსმოგონია და საზოგადოდ მისი ფილოსოფიური აზროვნება, ის მაინც თვალსაჩინოდ დარჩება, რომ მან პირველმა ადინა დაუსრულებლობა სუბსტანციისა. ეს არის

ახალი ცნება, რომელიც ანაქსიმანდრამდე არ არსებობდა.

ანაქსიმენი. თაღესი, პირველი ნატურფილოსოფოსი, ქვეყნიერების დასაწყისის ეძებდა ისეთს საგანში, რომლის განცდაც შეიძლება ემპირიულად, ე. ი. ცდის საშუალებით. წყალი სწორედ ასეთი საგანი იყო. ანაქსიმანდრმა ქვეყნიერების დასაბამი დაინახა მეტაფიზიკურ, განუყენებელ ცნებაში და ამხარად დაუსრულე ბული დასახა. ამიტომ თაღესი პირველ ფიზიკოსად შეიძლება ჩათვალოს, ანაქსიმანდრი—მეტაფიზიკოსად, ე. ი. ისეთს აღმინად, რომელიც ქვეყნის ახსნას ხელეულ, ფიზიკურ ქვეყნის იქითა ჰხელავს.

ანაქსიმენმა ანაქსიმანდრის მეტაფიზიკას თავი დაანება და ისევ თაღესის ფიზიკურ მოძღვრებას დაუბრუნდა. ანაქსიმენი იმავე საკითხს ჩაუთქრდა, რასაც თაღესი უთქრდა: რანაირი უნდა იყოს ის ძირითადი პირველ უფთვილი ნივთიერება, რომლიდანც ქვეყნიერება წარმოსდგება. ანაქსიმენის აზრით, იგი ისეთი ნივთიერება უნდა იყოს, რომ სხვა და სხვა საგანთა წარმოშობა ადვილი იყოს. ასეთ ნივთიერებად კი მხოლოდ ჰაერი შეიძლება ჩათვალოს. ამასთანავე ერთად ანაქსიმენმა ეს პირველყოფილი ნივთიერება, ჰაერი, დაუსრულე ბული აღიარა. ამ რიგად ანაქსიმენის ფილოსოფიურ აზროვნებაში დაცულია როგორც მეტაფიზიკური ელემენტი ანაქსიმანდრის დაუსრულე ბულის სახით, ისე თაღესის ფიზიკა—ემპირიული ნივთიერების აღიარების სახით. მაგრამ ანაქსიმენის ფილოსოფიური წვლილი სრულიად უმნიშვნელო იქნებოდა ისტორიისათვის, მისი აზროვნება მხოლოდ ამ ერთი დებულებით რომ განსაზღვრულიყო. როგორც ვიცით, პირველმა ფილოსოფოსმა თაღესმა მხოლოდ იმას მიაქცია ყურადღება, თუ რისგან შესდგება ძირითადი ნივთიერება, და ამ ნივთიერებად წყალი აღიარა. ანაქსიმანდრმა ამას ახალი ცნება მიუმატა

და პირველყოფილი ნივთიერება დაუსრულე ბული აღიარა. გარდა ამისა, ანაქსიმანდრმა დაგვიხატა სურათი იმისა, თუ რანაირ სახეებს იღებდა ქვეყნიერება შექმნის პროცესში, დაბალი ფორმის სახე თანდათან როგორ რთულდებოდა და მაღალ ფორმის სახეს იღებდა. მაგრამ როგორა სწარმოებდა ეს პროცესი, რანაირად იქმნებოდა ეს მრავალსახეობა, ამის შესახებ კი ანაქსიმანდრსაც არ მიუცია. იგი გვეუბნებოდა, რანაირი ცვლილება ჰხდებოდა ქვეყნიერების შექმნის დროს, მაგრამ როგორა ჰხდებოდა ეს ცვლილება, ეს ანაქსიმანდრს გამოვლენილი არა ჰქონია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ანაქსიმენის ფილოსოფიური აზროვნებისა იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და მოგვცა თავისებური შესახებ ამ კითხვაზე. პირველ-ყოფილი სხვადასხვანაირ სახის ნივთიერებად იქცევა **გასქელებითა და გათხელებითა**. ჰაერის გათხელებით ხდება ციფხლი, გასქელებით კი ჯერ ქარი და მერე, ზედიზედ, ღრუბელი, წვიმა, წყალი, მიწა და ქვები. ის, რაც გათხელებითა და გასქელებით შემდეგ ხდება, ახალი რამ ნივთიერება კი არ არის, არამედ მხოლოდ სხვადასხვანაირი გამოხატულება პირველყოფილი ნივთიერებისა—ჰაერისა. აღსანიშნავია ისიც, რომ ანაქსიმენს ჰაერის გათხელება გაცხელებად მიიხნდა და გასქელება კი—გაციებად. ამ რიგად, ანაქსიმენის ფილოსოფიურ აზროვნებაში ახალი ის არის, რომ მან, გარდა თავისი საკუთარი კოსმოგონიისა, მოგვცა ცნება იმის შესახებ, თუ რანაირად სწარმოებს გადასვლა პირველყოფილი ნივთიერებისა სხვადასხვანაირ სახის ნივთიერებაში.

საზოგადო დახასიათება. ანაქსიმენის ფილოსოფიით სრულდება საზოგადოდ მიღებული ნატურფილოსოფია. 494 წელს დაინგრა მილეტი და ამასთანავე ერთად შესუსტდა საზოგადოდ მისი კულტურული განვითარება.

განათლებისა და კულტურის ცენტრი იხსნება. მეორე ქალაქში, ეფესში, გადავიდა. იქ ახალი ფილოსოფიური სისტემები გაჩნდა და ფილოსოფიურმა აზროვნებამაც ახალი მიმართულება მიიღო. მაგრამ მილეტის ნატურფილოსოფოსთა აზრები სამუდამოდ არ მომკვდა. რაში გამიხატება ძირითადი აზროვნება მილეტის ნატურფილოსოფოსებისა. ისინი ქვეყნიერებას საფუძვლად უდებდნენ ერთს აბსოლუტურ დასაწყისს. მართლაც თვითოეულს მათგანს თავისებურად ესმოდა ეს დასაწყისი, მაგრამ სურვილი ერთი ძირითადი დასაწყისის აღიარებისა შინა და მახასიათებელი თვისებაა მილეტის ნატურფილოსოფოსებისა. ეს აზრი კი დიდხანს არ მომკვდა. მეხუთე საუკუნეში ვხვდებით ფილოსოფიურად მათზე ჰიკლის, რომელიც ქვეყნიერების დასაწყისს ისევ ერთ ძირითად უნივერსალურ ნივთიერებაში ეძებდნენ. ჰიპპონს, მაგალითად,

ქვეყნიერების ძირითად სტიქიად ისევ წყალი მიაჩნდა. იდეი ასეთს სტიქიად ჰქაერს აღიარებდა, მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარის ევკლასზე მეტად ცნობილი ფილოსოფოსი დიოგენი ებრძოდა დუალისტ ფილოსოფოსებს, რომლებიც ქვეყნიერების საფუძვლად სულს და მატერიას უდებდნენ, და ამბობდა, ძირითადი სტიქია, როგორც პირველი მიზეზი, უსათუოდ ერთი და ამასთანავე ერთად უნივერსალური უნდა იყოს. შემდეგი დრამის ფილოსოფოსებიც არა ერთხელ უბრუნდებოდნენ მილეტის ნატურფილოსოფოსების აზრებს და ქვეყნიერების ახსნას იქ ეძებდნენ, სადაც პირველი ფილოსოფოსები. მილეტის ნატურფილოსოფოსების მხიზში ჯერ კიდევ დიდხანს სტატუსს ჰქონდა, თუმცა სახეს იცვლიდა და გულუბრუნობა თანდათან ეკარგებოდა...

არ. ჯაჯანაშვილი.



საზოგადოებრივი აზრები

მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში*)

(გაგრძელება)

მე-60 წლების მწერლობაში გადაჭრით აღძრული იყო საკითხი საზოგადოებრივობისა და ინდივიდუალიზმის ურთიერთობის შესახებ. ამ პრობლემის გადაწყვეტის დროს მწერლობაში უმთავრესი ყურადღება მიაქცა საზოგადოებრივ იდეალებს. ყოველივე ღირებულება უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივ, უკედ რომა ვსთქვათ, მოქალაქობრივი თვალსაზრისით იზომებოდა. საერთო „სარგებ-

ლობა“, საზოგადო სარგებლობა, საერო სარგებლობა იყო ის საზომი, რომლითაც მე-60 წლების მოღვაწე ყოველს ღირებულებას აფასებდა. აქედან წარმოდგინდება მე-60 წლების სიტყვა-კაზმულ მწერლობის პუბლიცისტიკური ხასიათი. ამ ტენდენციამ ბევრი რამ დააკლო ილიას და აკაკის პოეტურ შემოქმედებას, და უმეტესად ილიას. ილია უფრო გაეტაცნა პუბლიცისტიკას პოეზიაში და თუ ილია პოეზიაშიც პუბლიცისტობდა, აკაკი პუბლიცისტიკაშიც პოეტობდა, ამიტომაცაა

*) იხ. „განათლება“ 1913 წ. № 10.

აკაკის პოეზია უფრო ფაქიზი, უფრო ჰაეროვანი, თუ აგრე ითქმის. ამიტომაც ილია დაუშრეტელი წყარა საზუბდიცისტიკო თემისათვის და აკაკის საესთეტიკო კრიტიკისათვის. ეს პოეზიაში პუბლიცისტობა შემდეგ პოეტებსაცა სჭირთ, თვით ჩვენს დრომდე, რაც, ჩვენი აზრით, იქიდან წარმოსდგება, რომ ისინი თავისებურ ბედში მყოფ ერის შეიღნი არიან. ძლიერი სახელმწიფოს, მრავალ-რიცხვოვან და ძლიერ-მოსილ ერის შეიღს შეეძლო „დღისა სიცხადისათვის“ ზიზლით თვალი მოერიდებინა, ჰაეროვან პოეზიის ღმერთის ფრთათა ქვეშ მიბნედილიყო და განეცხადებინა:

„Мы рождены для вдохновения
Для звуковъ сладкихъ и молитвъ...“

მაგრამ საქართველოს შეიღს არ შეეძლო არა ეთქვა სრულიად წინააღმდეგი მგონის დანიშნულების შესახებ:

„მისთვის არ ვმდურ, რამ ვიმდურა,
ვათ ფრინველმა გარეგანმა,
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ჩვეუნად ცაშა.

პოეტს რეალისტს არ შეეძლო ელიარებინა სიმღერა—სიმღერისათვის, პოეზია—პოზიისათვის, ხელოვნება ხელოვნებისათვის, ყოველივე ეგ საშუალებაა ერთ დიდ მიზნისათვის და ეგ მიზანია, „ქვეყნის სამსახური“, ქვეყნის სარგებლობა.

„შე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეცეიერსა,
დმერთთან მისთვის ვლახაკაბა,
რომ წარუძღვე წინა ერსა“-ო.

და აი დასაბამი და გასაღები იმისა, თუ რა უნდოდა ეთქვა ილიას თავის „განდეგელში“. ჩვენი აზრით, „განდეგელი“ მოქალაქობრივი თვალსაზრისით განხილული საკითხია უმთავრესად, თუმცა, რა თქმა უნდა, განდეგელობის ფსიხოლოგი-

ური და ფილოსოფიური მხარეც არ არის უყურადღებოდ დაგდებული. ილიას მართოდენ სიტყვის მასალად კი არ ეთქვამს: „რა მიყვარს მყინვარი, თავის განდეგელობისთვის, რომელსაც ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავკარგი მალალ შუბლზე ერთს ძარღვსაც არ აუტოკებს“-ო, ან და კიდევ: „წარიღეს ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ანჯითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაკლახით“-ო. აი, სწორედ აქ არის დასაბამი იმ დედა-აზრისა, რომელიც განაგებდა მე-ნო წლების მოღვაწეთა რწმენას და, რომელიც საფუძველად უდევს აკაკის „თორძიკე ერისთავს“, ილიას „განდეგელს“ და ა. ყაზბეგის „მოდღვარს“. როგორც ხელოვანი კომპოზიტორი ავითარებს და ართულებს ხოლმე ერთ მოკლე მუსიკალურ წინადადებას, ერთს მარტივს თემას, აგრეთვე, „საზოგადოების სამსახური“ იყო ის მთავარი მოტივი, რომელიც საფუძველად დაედო დასახელებულ ნაწარმოებთ. მე-ნო წლების მოღვაწეთ განდეგელობა აინტერესებდათ არა როგორც მეტაფიზიური პრობლემა, არამედ როგორც საზოგადოებრივი საჭირობა საკითხი. პუბლიცისტიკაში რომ გადავიხედოთ, იქ აკაკი დაგვხვდება და გვებასება იმის შესახებ, რომ პოეზია საუკეთესო იარაღია საზოგადოებრივ აზრთა გასაერცელებლად და გასანმტკიცებლად, და თუ ამ აზრისა იყო უადრესად ჰეკტი აკაკი, სხვისისი რა სათქმელია... მაგრამ ნუ გადავსცდებით აღნიშნულ ფარგალს და საბუთები ისევ სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან ავიღოთ.

უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ რომ „გლახის ნამბობში“ დახატული

მოძღვარი ანტიპოდია „განდვილსა“. თუ ილიამ ამ უკანასკნელის მაგალითით უარ-ჰყო განდვილობა, მოძღვარის პიროვნე-ბა მისაბაძველი მაგალითად დაგვისახა. თუ განდვილი განდგომია ცხოვრებას და „სულისთვის ხორცი“ უწამებია, თუ მას დაუფიწყნია ტოლმეგობრები და მთე-ლი კაცობრიობა, და „თავისთვის“ სასა-რგებლო, სამარადისო საქმეს შესდგომია, თუ მას უკუ უდგია ხანმოკლე წუთი სოფელი, რომ ამით დაუსრულებელი ნე-ტარება მოეხვეჭა თვისი „უკვდავი“ სუ-ლისათვის, მოძღვარი (გლ. ნააბ.) თვით ხალხში სცხოვრობს და მიზნად დაუსახავს ქვეყნის სამსახური: „ჩვენი თავი, ჩემო ძმაო, არც დედისა და არც მამისა, იგი ქვეყნისა არის: ჯერ ქვეყანა და მერე დე-და და მამა“. ყაზბეგის ონოფრე?! ერთი მხრით კიდევ ამართლებს თითქოს განდ-ვილობას. მართლაც, თუ სადღაც მთა-ში, უდაბურს ადგილას განმარტოებით მცხოვრებ ადამიანს ამდენი სიკეთის და-თესვა შეუძლია, ესოდენ მაღლით შეიმო-სება და მოყვასისადმი სიყვარულს და მისთვის თავის დადებებს ცხოვრების მიზნად დაისახავს, თუ ამ ქვეყნად იმისთვისა სცხო-ვრობს, რომ ღვთის სახელით და მის სა-დიდებლად კეთილ საქმეზე იყოს გადად-ბული, მაშინ ჩვენ რაღა გვეთქმის ქება დედების მეტი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ონოფრე სრულიადაც არ არის ტი-პი განდვილისა, რომელსაც ყოველივე ამ ქვეყნიურა უკუ უგდია და ლოცვითა და ლაღადისით მისტიურად უერთდება უზენაესს. ონოფრე უფრო საიდუმლო საზო-გადო მოღვაწეა, ვიდრე საწმუნოებრივ ნია-დაგზე გაფანტაკსეხული დაუჯდებუდი. მისი სიცოცხლის მიზანი „სიყვარულია“ და კეთილი საქმე, და ამას შედეგად იმ სოფ-

ლად საუკუნო ნეტარება მოჰყვებო, დე, იყოს ნება უფლისა.

სარწმუნოებრივი შეხედულებით საიდუ-ლო განდვილობა ის არის, როგორც იყო სვიმონ მესვეტე. ონოფრე კი თუმ-ცა განშორებია სოფელს და სადღაც გა-მოქვაბულში განდვილად სცხოვრობს, მაგრამ „ონოფრე ემსახურებოდა ხაჯსს, სტახვარბადა მისთვის, და მაშინაც კი რო-დესაც ყველასაგან გამარტოებული უზე-ნაესს სულით უერთდებოდა, არ ივიწყებ-და მოძმეთ. გულ-მხურვალე მოციქულად შე-ქმნილი, სტახვარბადა ქვეყნის კეთილ-დღეო-ბისათვის“ (ხაზგასმული ჩვენია)... „არა-ოდეს მამა ონოფრეს არ ენახა განსაც-დელში მყოფი კაცი ისე, რომ თავის თავ-ზე ზრუნვა არ გადავიწყებოდა. პირველად-ვე სხვის შვილის გულის თქმა არ გაჰღვი-ძებოდა“. თუ ილიას განდვილი სრული ანტიპოდია „გლახის ნაამბობში“ დასუ-რათებულ „მოძღვარისა“, ეს უკანასკნელი სულიერი ძმაა ონოფრესი. იგივე აზრები, იგივე სიტყვა, იგივე საქმე.

აკაკიმაც აღძრა საკითხი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობისა „თორ-ნიკე ერისთავში“ და ისიც, რასაკვირვე-ლია, განდვილობის, და ფუჭ სიტყვიე-რების წინააღმდეგია. „თვინიერ საქმის ლიტონი სიტყვა უწყი მკედარ არსო“, იმეორებს მგოსანი საღვთო-წერილის სიტ-ყვებს თვით განდვილობის წინააღმდეგ, თუმცა ამავე საღვთოწერილის სიტყვებით ამართლებენ ხოლმე განდვილობას.

აკაკიმ თვისი მოქალაქობრივი მრწამსი ქათალიკოზს ათქმევინა:

„ნუ თუ შენ მართლა რამე გგონია ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება? განა ღვაწლია ხორციელისგან

ამა სოფლისა კრძალვა-რიდება?

და ეს ქვეყანა შვენებით სავსე,

შემოქმედების გამომხატველი,
 ნუ თუ მიტამ გვაქვს მინიჭებული,
 რამ ჩვენის ნებთ ავიღათ ხელი?
 ვინცა იწუნებს თავმოყვარებით
 ამ მიუწვდომელ დიდსა ქმნილებას
 და უარსა ჰყოფს კანონებსა
 ბუნების უოველგვარ მოთხოვნილებას,
 ის უარსა ჰყოფს თვით შემოქმედსა“.

(ხაზგასმული ყველგან ჩვენია).

ჩვენ აქ არ შევალთ იმის განხილვაში, რამდენად სწორი ტიპია ქათოლიკოზი, ან იმისა, შეეძლო თუ არა თითონ ბერს, ასეთი არგუმენტებით ესარგებლნა რელიგიურ კამათის დროს. ვიტყვით მხოლოდ, რომ თორნიკეს შეეძლო ეს არგუმენტები მიებრუნებია და ქათალიკოზის სიტყვისა და საქმის შორის წინააღმდეგობა აღენიშნა, რადგანაც ქათალიკოზიც ხომ უარჰყოფდა, როგორც ბევრი, ბუნების ბევრგვარს მოთხოვნილებას. აქ ჩვენ მხოლოდ ის გვინტერესებს დავამტკიცოთ, რომ ჩვენს მწერლობაში მთელი მოდგმა იყო ერთგვარი შეხედულებისა განდგეობაზე. ილია, აკაკი და ყაზბეგი უარჰყოფენ განდგილობას ყოველ ნიადაგზე. იმათ ნაწარმოებებში ვხედავთ, რომ თვით შემოქმედის სიყვარულიდან გამომდინარეობს მისი სახელით წუთისოფლის უარყოფის და განდგილობის გაკიცხვა მაშინ, როდესაც მეორე მხრით, უზენაესთან შეერთებისათვის ამართლებდნენ განდგილობას.

წმინდა ავგუსტინე თავისებურად იმეორებდა დიდებულ იდეალისტის პლატონის აზრს, რომ ადამიანის ღვთაებრივი სული მხოლოდ ტყვე არის ყოველივე მატერიალურისა, ხორციელისაო. საუკუნით საუკუნებდნე ერთი და იგივე დებულება სხვა და სხვა გენიალურ პიროვნებათა შემეცნებაში სხვა და სხვა, სრულიად მოწინააღმდეგე, დასკვნას იძლეოდა. მაშინ, როდენ

საც ერთნი მთელი სამყაროს უკუდებით ლამობდნენ უზენაესის შეგნებას, მეორენი სწორედ ამ ხილული ქვეყნის მიღებით ჰფიქრობდნენ უხილავის განჭვრეტას. საშუალო საუკუნოებში მრავალ ასტრონომიულ საიდუმლოების გამორკვევამ თითქმის რელიგიოზურ ექსტაზამდნე მიიყვანა არა ერთი და ორი მოაზროვნე: ჰხედადნენ რა მსოფლიოს ჰარმონიას და თითქოს მტკიცე მიზანშეწყობილებას, აქედან ისინი უზენაესის, გამგე ძალის, არსებობას ასკვნიდნენ. აკი ჩვენი მგოსანი, გრიგოლ ორბელიანიც განცვიფრებულია:

„ღმერთო, ვინ მიწვდეს შენგან
 ქმნილს, მის ფერ-უთვალავს შეგნებას,
 სიბნელეს აქრებ ნათელით, სიკვდილით
 ჰბადავ ცხოვრებას“.

ჩვენი მგოსნები მოწადინებულნი იყვნენ საზოგადოებისათვის ეჩვენებინათ ერთი მხრით მისაბაძავი მაგალითი მოღვაწისა და მეორე მხრით განდგილობას (ყოველგვარს) აცლიდნენ იმ შარავანდედს, რომლითაც იგი უწინ შემკულიყო.

„ვიცით რომ ქრისტემ უდაბნოთ დაჰყო
 ის რამოც დღე ლოცვა-მარხვითა
 მაგრამ, ის იმ დროს, იმა ლოცვითა
 ქვეყნად საერო საქმეს ძრახვიდა.
 და როდის დაჩნა შეუდაბნოედ,
 განა ამ სოფელს ის უარყოფდა?
 თუ დადიოდა დაბად და სოფელად“?

(თორნიკე ერისთავი)

აი ქათოლიკოზის მსჯელობა, რომლის წინააღმდეგ თორნიკეს სათქმელი ვერაფერი უპოვია.

ვერც განდგილის მსჯელობამ და თავის მართლებამ გაუძლო მწყემსი ქალის მარტივ ფილოსოფიას: „გამკვირვებია მე ეს ამბავი“, ამბობს იგი, რომ ამ მიუვალ კლდეში ადამიანი ცხოვრობსო...

„მოთქვამს: იქ უფანა რას ატეხს სულსა?..
განა სწეის ღმერთს, რამ კაცი შეჭხარის
ქვეყანას ღვთითვე დაბადებულსა?

ფიქრობდი: ნეტა მამ მისთვის მართთ

ასე ლამაზად წუთი სოფელი?

განა მისთვის, რამ ადამიანმა

შეაჩვენოს და ადღოს ხელი?..“

აქაც განდევილი ვერ პოულობს პასუხს, თუმცა ერთი არსებითი შესწორება აქაც შეიძლებოდა მოპირდაპირეს შეეტანა.

საქმე ის არის, რომ განდევილს და თორნიკეს უსაყვედურებენ „ქვეყნის“ უარყოფას, მაშინ როდესაც მათ ამისი ბრალი არ მიუძღვით. მათ „ეს ქვეყანა შევენებით სავსე“, „ესე ლამაზად მორთული წუთისოფელი“ კი არ დაუტყვევიათ, მათ უარჰყვეს მხოლოდ საზოგადოება, მისი სამსახური, ხელი აიღეს საამქვეყნო ხორციელ მოსახვეჭელზე და საიმქვეყნოსთვის დაიწყეს ოცნება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ უკიდურესობათ, როგორც ცოცხლივ გახრწნილება, ორმოში ჩაჯდომა, ე. ი. უკიდურესს ასკეტიზმს, მაშინ დავინახავთ, რომ განდევილობა სრულიადაც არ არის „ლამაზად მოკაზმულ სოფლის“ უარყოფა. ვინც თავის სამუდამო სამყოფად ისეთ გასაოცარ შევენების ადგილებს ირჩევს, საიდანაც თვალწარშტაცი ბუნება, ვით ხელის გულზე, გადაშლილია; ვინც მაღალი მთის წვერვალთან ღრუბელთ გროვას ზევიდან დასცქერის; ბუნების ყოველს დიადს მოვლენას თვით იმის სამფლობელოში შესცქერის და ჭეჭა და ელვა-გრგვანვას თითქოს ხელით იჭერს, იგი ცხადია, კი არ განშორებია ბუნების სიმშვენიერეს, პირიქით, როგორც ესეთი, თვით მის სამფლობელოში შეჭრილა, რათა მისი ბუმბერაზობა უმწვერვალესობამდე განიცადოს. რა საჭირო იყო უარყოფა ამ „შემოქმედების გამომხატველ, შვე-

ნებით სავსე ქვეყნისა“, როდესაც სწორედ მისი განცდა აახლოებდა ადამიანს შემოქმედთან! აბა, გადაჰხედეთ ჩვენი ძველი მონასტრებიდან მის გარშემო გადაშლილს ბუნებას, განიცადეთ ყოველი კუთხის თავისებური მშვენიერება, უსმინეთ ბუნების იღუმალს ჰიმნს და მაშინ ადვილი ასახსნელი იქნება, რად მიიღო ტოდნენ მაინცა და მაინც ტყეებში და კლდე-ღრეებში. ვისაც ბუნების სიმშვენიერის განცდა ხორციელ სიამოვნებას ავიწყებდა და ვინც მისი ხილვით უმწვერვალეს ექსტაზამდე აღწევდა. სჩანს, მზგავს ბუნებოვანი ყოფილა იმ მგოსნებისა, რომელნიც ერთი მხრით სულის სიმშვიდეს და მეორე მხრით მის სიმტკიცესა და უდრეკ ენერგიას, ხან საღამო ჟამზე მთაწმინდის მალლობზე იძენდნენ*), ხან კიდევ იმ ადგილების ხილვით, სადაც: „ბუმბერაზ მთანი მდუმარედ, ცათამდე აყუდებულნი, სხედან ვით მდევნი, სპეტაკნი, ყინულ გვირგვინით შემკულნი“...**) განსხვავებას მხოლოდ იმაში თუ დავინახავთ, რომ განდევნილი უმწვერვალესი ეგოისტია! მას ადამიანი ყურადღების ღირსადაც არ მიაჩნია, იმისი ჭირი და ღხინი მისთვის უცხოა, იგი განშორებია ცხოვრებას, წუთი-სოფელს, ყველა მის წვრილმანსა პროზაულ მოთხოვნილებას, ინტერესს, და მარტოდ-მარტო სტკებება ბუნების მშვენიერებით. მგოსანი კი სანთელივით იწვის და ჩვენ გვინათებს; მას არ ძალუძს ნაგრძნობ-ნაფიქრი ჩვენც არ გავვიზიაროს, არ განგვაცდევოს ის სიტკბოება, რასაც თითონ განიცდის; იგი თითქოს გადამცემი პუნქტია ჩვენსა და

*) ნ. ბარათაშვილი: „შემოღამება მთაწმინდაზე“.

**) გ. ორბელიანი, სადაც მყინვარი აქვს აწერილი.

ბუნების შორის. დახედეთ, როგორ უყვარს ყაზბეგის ონოფრესაც ბუნება და მისი მშვენიერება!

„ერთხელ, თავის მოგზაურობის დროს, მან ნახა მთიელი, რომელიც გაცხარებული კეკლუცად ამართულ ხესა სჭრიდა და მით დაშვენებულ ადგილს საუკეთესო სურათს აკლებდა“, და შემდეგი დიალოგი გაიმართა მათ შორის.

— შენ მოუსხვე სიცოცხლე იმას, ვისაც ღმერთმა ქვეყნის დასამშვენებლად მიანიჭა იგი.

— ვისა, მამაო?—მთლად დაიბნა მთიელი.

— აი, შეჰხედე, — გაიშვირა მოძღვარმა ხელი და უჩვენა ნახევრად გადაჭრილი ხე.

— რას მიბრძანებ, მამაო? ხეს ყველა სჭრის, — ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა მთიულმა, თუმცა აშფოთება ეტყობოდა.

— და ყველა ცოდოს სჩადის, ვინც გაუჭირვებლად სიცოცხლეს უსპობს შემოქმედებისაგან გაჩენილს... ვინც ეგრე იქცევა, ის აკლებს ქვეყანას ლაზათს და ლაზათის მიმცემ სიცოცხლეს... ეგეცა ჰხარობს, შვილო, და სცოცხლობს... რად წაართვი სიცოცხლე, რად მოუსხვე სიცოცხლე?..

— შეშა აღარა გვქონდა და გზასთან ეგ ხე უფრო მარჯვედ იდგა.

— ვიცოდი, რომ შეშად გინდოდა... შენი ურემი ვნახე და ნახევრად სავსე იყო... შეშად რადა სჭრიდი მაგას, როდესაც ღმერთს მაგისტვისაც უზრუნვია? უფალი უხვია და გონიერი... ტყისთვისაც ხარკი არ აუცდენია. უზენაესის განგებით ტყე ხმელს შეშას გიმზადებს და წაიღე, რამდენიც გინდა“...

ესთეტიურ, ფილოსოფიურ მხარეს რომ თავი დავანებოთ და ამ ბაასის უტილიტალური მხარე გავითვალისწინოთ, საგუ-

ლისხმაოა ეგ გონიერი ეკონომია ბუნების ენერჯისა და სიმდიდრის ექსპლოატაციისა. ბუნების სიმშვენიერეს და ტრფიალს ისე გაეტაცინებოდნენ ხოლმე ხშირად ისინი, რომელთაც სწამდათ „ერთი ღმერთი“, რომ მათი მოძღვრება პანტეისტურ მსოფლმხედველობაში გადადიოდა. „ურწმუნონო, გადაჰხედეთ მთელ სამყაროს, მთელს ამ ბუნებას; ნუ თუ ყოველივე მოციმციმე ვარსკვლავი, ყოველივე უბრალო მლილიც კი, თითოეული ფოთოლი და ან მაზე მთრთოლვარე ნამი არ გიმტკიცებთ, რომ ქვეყანა მიზან-შეწონილად გაჩენილია და ყოველად „ბრძენ“ და „შემძლე“ „სულისაგანაო“, ჰლაღადებდნენ ისინი, ვისაც სურდათ, თუ ვერ დაგვიმტკიცებდნენ, დავერწმუნებინეთ მაინც უზენაესის არსებობაში. ამიტომაც მუდამ ღმერთთან მუსაიფობდნენ ბუნების სიმშვენიერეთა ეს საუკეთესო დამფასებლები და ყოველივე არსში ღვთის სახეს ჰხედავდნენ. რა თქმა უნდა ილიამ „განდევილში“ საერთოდ ეგ გვითხრა: აღამიანი რამდენიც უნდა ეპოტინოს მალლა ცას, იგი ამ ცოდვილი ქვეყნის შვილია და მასთან მკიდროდ დაკავშირებულიო, მაგრამ მთელი მე-ნმ წლების დამახასიათებელი ტენდენციაც თვალსაჩინოა: „განდევილობა“, „მიუკარებლობა“ რელიგიურ ნიადაგზედაც შეუწყნარებელია და მით უმეტეს საზოგადოებაში, საზოგადოებრივ ურთიერთობაშიო. უფრო ცხადად ეგ „თორნიკეში“ და „მაყვალაში“ სჩანს, რადგანაც აქ საკითხი პირდაპირ არის დასმული (ქათოლიკოსის და თორნიკეს ბაასი: ონოფრეს მოღვაწეობა; „გლახის ნაამბობის“ გმირის მოძღვარი), განდევილში კი საკითხი უფრო საზოგადოდ არის აღებული. და თუ განდევილსა და თორნიკეს უმ-

ტკიცებენ... ეს ქვეყანა, შვენებით სავსე, შემომქმედების გამოხატველი“ არ უნდა დაგეტოვებინათო, აქ მსჯელობაში ლოლიკური შეცდომაა შეტანილი: საკამათო საგანს შეუშინველად სცვლიან. ნაქმე ის არის, რომ ჩვენს მწერლებს სწორედ საზოგადოებიდან განდგომა, ხალხის სამსახური და სხვ. საზოგადოებრივი ინტერესები ჰქონდათ მხედველობაში, თორემ განდევნობის იდეა, თავისი ვიწრო მიშვენელობით, ერთი თავისი მხრით ისეთ სფეროში იმყოფება, რომელსაც კრიტიკა არ უდგება და სრულიად ბუნებრივი მოვლენა როგორც ბუნებრივია ბუნების სიშვენეირით ტკობა, მისი სიყვარულით აღტაცება, ეგ ხომ სულიერი განწყობილებაა, რომელიც იდეალისაკენ მისწრაფებაში გამოიხატება და მეორე მხრით კიდევ განცდა ბუნების მშვენეირებისა. მიზანი განდევნობისა არის: ვითარცა მამა ზეციერი, ვიყოთ სრული; და ამ იდეალისაკენ მისწრაფება ხომ დაუსრულებელია; ამიტომაც არის იგი იდეალი, მიუხევეელი; იდეალი, რაწამს იგი მიღწეულია უკვე აღარ არის იდეალი. მაშასადამე, ჩვენი მწერლები თვით განდევნობის იდეას კი არ შესჭიდებიან და არ დაუგმიათ, პირიქით, „განდევნილში“ იგი იმარჯვებს და აი როგორ:

ვიცი, რომ საღვთოწერილის მიხედვით „გულის თქმაც“ კი („არა გული გითქმიდეს“) ცოდვია ქრისტიანისათვის, და განდევნილმა ხომ ვერ დასთრგუნა ბუნება და გულისთქმით შეჰხედა დედეკაცს. ამით დაირღვა სარწმუნოებრივი კანონები და შემცოდეც უნდა დაისაჯოს. ცხოვრება და ბუნება გამარჯვებული მაშინ იქნებოდნენ, რომ განდევნილის ეს ბუნებრივი სურვილი ან დაკმაყოფილებულიყო და ან სასჯელი მაინც არ მისდგომოდა „დამნაშავეს“; აქ კი განდევნილი ვეღარ იტანს ცოდვის სიმძიმეს და კვდება, მაშასადამე, განდევნილობის იდეა გამარჯვებულია. განდევნილმა ვერ შესძლო განდევნილობის მოთხოვნილებათა მტკიცე სამსახური და ამიტომაც სასტიკად დაისაჯა. მიუხედავად ამისა „განდევნილში“ მუდავნდება, რამდენათაც კი შესაძლებელია მივუხვდეთ მწერლის გულის თქმას, რომ იდეა უარყოფით უცქერდა განდევნილობას და ამაში არავითარი წინააღმდეგობა იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს უარყოფა ეკუთნის „განდევნილობას“, „მიუკარებლობას“ „გამარჯვებას“ საზოგადოებიდან, საზოგადოებრივ ცხოვრებიდან, საზოგადო სამსახურიდან.

ს. დადიანი.

(შემდგომი იქნება)



შთაგონება

და მისი მნიშვნელობა ჰედაგოგიაში*)

ბინეს აზრით შთაგონება არის ზნეობრივი ზეგავლენა, რასაც ერთი პიროვნება ახდენს მეორეზე ინტელექტის, ემოციისა და ნების საშუალებით“.

ლანი ექსპერიმენტალურ დიდაქტიკაში ამბობს, რომ „რეაქცია, შეერთებული შეგნებასთან და ისეთს მოძრაობასთან, რომელნიც წინაღ უკვე დაკავშირებულნი იყვნენ გარედან მიღებულს გალიზიანებასთან, არის შთაგონება“.

ბენტერევი, რომელიც განზე აყენებს ჰიპნოტიურ შთაგონებას, რომელიც მოწაფის ზნეობრივს მხარეს ეხება და ეწინააღმდეგება შთაგონებითი მოვლენათა მიღებულს დამოკიდებულებათ, ამბობს: „სხვა მომეტებულს შემთხვევებში შთაგონება გადადის ფსიხიურს სფეროში შთამგონებელთა მხრით სრულიად უწინააღმდეგოთ და ხშირად სრულიად ფიზიკობის დროსაც“ შეუმჩნეველად გადადის სხვა პირზე.

ასეთი განმარტება შთაგონებისა ეხება არა მარტო ნორმალურს შთაგონებას, სიფიზილის დროს, როცა ინტელექტზე ემოციაზე და ადამიანის ნებაზე სხვა ადამიანის რჩევა, რწმენა, ბრძანება და სხვა საქციელი მოქმედებს, არამედ—ჰიპნოტიურ შთაგონებასაც. რადგანაც შთაგონებას, როგორც ჰედაგოგიურს საშუალებას დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-აღზრდის დროს, ჩვენ გამოვყოფთ ჰიპნოტიურ შთაგონებას ცალკე და ცოტა ხნით შევჩერდეთ

*) იხ. ჟურნალი „Народный уч.“ 1910 წ.

ბით მასზედ, რომ შემდეგ არ დავუბრუნდეთ მას და მთელი ჩვენი გულისყური ნორმალურ შთაგონებას მივაპყრათ.

ეს გამოყოფა ჰიპნოტიურის შთაგონებისა მით უფრო საჭიროა, რომ ხელოვნური (ჰიპნოტიური) შთაგონება „როგორც გამსწორებელი არა ნორმალურის ინსტიქტებისა და წამქეზებელი ნორმალურისა, მაგრამ ძლიერ სუსტისა“, ჰიუსს აზრით ტერაპიას ეკუთვნის, ნორმალური შთაგონება კი—აღზრდას. იგივე ამბობს, რომ შთაგონებელი გრძობა და ზოგჯერ მოვალეობანიც შეიძლება გადახდარიყვნენ ინსტიქტების მოადგილედაც, თავისუფალ ავტონომიურ შეგნებულ ნებად, თუ რომ წინააღმდეგობას არ შეხედებოდნენ „სხვა აღრე არსებულის და ძლიერ ცოცხალ მიდრეკილებათა მხრივ“.

როცა შთაგონებული აზრის მოქმედებას ადევნებ თვალს, ატყობ, რომ ზოგიერთ ბრძოლის შემდეგ, ეს აზრი თანდათან მაგრდება ტვინში და მალე გამოიხატება მოქმედებაში. ამ ბრძოლაში და გაბედულობაში ჰიუსო ხედავს იმ გმირთა მსგავსებას, რომელნიც მოვალეობას მსხვერპლად სწირავდნენ თავის თავს. მაგრამ შენიშნავს იგივე ჰიუსო, რომ „ამ ორ მექანიკურ მსგავს მოვლენათა შორის არსებობს დიდი განსხვავებაც. მართლაც მოქმედების ფორმულა, რომელსაც ჩვენ მოვალეობას ვუწოდებთ, არის შეგნებით შედგენილი ძლიერ რთული და კოორდინალური სწორმოქმედი ძალები, ამ ფორმულით შეერთებული მაღალი ბუნებრივი

მისწრაფება; პირიქით, შთაგონების და-ნიშნულება კი არის უეცარი, სწრაფ-წარ-მავალი ერთად ერთი ეფექტი, რომელიც ეწინააღმდეგება სხვა ყველა მიდრეკილე-ბათა, რომელთაც ადგილი აქვს სხეულ-ში. და ის, ვინც ამ ძალდატანებით შთა-გონებასა გრძნობს, უნდა გამოტყდეს იმა-ვე დროს, რომ არა ნორმალურია, რომ მისი ზნეობრივი სწორწონაობა დარღვეუ-ლია, რომ იგი ემორჩილება მხოლოდ ერთად ერთს ძალას და არა იმ მიდრეკი-ლებათა კრებულს, რომელსაც ფესვები გაუდგამს მთელს მისს არსებაში“.

ალბერტ მოლს მოჰყავს სახელები მრავალ ფსიხოლოგებისა და ექიმებისა, რომელთაც ჰიპნოტიური შთაგონება პედა-გოგიკაში სასურველად მიაჩნიათ მხოლოდ ბავშვების ზოგიერთ ნაკლთან საბრძოლ-ველად: ფრჩხილების კვნეტა, ჩუკუნება, ქურდობისკენ მიდრეკილება, ტყუილის თქმა და სხ. ამასთან ერთად მას მოჰყავს ვინკლერის აწერილობა — თუ ბავშვს შთა-გონებთ ამ სიტყვებით: „შენ არ უნდა იქურდოო“, მისს მეხსიერებაში მხოლოდ სიტყვა: „ქურდობა“ დარჩება.

ამ შემთხვევაში აღნიშნულ ბიწიერებას აქვს პატოლოგიური თვისების ხასიათი და ამიტომ პატოლოგიას ეკუთვნის და არა პედაგოგიკას. თვითონ მოლსაც სჯე-რა, რომ „ჰიპნოზის პედაგოგიური მნი-შვნელობა ჩამოთვლილ მაგალითებს არ შორდება, ე. ი. ძლიერ ვიწრო ფარგალ-შია მოქცეული“.

რასაკვირველია მართო ამ შეხედულო-ბის მოყვანით არ სწყდება საკითხი ჰიპნო-ზის მიმართვის შესახებ პედაგოგიკაში, მაგრამ ჩვენთვის საკმარისია ისიც, რომ ჰიპნოზს, როგორც პედაგოგიურს ზემო-ქმედების საშუალებას, უარყოფითი მნი-შვნელობა მივსცეთ. ჰიპნოტიური შთა-

გონების კარგმა შედეგმა პატოლოგიაში და საზოგადოთ მედიცინაში ვერ გაგვი-მარტეს ის საზღვარი, თუ სად თავდება ავადმყოფობა და სად იწყება ცუდი ჩვეუ-ლება, რომლის წინააღმდეგაც უნდა გვე-ხმარა ეს პედაგოგიური საშუალება.

მახსოვს ერთი ჰიპნოტიური ცდა ერთს ცუდათ განვითარებულსა და ზარმაცს მოწაფეზე. მინდოდა ჩამეგონებინა ხალისი სწავლისადმი, დავაძინე და ვუბრძანე გაი-ღვიძებს თუ არა, სწავლის დროს ყურად-ღება და ბეჯითობა გამოიჩინოს. მაგრამ ამ ცდის შემდეგ იგი სრულიად დაჩლუნგ-და, თითქოს რაღაც მძიმე ლოდი დააწვა მისი ტვინის მუშაობას. ცხადია, როცა ბავშვი შთაგონების გავლენის ქვეშ იმყო-ფებოდა, რაღაცას იგონებდა, რაღაზედაც ფიქრობდა, რის გამო უფრო გონება გა-ფანტული და შეუგნებელი გახდა. ეტყო-ბოდა ამ რეაქციამ სრულიად ვერ დაარ-ღვია ბუნებრივი მიდრეკილებანი და მხო-ლოდ მთელი მისი სხეული მოშალა. სამი დღის განმავლობაში ყმაწვილს გაუგებრო-ბის აჩრდილი ეკრა სახეზე, სწრაფი მოძ-რაობის ნიჭიც დაჰკარგა და ჩემს ბრძანე-ბას ზღაზვნით ასრულებდა. ბევრმა ხანმა განვლო მას შემდეგ და მე ერთხელაც არ მიმიმართავს პედაგოგიურის მიზნით ჰიპნოტიურის შთაგონებისადმი.

მართლაც ჰიპნოტიური შთაგონება სა-შიში თამაშობაა, რადგანაც მუშაობა გვიხდება სრულიად გამოუკვლეველს ნია-დაგზე, ცდის მოხდენა არა მეცნიერულს საფუძველზე, არამედ ჰიპოტეზებისა და პი-რადის გულისხმიერების მიხედვით, რომლის შედეგები შეიძლება უარესიც იყვეს იმა-ზე, რასაც ვკითხულობთ რიშეს ნაწერებ-ში: „ერთხელ, ამბობს რიშე, — ჰიპნო-ტიური შთაგონების დროს ჩასაგონებელს სრულიად დავუკარგე ყოველგვარი მეხ-

სიერება, რის შემდეგ „დადგა ისეთი საშინელება, ისეთი მოშლა გონებისა, რამაც თხუთმეტი წუთი გასტანა, რომ მე, ამბობს რიშე, არ ვინდომებდი ხშირად მომეხდინა ასეთი საშიში ცდა“. საზოგადოთ პედაგოგიურის თვალსაზრისით რომ განვიხილოთ ჰიპნოტიური შთავონება, ჩვენ არა გვაქვს საკმაო საბუთი, არც საკმაო აზრი ავტორიტეტთა და არც ფაქტები, არც ცდა, რომ უვნებლად იმოქმედოს მან ბავშვის ფსიხიკაზე. თუ გამოკვლევანი ასეთის შთავონების ხმარებას შესაძლებლად ჰყოფენ ბიწიერებისაგან განსაკუთრებლად, მაშინაც საჭიროა ცოდნა ტერაპიისა და პათოლოგიისა, რომელნიც მხოლოდ ართულებენ და არა ამსუბუქებენ აღზრდის ხერხებს.

მაშასადამე ჩვენ არ შევცდებით, თუ ჰიპნოტიურს შთავონებას პედაგოგიურის საშუალებიდან გამოვიციხავთ და მედიცინას გადავსცემთ; ამ სახით გაერთავისუფლებთ დიდაქტიკას უდროო საშუალები-საგან იმ დრომდის, სანამ მეცნიერება ამ მხრით დებულებითს შედეგებს არ მოგვაწვდის.

II

ნორმალური შთავონება

ნორმალური შთავონება დაფუძნებულია იმაზე, რომ ყოველი წარმოდგენილება მოძრაობაზე, თუ რომელიმე მხრიდან შემაკავებელი მოტივები არ არის, მოძრაობაში გამოიხატება. წარმოდგენილებით მოძრაობის აღძვრას მოჰყვება თვით მოძრაობა. რამდენსამე ამგვარს აღმძვრელობას ყოველთვის მოჰყვება მოტივების (მოძრავ ძალების) ბრძოლა, რომელიც სუსტის დამარცხებით თავდება. ჩვენს გარშემო არსებული ქვეყნის შესახებ წარმოდგენილების ყველა ზეგავლენანი ჩვენი

აქტიური გრძნობიერების მიერ შემჩნეულნი არ არიან, ისინი ხშირად ერთად შეგროვილს ელემენტებს ანუ პასიურ მიმდებობის კომპლექსს შეადგენენ, რომელიც ხშირად ხელმძღვანელობს ჩვენს მოქმედებათა და საქციელთ.

მაგრამ აქტიური შთავონება რომ მოქმედებდეს იქცეს, ამისთვის საჭიროა ლოღიკური რწმენა. როცა ჩვენ რამდენსამე ასოციაციებსა და ასსიმილაციებთან რაიმე შეგნებულს მოძრაობას ან საქციელს ჩავდივართ, რომლის აუცილებლობა ან სარგებლობა საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენ მაშინ აქტიური შთავონების გავლენის ქვეშ ვიმყოფებით.

აქტიური შთავონება იმით განსხვავდება პასიურიდან, რომ იგი მოითხოვს ყურადღების ზოგიერთს მიპყრობას, შემუშავებას, მოფიქრებით მოტივების არჩევას და როგორც მოქმედების, ისე მისი შედეგის შეგნებით წარმოდგენას. აქტიურ შთავონებისათვის თავდაპირველად საჭიროა აგრეთვე მეორე პირის საგრძნობი მოქმედების არსებობაც. მარტო აბსტრაქტიული, განყენებული აზროვნებით ვერ გამოვიწვევთ ჩვენში იმ სახეს, რაც წინად მიგვიღია, არ შეგვიძლიან იმას მიგზაძოთ, რაც ჩვენთვის უცნობია და წინად არ გვიგრძნობია.

ყოველივე სახის ან მოქმედების მიმდებობა იწვევს წარმოდგენილებას. მოძრაობის წარმოდგენილება მოძრაობას იწვევს. ამიტომ ყოველს გვარს მიმდებობაში რამდენადმე წილი უდევს შთავონებასაც. „ჩვენ მიერ ცხადად შეგნებული მეორე პირის მოქმედების სახე შეიცავს სპეციფიკურ მიდრეკილებას თანაბრად შეცვალათ ჩვენი საკუთარი მოქმედების სახეც. უფრო დამოუკიდებლად, ამიტომაც უფრო სამოქმედოთ ეს მიდრეკილება იმ შემთხვევაში

ჩნდება, როცა შეგნება მეორე პირის ცხოველმყოფელი გავლენით აღიძვრება, უკედ რომ ვსთქვათ—როცა იგი დამოუკიდებლად შეერთებულთა მგრძნობელობითს განცდასთან“.

აქედან ცხადია, თუ რამდენად საჭიროა სწავლა-აღზრდის დროს შეგნება, თვალსაჩინობა, მაგალითი, მოქმედება და რეალური სახეები. რამდენადაც შეგნებულად დაახლოვებულნი არიან ბავშვები საგანთან, რამდენადაც ხშირად ეხებიან ისინი ამ საგანს, მით უფრო დამოუკიდებელია ამ საგნის გავლენა ბავშვებზე, მით უფრო ძლიერია შთაგონების ძალა; მით უფრო ცხოველმყოფელია ბავშვის სხეული, მით უფრო ნაყოფიერია მისი გონებითი მუშაობა; მაშასადამე მასწავლებლების მუშაობასაც მეტი ნაყოფიერება, ფასი და სიცოცხლე დაეცემა.

III

მიზნადველობა.

ბავშვს მხოლოდ იმისი მიზნად შეუძლიან, რასაც ხედავს, ესმის, გაეგება. თუ ეს არ არის, არც მიზნად იქნება, იქ არც სწავლება იქნება, არც აღზრდა.

მიზნად ინსტიქტიურია, მაგრამ იგი ყოველთვის ატარებს შთაგონების ხასიათს. ბავშვის შექცევის დროს დაჰკათ მაგიდაზე ხელი ან თითი და დაინახავთ, რომ ბავშვი იმასვე გაიმეორებს, ხანდახან მწყობრად იმეორებს თქვენს მოძრაობას. ბავშვები შთაგონებისვე გავლენით გადმოგვცემენ თავიანთ შთაბეჭდილებას ყველა ნახულის შესახებ, ცდილობენ გადმოგვცენ ნანახი ცხოველების, მხეცების და ადამიანების მოძრაობანი.

ხშირად ბავშვების შთაგონება უნებლიეთია, მაგრამ იქნება ისეთი ძლიერიც იყვეს, რომ ხშირად იმათ ნებასაც უსუს-

ტებს, ასე რომ სასტიკი წესებიც კი უძლური ხდება დაიფარონ ბავშვები შთაგონებულ მოქმედებათა და საქციელთაგან. ჩვენ, მასწავლებლები ვერ ვამჩნევთ, რომ ხშირად ჩვენვე ვართ დამნაშავენი მოწაფეების ზოგს ცუდს საქციელში, და ხანდახან სასტიკადაც კი ვსჯით მათ.

იმ ადამიანთა ყოფაქცევა და ზნე-ხასიათი, რომელთა შორისაც ბავშვი დაბადებულიდანვე ტრიალებს, ყოველთვის სამაგალითო და სახელმძღვანელოა ბავშვისთვის, მისაბაძავია. ბავშვი ისე განიმსჭვალება ამ ხელმძღვანელოების საჭიროებით, რომ იგი ხშირად ინსტიქტიურსა და მემკვიდრეობითს მიდრეკილებათაც კი ასუსტებს. ავი და კარგი, მავნებელი და სასარგებლო გარშემო მყოფთა შთაგონებით გადაეცემა ბავშვს ისე, რომ მოზდილები, მშობლები და ყველა გარშემო მყოფნი ვერც კი ამჩნევენ თავიანთს დიდს გავლენას ბავშვის ხასიათის განვითარებაზე.

ბავშვის ხასიათი შენდება სხვა და სხვა ჩვეულებათაგან, რასაც იგი მოზრდილთაგან ითვისებს: ე. ი. რასაც გარშემო არსებული ცხოვრება შთაგონებს დამოუკიდებლად, მოძრაობით და სხვების მოქმედებით.

მთელს ჩვენს გარშემო არსებულს ქვეყანას ვითვისებთ პასიურად მაშინაც კი, როცა მთელი ჩვენი ყურადღება რომელსამე სამუშაო საგანზეა მიპყრობილი. ჩვენ ხანდახან, მიუხედავად ჩვენი აქტიური მონაწილეობისა, უნებლიეთ ანგარიშს ვუწევთ გარეგან მოვლენათაც. სამუშაოზე და აზროვნებაზე ხელაულებლად შეგვიძლიან ხმა მივსცეთ სიმღერას, რომელიც ქუჩიდან ან მეორე ოთახიდან შემოგვემის; ხანდახან პასუხსაც ვაძლევთ ჩვეულებრივს შეკითხვაზე, ვისწორებთ შუბლზე ჩამოშვებულს თმებს და სხვა ამგვარი

პასიური მოქმედება, რომელიც გამოწვეულია გარეგან გალიზიანებით, აღმძვრელ მოტივებით, გვაგონებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგრამ იმავე დროს ხელს არ გვაღებინებს სამუშაოზე.

პასიურს შთაგონებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში, უფრო ბავშვობის დროს, როცა ლოლიკურად დასკვნა იმდენად შეთვისებული არ არის, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს თავისთავს ამა თუ იმ შთაგონებული აზრის თუ გრძნობის არჩევაში. ბავშვი ეგუება მისს გარშემო არსებულის შთაგონებას, უნებლიეთ ვარდება მისს კლანჭებში და პასიურად მიეცემა მისს ძლიერ ძალას. ბავშვები ხშირად უნებურად ისეთს საქციელს და მოძრაობას ჩაიდენენ, რომელიც გამომდინარეობს წარმოდგენილებათა დამოუკიდებელის გავლენით. თუ დაიმორჩილებთ ბავშვის ნებას, გრძნობანი და იდეები მათზე გადამდებ სენივით იმოქმედებენ.

მასიური შთაგონება პასიურად იდეების, გრძნობათა და შეგნებათა დამოუკიდებელ გალიზიანების გავლენაზეა დამყარებული, რომელიც აქეზებს სუბიექტს მოქმედებისათვის. ბავშვები ამ შემთხვევაში ანგარიშს უწევენ ყოველ გვარს გალიზიანებას, რომელიც მათზე ჯადოსნურად მოქმედებს. დაიწყებთ მთქნარება კლასში თუნდა გაჩაღებულს გაკვეთილზე და დაინახათ, რომ ბავშვებიც პირს დააღებენ დასამთქნარებლად. ჯერ ამას შენიშნავთ ისეთებში, რომელნიც შთაგონებას ადვილად ითვისებენ და შემდეგ მთქნარება მოედება მთელს კლასს. სატკაცუნებელი, შემთხვევით კლასში შეტანილი რომელიმე შეგირდის მიერ, ეპიდემიურის სისწრაფით ვრცელდება მოწაფეთა შორის. რვეულები, რვეულების კანის ქალღი, სუფთა

ქალღი ყველა სატკაცუნებელს ხმარდება. სატკაცუნებელი მთელი სასწავლებლის idee fixe-ად ხდება.

იგივე შეინიშნება ბავშვთა ბიწიერების და ცუდთ ჩვეულებათა გავრცელებაშიაც. ყველა ამათ პედაგოგები მედგრად ებრძვიან. რომლისამე სათამაშოს მოსასპობად ან ბიწიერ და ცუდ ჩვეულებათა ამოსაფხვრელად მიჰმართავენ ხოლმე ძველს დახვესებულს არაპედაგოგიურს საშუალებას — დასჯას. შემდეგ კი უკვირთ, რომ ბიწიერებანი არ ჰქრებიან, ხანდახან იღუშა მალად უფრო იზრდებიან და ფართოდ ვრცელდებიან მოწაფეთა შორის. დასჯა უმრავლესობისათვის სუსტი შთაგონებაა, რომ მიატოვოს ან გადაეჩვიოს თუგინდ თამბაქოს წევას. იგი უფრო წააქეზებს მოწაფეს ფრთხილად დაჰფაროს თავისი ცუდი ჩვეულებები მასწავლებელ-აღმზრელთაგან და არა მიატოვოს ისინი.

ამასთან საქმე იქამდის შეიძლება მივიდეს, რომ საჭირო იქმნეს ძლიერ მომქმედი მოტივი ბავშვის ფსიხიურ მხარეზე, ან გაძლიერებული მოქმედება გარშემო არსებულისა თვისებითა და რაოდენობით. სასტკი დასჯა შეიძლება ძლიერი მოტივი იქმნეს, მაგრამ კეთილ გონიერება მისდამი მიმართვას ვერ გვიკარნახებს, განსაკუთრებით როცა თვალწინ გვიდგას უფრო რადიკალური, უვნებელი და ბავშვისათვის მაუწყდომელი საშუალება: ნუ ეწევით თამბაქოს, ნუ ეწევით სხვებიც და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რაკი გამაღიზიანებელი მოქმედება არ იქნება, ცუდი ჩვეულებაც თავის თავად მოისპობა. ბავშვები **სამხედრო მოსამართლობას** თამაშობდნენ და თავიანთ ამხანაგებს არზობდნენ. იქაც კი აკრძალვითა და დასჯით ვერას გახდებით. ბავშვი უნებლიეთ ითვისებს სინამდვილეს. იგი მოჯა-

დოებულობა სინამდვილით და მისი მოქმედებაც შეუგნებელი ანარეკლია მის გარშემო არსებული ქვეყნის მოქმედებისა. ბავშვების თამაში, საქციელი და მოძრაობა ნამდვილი სარკეა და ცოცხალი დამფასებელი ჩვენი კულტურული და ზნეობრივი განვითარების ღირებულობისა.

გარშემო არსებული წრის მოქმედებას ბავშვებში დიდი მნიშვნელობა აქვს. ბავშვების შთაბეჭდილებათა გავლენით შემუშავდება რწმენაც. ჩვენი რწმენა შედეგია პასიური მიმდგომისა ყოველს კერძო ცხოვრებაში. ჩვენი საქციელიც აუცილებელი შედეგია ამ რწმენისა.

მიმბაძველობა არის რამდენიმე წარმოდგენილებათა მიერ გამოწვეული მოძრაობა, შეგნებული თუ შეუგნებელი მოტივების სიჭარბით და ხელმძღვანელობით. ეს მოტივები მკვიდრდება ან ხშირის გამეორებით, ან როცა ბავშვში იგი ჰპოულობს თანდაყოლილს მზა ნიადაგს.

ჩემი ნაცნობის სამი წლის ბავშვი, როცა გულდასმით მოისმენდა ყველაფერს, რასაც ეუბნებოდნენ, ხელებს ზუგზე შემოიწყობდა ე. ი. იმასვე შვრებოდა, რასაც მისი მამა სჩადიოდა, როცა ვისმე ელაპარაკებოდა. მეორე დასკვნის დასამტკიცებლად საკმარისია ბუნებრივი ხუმარები, მხატვრები, დრამატურგები, მოქანდაკენი და სხ.

შეიძლება ვსთქვათ, რომ გარშემო არსებული წრე ჰქმნის ხასიათს, შთააგონებს ამა თუ იმ მოძრაობას, მოქმედებას და საქციელს. ძველს სპარტაში, სადაც ფიზიკურს აღზრდას დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული, სადაც სხეულის სიმარდისა და სიძლიერის განვითარებას ბევრს ღროს ანდომებდნენ, სადაც საზოგადოებრივი და ზნეობრივი აღზრდის წესები სდევნიდა ყოველგვარს გადაჭარბებას და

ვნებას, იზრდებოდნენ ძლიერი, მტკიცე, მამაცი და სასტიკ ზნეობის მოქალაქენი. ასეთი ხასიათის აღზრდაზე გავლენა ჰქონდა ქვეყნის ტრადიციებს და კანონს, რომელსაც ყველა ემორჩილებოდა. ბავშვებიც დიდებს ჰბაძავდნენ და ბოლოს თვითონვე იყვნენ სამაგალითონი შემდეგის თაობისათვის.

იმავე დროს ათინაში, სადაც ფიზიკური აღზრდა მეორე ხარისხოვანი საგანი იყო, მაგრამ სადაც გონებრივსა და საზოგადოებრივს აღზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, სადაც ცხოვრება სდულდა მეზობელ ხალხებთან ვაჭრობა-მრეწველობით, რომელიც ასხვაფერება და შთაბეჭდილებას, ამდიდრებდა ათინელთა ცდასა და ცოდნას, შეჰქონდა მრავალი ახალი ხალხის გონებრივს და საზოგადო — პოლიტიკურს ცხოვრებაში, იზრდებოდნენ გონება განვითარებულნი, მშვენიერებისა და ხელოვნების მოტრფილენი, მაგრამ სათუთნი, განუჯგელნი და ხასიათით სუსტნი მოქალაქენი.

ჩვენს ცხოვრებაში ამის მაგალითს წარმოადგენენ სოფლელი და ქალაქელი ბავშვები. სოფლელ ბავშვებს გარს არტყია ბუნება და სოფლის ყოფა ცხოვრება თავისი გულწრფელის და მარტივის ურთიერთდამოკიდებულებით და ამიტომაც იქ იზრდებიან ჩაფიქრებული ტიპები, განსაზღვრულის წესებით, მტკიცე ზნეობრივის რწმენით, სხვის ჭირ-ვარამის და სიხარულის მონაწილენი, თუმც კი მოქმედებაში სიღინჯეს იჩენენ. ცხოვრების განსაზღვრული კანონები მათ გულში ჩაუნერგეს მშობლებისა და მოზრდილების მაგალითებმა. ამიტომაც ისინი თავიანთი საქციელით საზოგადოებრივ ზნეობას და სოფლის ტრადიციის მოთხოვნილებას ეგუებიან. მაგალითებით და მოვალეობით შთა-

გონება, რაც დაკავშირებულია სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, შეუძლებლად ხდის სხვანაირად მოქცევას, იმიტომ რომ ბავშვი „ყოველის მხრივ გარემოცულია საზოგადო ღრმა რწმენის ნაკადით და თვითონაც უსათუოდ განიშქვალემა იმავე აზრით, ასე რომ ბოლოს თვით ძლიერ მავნე გავლენაც იშვიათად ამოფხვრის იმ კეთილს თესლს, რაც ბავშვის სულს შეუთვისებია პატარაობაში.

ასეთი ძლიერია გარშემო მყოფთა გავლენა აზრზე, ფიქრზე, რწმენაზე და მათთან შეერთებულს მოქმედებაზე. წრე თითქოს ჰხიბლავს ბავშვს, თავისს ბეჭედს ასვამს თამაშობას, მუშაობას და სულის შინაგან თვისებას და ამიტომ სოფელი და ქალაქელი ბავშვი ბევრით განსხვავდებიან ერთმანეთში, როგორც სოფელიც განსხვავდება ქალაქისაგან.

ქალაქის მცხოვრებთა ვიწროობა, ფართო მინდვრებისა და დიდ ტყეების არ არსებობა, ავიწროებს ბუნების გაცნობას, უკარგავს მინდორ-ველის—ტყისა და სასოფლო მუშაობის კეთილ მყოფელ გავლენას, ძალას ატანს ბავშვს იტრიალოს დიდი სახლების მცხოვრებთა შორის აუარებელს საზოგადო ბინებში. ქალაქელი ბავშვი ადრე ეცნობა მოზრდილების მრავალს ბინძურს მხარეს. ჭორიკანობა, ოჯახური უკმაყოფილება, უსიამოვნება, ადრე გაცნობა ქალაქის ბინძურ ცხოვრებისა ყველა ეს დამოუკიდებლად მოქმედებს ნორჩს სულზე და უნერგავს გულში ზერელე შეხედულობას თავიანთ საქციელზე. ქალაქის აჩქარებული, მჩქეფარე ცხოვრება საზოგადოებრივ და ზნეობრივს საკითხზე ზერელე შეხედულობით ბავშვის ხასიათზედაც შესაფერისად მოქმედებს.

ერთი სიტყვით ცხოვრების პირობები წარმოადგენს ისეთს გროვას ზემოქმედე-

ბისას, რომელიც დიდ მონაწილეობას იღებს ბავშვობიდანვე ადამიანის განსაზღვრულ მოქმედებათა, საქციელთა და მსჯელობათა შემუშავებაში. თვითოეული მასწავლებელთაგანი მოწაფეებთან მუდმივ დაახლოვებით ჰქმნის ერთგვარ ატმოსფერას, რომელიც მომხიბლველის ძალით მოქმედებს მოწაფის აზროვნებაზე და ამა თუ იმ საქციელის გამომწვევს მოტივებზე. ბავშვების დანაშაულობის განსჯისა და აწონდაწონვის დროს პედაგოგები ვალდებულნი არიან მხედველობაში მიიღონ ეს და უფრო ზრდილობიანად მოეპყრნან მოწაფეს არა მარტო უდანაშაულო სიცელქის გამო, არამედ სხვა და სხვა ბიწიერებისა და ცუდი ჩვეულებების გამოც.

რაც ბავშვისთვის სახალისოა, რაც მისს ყურადღებას იზიდავს, ყველა ეს უფრო ხშირად მისთვის მისაბაძი საგანია. ლეიბნიცი ამბობს: „ბავშვი წარმოადგენს სოციალურ ერთეულს, მთელს პაწია ქვეყანას, რომელშიაც ისახება მთელი სისტემა ზემოქმედებისა, რომელიც აღძრავს“ მისს შთაბეჭდილებას; მიმბაძველობა პირდაპირ დაკავშირებულია შთაბეჭდილების აღძვრასთან და ბავშვიც თანდათან ითვისებს ჩვეულებებს, რომელიც მისს ხასიათს საფუძველად ედება“.

განსაკუთრებით ძლიერია და დიდათაც მოქმედებს მასსიური დამარცხება. აქ ვხედავთ თითქოს ჰიპნოტიურს შთავონებას. ბავშვი ნებას ჰკარგავს ყველას საწინააღმდეგოდ იმოქმედოს, თუმცა ადამიანის თვისებაა წინააღმდეგობა გაუწიოს ტრადიციებს, ბუნებრივად მიისწრაფოდეს თავისუფალის მოქმედებისკენ, მაგრამ თვით ამ წინააღმდეგობაშიაც ისახება შთავონება. წინააღმდეგობის სული წარმოდინარეობს აკვიატებულის იდეისაგან, რომელიც თუ ვერ დაიმორჩილებს სუბიექტ-

ტის მოქმედებას, მაშინ საწინააღმდეგო ხასიათის საქციელს გამოიწვევს.

ამხანაგობას კლასებში დიდი ღრმა მნიშვნელობა აქვს; იმაზე მეტი, რის წარმოდგენაც შეგვიძლიან. იგი შეიპყრობს და ატყვევებს ბავშვს. როცა ბავშვი სკოლაში შედის, უერთდება ტოლ-ამხანაგებს. იგი უკვე თავის თავს არ ეკუთვნის, არამედ კლასს; მისი ცხოვრება და ქცევა მჭიდროდ დაკავშირებულია კლასის სულთან, ამხანაგებთან.

შთაგონებითს მიმბაძველობაზეა დაფუძნებული სწავლა-აღზრდის ხელოვნება. მაშასადამე, თუ გინდა დაინახო შენს მოწაფეში ადამიანი, თვითონ უნდა სრულ იყო და ეცადო გახდე ადამიანად.

IV

თვითშთაგონება

თვითშთაგონება ისე ღრმად ჰბოჭავს ბავშვს, რომ საჭიროა განსაკუთრებით შევჩერდეთ და გამოვყოთ იგი საზოგადო შთაგონებიდან.

ხშირად შეგხვდებათ ისეთი ბავშვები, რომელთაც გადაუწყვეტიათ თავის გუნებაში, ჩაუგონებიათ თავის თავისთვის, რომ მათ არ შეუძლიათ მიბაძვა, სწავლა, ამხანაგების დაღწევა. ასეთი თავისი თავის შთაგონება ძლიერ უშლის მათ ხელს გაუსწორდენ თავიანთ ამხანაგებს, მათი რწმენა ამ მხრით მტკიცეა. მხოლოდ მუდმივი მოპირდაპირე, საწინააღმდეგო შთაგონებით შეიძლება მისი შესუსტება.

თავისი თავის შთაგონება, რომელიც ნებას ასუსტებს, საშიშია ბავშვობაში. თუ ეს ბავშვს ძვალ-რბილში გაუჯდა, ძლიერ შემაფერხებელი იქნება მისი განვითარებისათვის. ამიტომ პედაგოგები ვალდებული არიან ბავშვის ფსიხოლოგიის ამ თვისებას ყურადღებით მოეპყრნან. სასკოლო

„წვრილმანობა“ ამ მხრივ დაკვირვებისათვის—საკმაო მასალას იძლევა.

არ შეგვიძლიან უარ ვპყოთ, რომ ყოველთვის, როცა ყმაწვილი უცხადებს, რომ მან გაკვეთილი ვერ დაისწავლა, ეს და ეს არ ესმის, ის ეზიზღება; არ შეუძლიან დაიხსომოს ესა თუ ის ადგილი სასწავლო საგნიდან, ცუდი ნიშანი ან დასჯა, თუმცა იძულებითი საშუალებაა, მაგრამ უხერხულია—იგი ორპირ მახვილს შეადგენს და შედეგად მოჰყვება კიდევ მეტი რწმენა თავის უნიჭობის შესახებ.

აქედან ცხადია, თუ რამდენი სიფრთხილეა საჭირო, როცა ბავშვი თავისი გულახდილობით, გულწრფელად სიმართლეს უცხადებს მასწავლებელს, რადგანაც სიცრუე, მოტყუილება და ცბიერება ხშირი მოვლენა არ არის ბავშვებში.

გაუფრთხილდით, ნუ ჩააგონებთ ბავშვს, რომ ექვი დაებადოს თავისი ნიჭიერებისა—ამით დაამახინჯებთ ადამიანს, დაუკარგავთ შემოქმედებას, თვითმოქმედებას და ცხოვრებაში ბრძოლის იარაღს. დაუსუსტებთ თავის თავისადმი რწმენას, დაუსუსტებთ ნებასაც, მოჰკლავთ მასში „ცხოველ სულს“, ჯერ კიდევ ნორჩს არსებას სულიერ სიკვდილამდის მიიყვანთ.

ექვი, რომელსაც მასწავლებელი გამოთქვამს, შეიპარება მოწაფის გონებაში და ნებას უხლართავს, ხშირად შთაგონებული ექვით დასუსტებული ნიჭიც ილუპება შემდეგ თვითშთაგონების წყალობით. მით უფრო, რომ თვითშთაგონებას ყველაზე უფრო ადვილად და თავისუფლად ნიჭიერებიც მიეცემიან ხოლმე.

მოქმედების გადაწყვეტილება შთაგონებულის რწმენისაგან წარმოსდგება, რომ რომელიმე საქმე შესრულდება. იგი დაფუძნებულია თავის თავისადმი რწმენაზე; ყოველგვარი ექვი კი ამ რწმენას ძირს

უთხრის. „შეიძლება შთაგონო ადამიან-სო, ამბობს ჰიუო, რომ იგი სულელია, რომ მას არ შეუძლიან გაიგოს რამე, ან გააკეთოს ესა თუ ის და მართლაც გახადოთ იგი შეუვლებელი და უძლური. აღმზრდელი ყოველთვის ასეთს წესს უნდა ადგეს: შთაგონოს მოწაფეს, რომ მას შეუძლიან გაიგოს და გააკეთოს.“

თვითშთაგონების ცუდს მიმართულე-ბას ხელს უწყობენ მოზრდილები. რაკი არ იციან კანონიერი აღზრდის წესები, აგონებენ ბავშვებს, რომ ისინი პატარები არიან, ესა თუ ის მათთვის მაუწყდომე-ლია, სასაცილოდ იგდებენ იმათს აზრს და შენიშვნებს, უშრეტენ მათ თვითშეგ-ნებასა და ღირსებას. დაცინვა და დამცი-რება ბავშვისა მეტის მეტად უხერხული და არა პედაგოგიური საშუალებაა: იგი ჰკლავს ადამიანში საუკეთესო გრძნობებს და სამაგიეროდ ცუდს გრძნობებს უღვი-ძებს.

თუ გინდა ბავშვი უკეთესად გეჩვენოსთ, გაუშვირეთ ხელი და გამოიჩინეთ მასთან პატივისცემა და ყურადღება.

V ავტორიტეტი

როცა ვამბობთ მასწავლებლის ავტო-რიტეტის გავლენისა და მისი მომხიბლავ მნიშვნელობის შესახებ, უნდა დავეუმა-ტოთ, რომ რწმენას და პატივისცემას, რომელსაც შთაგონებით გადასცემენ ისი-ნი მოწაფეებს, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და ავტორიტეტსაც მეტს მნიშვნელობას აძლევს. მასწავლებ-ლის ავტორიტეტი მოწაფეების თვალში მშობლების ავტორიტეტზე მაღლა სდგას; თუ კი მასწავლებელს შეუძლიან თავისი ავტორიტეტი სასურველ სიმაღლემდის აიყვანოს.

მასწავლებლის ავტორიტეტს მხარს უჭერს ის პატივისცემა, რასაც მისი მო-წაფეები იჩენენ მისდამი. მოწაფეებივე გადასცემენ ამ პატივისცემას ახლად შე-მოსულს შაგირდებსაც. ავტორიტეტს ყოველის უწინარეს მასწავლებლის პიროვ-ნება ჰქმნის, შემდეგ მშობელთა შთაგო-ნება თავისის შეილებისა სკოლაში მიბა-რების დროს და ბოლოს მოწაფეები, რომლებიც თავიანთ ამბებით მასწავლებ-ლის შესახებ შთაგონებენ სხვებს განსა-კუთრებულ პატივისცემასა და მოკრძალე-ბას მისდამი.

პატარა მოწაფეებში მასწავლებლის ავ-ტორიტეტი საზოგადოთ მაღლა სდგას. უთხარით მოწაფეებს, რომ თქვენ ესა თუ ის არ იცით, არ დაგიჯერებენ. მასწავლე-ბელმა ყველაფერი იცის, მასწავლებელი ყველაზე ჰკვიანი და მკოდნე კაცია. აქ მასწავლებლისათვის ცოტაა საჭირო, რომ შეინარჩუნოს თავისი ავტორიტეტი, რო-მელიც პირობების ძალით და ბავშვების მიღრეკილებით შთაგონებისადმი თავის თავად შენარჩუნებულია.

საქმე სხვანაირად არის მაღალს კლა-სებში. მოზრდილ მოწაფეთათვის მასწავ-ლებელი უტყუარი ქეშმარიტება და კანო-ნი არ არის. აქ კრიტიკული გონება მო-წაფისა ატყობს უსწორ-მასწორობას მას-წავლებლის სიტყვებში და მის ქცევაში, ცხადსა და გარკვეულს ცოდნაში და ბუნ-დოვანსა და განუსაზღვრელში, ტყობი-ლობს მასწავლებლის სუსტს ცოდნასა და რწმენას. აქ კი ავტორიტეტი ჰკარგავს თავის მომხიბლველ გავლენას, იმის შესა-ნარჩუნებლად საჭიროა ძლიერი სიტყვა, მტკიცე რწმენა და მასთან დაკავშირებუ-ლი მოქმედება. თუ საზოგადოთ მასწავ-ლებელს მოეთხოვება ფართო განათლება და მაღალი გონებრივი განვითარება, მა-

ღალი კლასების მასწავლებლებისათვის კიდევ საჭიროა აზრის სიცხადე და სინამდვილე, მტკიცე შეხედულობა და მაგრად თავის დაჭერა.

რამდენადაც ძლიერი და მტკიცეა ხასიათი, იმდენად უფრო ძლიერია მისი გავლენა ბავშვებზე და მოზრდილებზე.

ყოველი ძლიერი წიკიპურტი, ამბობს ჰიუო, შეგნებულის არსებისათვის გადაიქცევა ერთგვარ შინაგან ხმად, რომელიც გვეუბნება: გააკეთე, ნუ გააკეთებ, წადი— გაჩერდი, იგი მიიღებს შთაგონების ისეთს სახეს, რომელიც ბოლოს და ბოლოს საკმარისი ენერჯის წყალობით ბრძანებად გადაიქცევა: „ეს უნდა ჰქმნა, ის არ უნდა ჰქმნა“.

მოზრდილ ყმაწვილს ვერ დააჯერებ შემდეგ, თუ მან მასწავლებელში ცოდნის სიღატაკე შენიშნა; იგი დარწმუნებული იქნება, რომ მასწავლებელმა თავისი საგანი არ იცის და ყოველს ადგილას მისს ძაგებაში იქნება. ერთის ამგვარი რწმენა გადაედება მთელს კლასს. მასწავლებლის გარშემო შეიქმნება უნდობლობის ატმოსფერო, რომელიც შემდეგ სხვა ფაქტებითაც დამტკიცდება.

მასწავლებლის მიერ ავტორიტეტის დაკარგვა, მთელი მისი პედაგოგიური მოღვაწეობის დაკარგვაა, მთელი მისი პედაგოგიური ნიჭის წესის აგებაა, რომელსაც შედეგად მასწავლებლობის თანამდებობის მიტოვება უნდა მოჰყვეს. ამიტომ საკუთარისა და ბავშვების ინტერესისათვის საჭიროა მასწავლებელი მუდამ იცავდეს თავის ავტორიტეტს მოწაფეთა თვალში.

მასწავლებლისათვის სიტყვას ცოტა მნიშვნელობა არ აქვს. მოკლე, მკაფიო და მხატვრულ სიტყვაში გამოიხატება ზოგიერთი მხარე შთაგონებისა. სიტყვაში ჩვენ ვხატავთ ჩვენი მოქმედებათა ფარულ

შთაგონებას; ჩვენ სიტყვებით გადავცემთ იმ წესებს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ჩვენს საქციელს. სიტყვები ამაგრებენ შთაგონებას და აძლიერებენ მოქმედებას.

მკრთალი სიტყვა იძლევა ბუნდოვან შთაბეჭდილებას, რომლის ცხადად გამოხატვა არ შეიძლება არც სახეებში და არც მოქმედებებში ე. ი. უბრალოდ იკარგება ისიც, რის შთაგონებაც სურს და სიტყვის საჭირო ძლიერებაც. ცხადი და გარკვეული სიტყვა ავტორიტეტსაც აძლიერებს.

თვით ხმის კილოშიაც კი დაცული უნდა იქმნეს სასურველი ძალა და რწმენა, — როგორც ენერჯიული მიხრა-მოხრა და მოქმედება, ისე ენერჯიული ხმა და კილო იპყრობს გარშემო მყოფთ და უნერგავს მათ მოქმელებისადმი რწმენას.

ავტორიტეტი სარწმუნო თანაშემწეა პედაგოგისა, ამიტომაც მივაპყარ მას მკითხველის ამდენი ყურადღება.

VI

დასკვნა

ყველა ზემონათქვამიდან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შთაგონებას სწავლა-აღზრდაში. რაც უნდა უყოს მასწავლებელმა მოწაფეს, რა სამუშაოც უნდა მისცეს, იგი უნებლიეთ შეეხება ამა თუ იმ სწავლების წესს, ბავშვის სულს და მისი შთაგონების ძალას.

დასწავლა—ეს მთელი რიგია შთაგონებისა, რომელიც ერთი მეორეს მისდევს, ვიდრე არ შესდგება ასსოციაცია, რომელიც უერთდება სხვებს, ჰქმნის მტკიცე ცოდნას, რომლის გამოწვევა მეხსიერებაში და წარმოდგენილებაში ყოველთვის შესაძლებელი იქნება.

შთაგონების ღირსება ცოდნის ადვილად, თანდათანობით შეთვისებაში, მის

განმარტებაში და ადვილიდან მოძნელოზე გადასვლაშია. ამაშია თავის თავისადმი რწმენის გამტკიცება, თავის ძალების აღსარება. ბავშვი ხედავს, რომ მიცემულს სამუშაოს გაკეთება შეუძლიან, ადვილად შეასრულებს მიცემულს სამუშაოს, იგი გრძნობს თუ როგორ მიდის წინ, აფართოებს თავისს ცოდნას,—ეს უმტკიცებს მას თავის თავისადმი რწმენას და გულმოდგინეთ მუშაობს.

ზოგი პედაგოგები უარს ჰყოფენ საშინაო სამუშაოს. შეიძლება დავთანხმებულიყავით ამაზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პედაგოგი ანგარიშს არ უწევს მოწაფეთა ძალებსა და ცოდნას და საშინაო სამუშაოს ბოროტად ხმარობს. მართალია, ხშირად ვხედავთ, რომ ბავშვები იქნებიან გაკვეთილებით სხლში, მაგრამ ეს ხდება გარეგანი ძალდატანებით და არა შინაგანი **სურვილით**. ეს მხოლოდ ცუდად გამოყენებული საშუალებაა.

ჯერ ბავშვი **სურვილს** მიაჩვიეთ, შემდეგ გაუღვიძეთ სურვილი **გაკეთებისა** და მაშინ მიეცი შინაც ძალის შესაფერი სამუშაო: იმას ხალისით შეასრულებენ. უკეთესია ადვილი სამუშაოს მიცემა, რომ ნება და ყურადღება ბავშვისა არ დაიღლოს და არ შეუსუსტდეს რწმენა, რომ მას შინაც შეუძლიან იმუშაოს, მაშინ საშინაო სამუშაოც სახალისო და სასარგებლო იქნება ბავშვისთვის. ეს სამუშაო შრომის ბუნებრივი მოთხოვნილება იქნება.

შთაგონების ძალა ყოველ ასაკში ერთნაირი არ არის; 6 წლიდან 9 წლამდის შთაგონება თანდათან მატულობს და ცხრა წლისაში უმაღლეს წერტილამდის მიდის, შემდეგ ქვევით იწევა და მისი შესუსტება თანდათან მიდის მომწიფებულს ასაკამდის.

მცოდნე პირთა გამოკვლევით, მოზრდილები ყველაზე ნაკლებ ითვისებენ შთაგონებას, ვიდრე ბავშვები და ჭაბუკები. საზოგადოთ კი შთაგონებას განიცდის ყველა ბავშვი და 30% მოზრდილები.

ერთი პირის გავლენა მეორეზე იდგის, სურვილის, გრძნობისა და ემოციის გადასაცემად მოქმედებს ან ლაპარაკით, დარწმუნებით, რჩევით, ბრძანებით ან ქცევით. ეს გავლენა მით უფრო ძლიერია, რამდენადაც ინსტიქტებში და მემკვიდრეობაში მეტს განწყობილებას ჰპოულობს.

ნორმალურსა და ფხიზელ მდგომარეობაში შთაგონება ბავშვის თავისუფლებას არასოდეს არ აფიწროებს. მოქმედების არჩევა სრულს მისს უფლებაშია, თუმცა ამ არჩევაში ემორჩილება შთაგონებულს აზრს, მაგრამ ეს შეუმჩნეველია, სრულიად ბუნებრივი და ნორმალური საქციელია. ამასვე ვხედავთ მოზრდილებშიაც. არცერთი ჩვენთაგანი არ იმყოფება რომელიმე პირის გავლენის ქვეშ, ჩვენ თავისუფალნი ვართ სხვისი აზრებისაგან, მაგრამ ჩვენს ყოველგვარ ქცევასა დამოკიდებულება აქვს ჩვენს გარშემო მყოფთან, ჩვენს საზოგადოებრივს მდგომარეობასთან—იგი ნაკარნახევია ცხოვრების პირობებით.

სკოლაში ბავშვებზედაც ასე მოქმედებს სკოლის სული და მისი განწყობილება. სკოლა ბავშვის მოქმედებას იმორჩილებს. ტოლ-ამხანაგებს შეაქვთ ამ ცხოვრებაში რაღაც განსაკუთრებული ახალი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ხიბლავს ძლიერსაც. ამ წრეში მოყოლილი ბავშვი მალე იცვლება: ჩუმი, მოწყენილი, მშვიდი, წყნარი ბავშვი უცებ გამოცოცხლდება, ძალა ემატება, ენაჭარტალა ხდება, თითქოს რაღაც სოციალური ერთეულის თვითშეგნება იღვიძებს და ივსება ამ პა-

ტარა არსებაში. მაგრამ სამწუხაროდ სკოლა არ ცდილობს ამ მდგომარეობის შენარჩუნებას; იგი სასკოლო მძაფრი წესებით, მეცნიერების სხვა და სხვა დაძველებულის ტვირთით სპობს მას, პიროვნებას უკარგავს და ბოლოს ცუდ ხასიათის შედეგამდის მიჰყავს.

ჩვენი სკოლების ცხოვრებას ჩამოშორებამ, ისეთი პროგრამის შეტანამ სკოლაში, რომელიც ბავშვის ფსიხიკას არ ეგუება და დიდაქტიკურმა უხერხულმა წესებმა შეუძლებელ ჰყვეს სწავლა-აღზრდის საქმის მოწესრიგება სკოლებში. სკოლა მხოლოდ ცალმხრივ თხოულობს მოწაფეთაგან ცოდნას, ანგარიშს არ უწევს ბავშვის ინდივიდუალურ მიდრეკილებას და მოთხოვნილებას, პატივით არ ეპყრობა მის ბუნებრივს უფლებას, არ გულისხმობს ბავშვში პიროვნებას, რომელსაც შეუძლიან იგრძნოს და გაიცნოს გარემო, როგორც დიდებს შეუძლიან და შეადგინოს ყველაფერზე თავისი აზრი. სკოლა თითქოს ჩამოყალიბდა ერთს გვარს ყალიბში, გაცივდა და დაჰკარგა ნიჭი წინმსვლელობისა და შეგუებისა. თავისი ჩამოიქვეითებით სკოლამ უარ ჰყო ერთი ძლიერი საშუალება ზნეობრივად ამაღლება ბავშვისა, გაფართოება და გაღრმავება მისი გონებრივის ნიჭისა; ეს საშუალებაა—**ბავშვში ადამიანის პატივისცემა**.

„პატივისცემის გამოჩენა, ამბობს ჰიუო, არის ერთი უძლიერესი ფორმა შთაგონებისა“. და ეს ღრმა ჭეშმარიტებაა. არაფერი ისე კეთილად არ მოქმედებს თვით შეგნების გრძნობის განვითარებაზე, თავის ძალისა და ნიჭის რწმენაზე, ისე არაფერი იწვევს თვითმოქმედებისაკენ, განვითარებისაკენ, როგორც პატივისცემით მოქცევა დიდისა პატარისადმი და წარმოთქმული აზრი მისი კარგი მიდრეკილების შესახებ.

„პირიქითო, ამბობს ჰიუო, ვისმე რომ ჩააგონო ცუდი ხარო, ეს ნიშნავს იმაზედ უარესი გახადო, რაც არის. ყოველგვარი დასკვნა ბავშვის ზნეობის შესახებ, ხმა მალლა წარმოთქმული, მაშინვე შთაგონების ხასიათს მიიღებს. „რა ავი ბავშვია, რა ზარმაცია... ის ვერ გააკეთებს ამას თუ იმას. რამდენს ბიწიერებას და ცუდს რასმე გაუდგამს ფესვი ამ სახით არა მემკვიდრეობის, არამედ ცუდი აღზრდის წყალობით“

სკოლა რომ მარტო ასწავლიდეს, ე. ი. ხელს უწყობდეს მხოლოდ ცოდნის შეძენას და ზნეობრივად არ ზრდიდეს მოწაფეს, მაშინ შთაგონებას ასეთს დიდს მნიშვნელობას არ მივცემდით პედაგოგიკაში. მაგრამ სკოლა ისეთი ასპარეზია, სადაც თვითოეული სიტყვა, თვითოეული მოძრაობა მასწავლებლისა მაშინვე ბავშვებზე გადადის, შთაგონებად ხდება და აღმზრდელობით მნიშვნელობას მიიღებს. ბავშვის სული ის ნიადაგია, რომელშიაც მასწავლებელის აზრის, იდეის, გრძნობათა და სურვილთა თესლი ითესება, რომელთაგან არც ერთი თესლი არ იკარგება, პირიქით მოჰყავს ან ცუდი ან კეთილი ნაყოფი.

სკოლაში თვითოეული მიხრა-მოხრა, თვითოეული სიტყვა აწონილ-დაწონილი უნდა იყვეს ბავშვის სულის სასწორზედ და მოსაზრებულ მოქმედების მხრივ.

წერილს ვათავებთ შემდეგის დასკვნით და რჩევით:

ა) გამოიწვიეთ ბავშვებში ყველაფრის მიბძევა, რაც აღრმავებს კეთილ გრძნობებს, აქეზებს საღის მოქმედებისათვის, ავითარებს გონებრივად, უფართოებს ცხოვრების ცოდნას და ამზადებს საზოგადოების მტკიცე და მედგარ მებრძოლ წევრებს. მოიქეცით ისე, რომ ბავშვმა

ნახოს უფრო მეტი კარგი და სასარგებლო, და ნაკლები ცუდი.

ბ) მიგანდეთ ბავშვი ყოველთვის უკეთესად, ვიდრე არის. სახეში იქონიეთ ყოველგვარი წარმატება ამ მხრივ და ყოველ გვარად წააქეზეთ მუშაობაში, შთავონეთ ბავშვებს რწმენა თავიანთის ძალებისადმი.

გ) ნუ აჩქარდებით გაკიცხვაში და სავცედურში ურჩს ბავშვთან, რომელსაც მიცემული საქმე ვერ შეუსრულებია. ხშირად ბავშვებს ამაში სხვა გარემოება უშლის ხელს და არა სიზარმაცე და დაუდევრობა. უფროთხილდით არ მოჰკლათ ბავშვში მუშაობის ნიჭი და სურვილი.

დ) უფრო ფართოდ და სხვა და სხვანაირად გამოიყენეთ ბავშვის ბუნებრივი მისწრაფება მუშაობისაკენ. თუ ბავშვი გაურბის სამუშაოს, ან უხალისოდ აკეთებს რასმე, ეს იმის ნიშანია, რომ თავისი ენერჯიას სხვას რასმე, ახმარს, იქნება ცუდს რასმესაც.

ე) სიყვარული და პატივისცემა შეიძინეთ ალერსით და ბავშვის უფლებისა და აზრის პატივისცემით. მაშინ თქვენ ხელთ იქნება უუძლიერესი სააღმზრდელო საშუალება. დაშინება მავნე და არა საიმედო საშუალებაა ბავშვის ადამიანად აღზრდისათვის.

ლ. ბოცვაძე.

პრედილნი

(ძღვნათ გრ. ლ—ძეს)

I

ღიური შრამით ქანც-მორეული
გარედ გამოგეკლ, ვიდრედი ობლათ,
და გადავწვიტე გზას გაჟღერომლი
ქალაქის გარეთ მისასვენებლათ!..
მინდოდა წუთით გამერთო გული
თავისუფლების მეხილა მდელო,
გულის წარმტაცი სად ჭქრის ნიაფი,
შეგების მომგვრელი და—სამუფლობელი!..
დავტოვე ბინა, წამების მხარე,
სად მარად ტანჯვა ხორც-შესხმულია,
გენიის ცეცხლი იქვე ტრიალებს,
ადამიანი შეჭაჭვულია.
სად ბუნების ძე დღიურ ლუკმისთვის
გასაყიდ ნივთათ გადაქცეულა,
კაცთა სიამის მისასწობელათ
თვით ჯოჯოხეთი ამხედრებულა!..

სად მარად ტანჯვა-უბედობაზე
იზრდება ქვეყნის ბედნიერება,
სიამის წყარო იქ დაფრქვეული
მხელოდ ბედნიერთ მოკვლინება.
დავტოვე ბინა... მინდოდა ღხენით,
სიამის წყაროს დავწაფებოდი,
რომ შემდეგ—ისევე ახალი ძალით
სამშობლო მხარეს დავბრუნებოდი!..

II

ჩემს დედაბუნს, სამშობლო აკვს,
მზის ოქროს სხივი ასცილებია,
ქვეყნის მნათობი, ზე გადახრილი,
განცხრომის მხარეს მოფლინებია.
ვით შეეფე ტანტზე სკიპეტრით ხელში
ლამაზ ზოროფრით ტან შემოსილი,
ძლევის გვირგვინით დამშვენებული,
ბრდიანტებით შუბლ-შემკობილი,

იქ, სადაც შეეხას დაუდგამს ტახტი,
სიამის მდელი გადაშლილია,
და ამ განცხრომის დიად მხარეში
უცხო ბევრი რამ თავმოყრილია,
— ქალაქი ივი, შუა სამყარო
ტურფათ მორთული, გაბრწყინებული,
ამაყად დასტკერს სამსხვერპლო მხარეს,
თვით კმაყოფილი, დამშვიდებული;
აგერ მუსიკამ დაიკრიალა,
ტკბილ ჰარმონიამ შეამკო არე,
განცხრომის შვილი მღერს უღარდეღად,
გულს არ უწყლულებს ფიქრები მწარე.

იქ როალი ნაზად ნარნარობს,
შეეკარებულებს ეპატიება,
განცხრომის ვაჟი ლამაზ არსებას
ჩაჰკანებია, მოიკლას ვნება!..
აი ქუჩება, ტურფა ბალები,
ბედნიერებით ავსებულია,
მათ არ უწყულებს გულს სილატაკე...
შამანიური მირთმეულია!..
მარად კისკასი, მარად ნარნარი,
სიამის ფრთები ამა ქვეყნისა...
მხოლოდ ჩატრული მარად იკონებს,
არსებობს გვერდით მხარე ტანჯვისა!..

* * *

ჩემო ოცნებაჲ, ნუ გგონია აქ შენ გაერთო,
ზეიმი მართო, ფრთა გაშალე, შვების არეში,
შენი ნავარდი, შენი ფიქრი ცას შეუერთო,
შენი სამყარო ჩაწნულია ტანჯვის მხარეში!..
დაეძებ სატრფოს, ჩემო კარგო, ტარიელდები,
დღისით მზეს უხმობ, ღამით შთვარეს მოკლავარესა,
ფრთებს შორს გასტეორცნი, უღრან მხარეს გადასცილდები,
მდინარეს, ნიავს უზიარებს ფიქრებს მწკავისა!..
დაეძებ სატრფოს, ჩემო კარგო, ჩემო იმედო,
აქ ამ მადლობზედ, ცის სივრცეში მოჰკარი თვალი!?
ჰა, ხმები ისმის განცხრომისა, გასწი უბედო,
შენ იქ მიბრძანდი, სად გენიის ბობოქრობს ალი!..
ჩემმა ოცნებამ ფრთა შეჰკვეცა, დაბლით დაეშვა,
სხივს მონარნარეს მნათობისა მისცა სალამი;
წინ გაბედულად!.. გულის ამბგერ ხმები მომესმა,
წინ საიმედო — ტანჯულ ქვეყნის — დროშა-ალამი!..

III

ქვეყნის მნათმა, ცის მშვენებამ
მალლით სხივი გამოსტეორცნა,
დაქათქათა ლამაზ მდელას
და გულ-შკერდი გადუგონა!..
ღხენის ნიშნად ჩიტუნია
შეფრთხილდა, ცად ავარდა,
მან საამო, ნარნარ ხმებით
მზეს მადლობა გადაუხადა.

ცელქმა სიომ ბუჩქ-ბალახებს,
ფოთლებს ნაზად დაუქროლა
და მათ შორის საიდუმლო
ჩაქსოვა ფიქრთა სროლა!..
მოკისკასე, მონარნარე
შეუერთა ხმაც მდინარის,
ხან სიამის გამომხმობი,
ხან მეტყველი ფიქრთა მწარის!..
ეჰ, მდინარეჲ, ჩემი გული

შენს ჭირ-ვარამს შეჩვევია,
 შენი სრბოლით აღტაცებულს
 ხშირად ლხენაც კი მწვევია!..
 ხშირად გისმენ სიღამის უამს
 დამწველ გრძობით მონარნარეს,
 ან ვინ უწყის რას ბუტბუტებ,
 რად მოაფრქვევ სევდას მწარეს!..
 მდინარემ ხმა გაიმეტა—
 ხმა მშვიდი—ხმა მონარნარე,
 —უდრან მთებში დაგობადე
 გაგინანი უცხო მხარე,
 ძირს, მდელისკენ გამოქანდი,
 მომეწონა ტურთა ანე,
 დღისით მზე გზას მინათებდა
 და ღამით კი ბადრი მთვარე!..
 ქვეყნის მკერდი გადმოგლანე,
 ხმელეთი, ტყე, მინდორ, ველი,
 ბევრგან ვნახე ნეტარება,
 და ბევრგან კი ტანჯვა მწკელი,
 ფრთებ შეკვეცილ ობოლ მხარეს,
 მოვუქარტე ბევრჯერ მკერდი,
 სიამის ფრთა მას მივუძღვენი,
 ავუფლერე გულს იმედი,
 მაგრამ ძალამ, ბორცვ ძალამ.
 არ დაზოგა, დააობლა,
 თვისი ბედის ასაფლერად
 ფრთა შეჭკვეტა, დაუმოკლა,
 და აი მეც, ხან ვნარნარებ,
 ხან მატაკებს მწარე ფიქრი,
 და სევდის ხმით გამოგინებობ,
 მტრისა წინ თუ ქედს არ იხრი!..

IV

აჭა, მინდორი, ტურთა მიდამო,
 ფერად მანტიით შემოსილია,
 ველად გაისმის ჩიტთ ჟრიაშული,
 შვება-სიამით მოფენილია!..
 შორით ბრწყინავნი, ლურჯათ მოსილნი,
 ხმელთა მეფენი, გოლიათები,
 მკაცრად დასცქერენ ძირს, დედამიწას,

ცად მიბჯენილი, ამაყი მთები...
 და იქ, მათ კალთებს, ფერათ მოსილებს,
 ჩურბის მაღი, ცუქქი მდინარე,
 აფრქვევს სიცოცხლეს ხმა მისი ხშირი,
 ხან მშვიდი, წყნარი, და ხან მჭეხარე!..
 იქვე, მთებს შუა, შავი საშუარო,
 თითქო განგებით ამოთხრილია,
 სად ბორცვებს თავისს საკბილას
 ჩაარჩობს, ჩაჭკლავს, კმაყოფილია!..
 ვიდექ მარტოკა... ცა იცინოდა,
 ცა მხიარული, ცა მოწმედილი;
 თვალი მოგვარი ფერად სივრცეში,
 შორით მოსჩანდა ორი აჩრდილი!..

V

აჩრდილთა ხმები.

შავი.

მე ძლიერი ვარ, თვით ძლიერებამ
 მშობა, ამზარდა, მომცა აქ ბინა
 მთის მწვერვალზე დამიდგა ტახტი,
 გადამიშალა საშუარო წინა!..
 მთანი მალაღნი კვარცხლბეკად მომცა,
 და მზე დიადი ძლევის გვირგვინად;
 თვით ბუნების ფრთას მარტო ვატარებ,
 ჩემს წინაპრებსა ქტონდა ის წინად!..
 ვინ შემედრება?.. ვინ არის აბა,
 მეტოქე ჩემი, დემონი ძლევის?!
 რისხვის ზარს დავცემ, საშუაროს შეგვარავ,
 მუხს გამოვტყუარცნი, მუხს ცუცხლთა ფრქვევის;
 მე ძლიერი ვარ, ძრწოდე საშუაროვ,
 თუ ჩემს სურვილებს არ ემონები...
 არ შეგობრალე, გაგანიავე,
 ჭა, ჩემი სიტყვა და კანონები!..
 შავ კლდის მწვერვალზე ფრთებ მოღერილი
 სამკუთხი თავით ზე აკლავნული,
 გველებრივ სახით წამოშუადარიყო,
 ქვეყნის მეუფე, ბორცვი სული!..
 —ჭეი, შენ, შენ, ჭეი, წითლათ მოსილთა!...
 იქ კვლავ გაისმა ხმა ზე აჩრდილის,

გაბედე, ფეხს სდგამ ჩემს სამყაროზე?—
თუ შესურველი ხარ შავი სიკვდილის!..

წითელი.

მესმის ხმა შენი, მათა მეუფე,
მესმის და ის მე ვერ შემაშინებს,
შეჩვეულია გული ვაუბას,
ბოროტი გველი ახლად სისინებს...
გესლმა დაფარა ჩემი გზა-ველი,
ტანჯვა მარადის მიხურია ხელში,
ის არის ჩემი მახვილი-მჭრელი
მედგრად დამტეში ბოროტის მკერდში,
შენ შემაჩვიე, ბნელთა მეუფე,
მარად ვაუბას, ტანჯვა-წამებას,
აი მეც გვერდი შეუბოვარი!..
ბრძოლით ვიპოვე თავისუფლებას!..
მე არ მოგვედები... თვით ზღვამ ამხარდა,
თვით ტალღებ შორის მესმოდა ხანა,
ზღვამ გამომგზავნა — ზღვაში შობილი,
და გადმოვლახე მთელი ქვეყანა!..
მაშ, გესმის ვინც ვარ!.. ტალღა, ზღვის შვილი,
მარად მედგარი, შეუბოვარი,
თვით მე მოვრწვევი მთელი ქვეყანა.
ავაბობინე მთა, ტყე და ბარი...
რომ ადამის ძე—ეველა—თანასწორ
აქ დამტკბარიყო ბუნების ღებნიით...
და ეს მთელად შენ მიისაკუთრე?!
არ დაგანებებთ, არა, მას ნებთ!..
გესმის? აქ ვდგევარ, ქვეყნად შობილი,
შეგუერებ დაბლით შეუბოვარი!..
შენ მადლით დამტკბერ ბოროტი სახით

ნება გაქვს დამტე შენი, თავზარი!..
მაგრამ, იცოდე, სისხლის მორევი
აქ დანთხეული ზღვით გარდიქმნება.
წითლად შედებავს შენს ტახტის კედლებს,
მთებს მედგრად მკერდში ჩაეჭიდება
და მას შეანგრევს...

შავი.

. . . ამას ვინ ბედავს!
ჭოი, საბრალო, გიჟი, თავხედი,
ქვეყნის გასრესის მონატრულია
საშიშ წამების წინამორბედი!..
და ხმა გაისმა, ხმა შესაზარი,
აკუწეთ, მოსპეთ ეს უგნურიო,
ძირს გადისრლეთ აქ, ამ უფსკრულში,
თვით ცეცხლმა შთანთქას მისი სულიო!..

წითელი.

ჩემი წარსული, აწმყო, მოხადი,
შენ მომიშხამე, არ შემობრალე,
სანამ ვარსებობთ, ჩვენს შორის ბრძოლა,
სამუდამოა, სასტიკი, მწვავე!..
და მეც მზათა ვარ... დეე, ასრულდეს,
რასაც ბრძანებლობ, გულით გწადა,
გესლი დაღვარე, ბოროტო გველო!..
—მე მკლავის მეტი რა მახადია?—
მაშ, ადასრულე!..

შავი.

. ჭოი, თავხედი,
მადლით აჩრდილმა გაისინინა,
ფრთა შეარხია, შავით მოსილი,
და იქ, მიდამოს ბნელი მოჭყინა!

VI

დაბნელდა არე, ფიქრთა დეღვით განაწამები,
ადარ ცქრიალებს ტურთა მდელო, მაცოცხლებელი,
შეწედა ციმციმი ცის მშვენიების—საამო დეღვა,
შესწედა მოლხენა, ჩიტთ ჭიკჭიკი დამატკბობელი.
სიწმუე ირგვლივ... შენ რად სდუმხარ ცელქო მდინარე.
რად არ გაისმის შენი დეღვის საამო ხმები,
ხომ არ შეჩერდა საიშედო ტოკვა გულისა,

ხომ არ ჩამოწედა თვით სიცოცხლეს ცეცხლი სიმები!?
 დაფიქრებულან: თვით მდინარე, მთანი მაღალნი,
 ნიაგი წყნარად მოხურჩულე არხვეს ხის ფოთლებს,
 შავი სამყარო მზეს უფსკრულში ეპატოჟება,
 იქ სხივთ ციმციმში ქვეყნის მნათობს ბნელი აობლებს!..
 ღრუბელთა გუნდი მთის სამყაროს წამოეგრანა,
 ცამ მკისხანება ჩამოსტყორცნა ტანჯულ ქვეყანას,
 გლოვის მანტიით შეიმოსა აობლი მხარე,
 ღელავს წყვდიადი, ფრთა ესმება ბორბოტ სატანას!..
 იჭექა ცამაც... ელვის ზოლი გაეკრა ტატნობს.
 გრგვინვის ხმაც მკაცრად გაიჭედა მთის სამყაროში!
 იქ რისხვით ისრებს მთის მუუფემ დასტაცა ხელი
 და ხმა გაისმა—ბრძოლის ჭიშნი ცის სამეფოში!..

შავი რაზმი.

ზეცის ბრძანებით
 მოდით, მოგროვდით,
 მთელის ძალებით
 ერთათ შეგროვდით!..

* *
 ერთათ შეგროვდით,
 ზეცის ბრძანება,
 უნდა ასრულდეს,
 —ურჩთა წამება!..

* *
 ურჩთა წამება,
 მეხი, თავზარი,
 განიაგება
 ბრძოლა შედგარი!..

* *
 ბრძოლა შედგარი,
 ისრები, ფარი,
 დასცით უიჟინი
 შეუბრავარი!..

* *
 მოდით, მოგროვდით,
 ერთად შეგროვდით,
 ჭიშნი ასრულდეს
 ზეცის ბრძანება!..

* *
 ზეცის ბრძანება,
 ბრძოლა შედგარი,
 ურჩთა წამება
 შეუბრავარი!..

* *
 ასე იმდერის ზეცის სამყარო,
 დაწაჯთ მოუხმობს, უღეტას ავალებს,
 შავ კლდის მწვერვალზე შავი აჩრდილი,
 ფრთებ მოდერილი ღხენით ხარხარებს!..

VII

რაზმი წითელი.

რის გლოვის ჩრდილი წამოწვა,
 დაფარა მღელო სიცოცხლის,
 გული ტანჯული აკვნესდა,
 სევდის ხაღველი გადმოსდის!..

—
 ვეღარ გაუძლო ჩაკრულმა
 მანადის ტანჯვა-ვაებას,
 და ისიც შედგრა იძახის:
 ბოლო მოეღის წამებას!..

—
 მოდი, შემოკრებით ტანჯულნი,
 ხელი ხელს მივცეთ ძმურადა,
 კლდენი ავიდოთ ზვიადნი,
 მტერს ვეჭრათ მამაცურადა!..

ჩვენი ცხოვრების აღმდგენი,
ჩვენა ვართ, ჩვენი ვალა,
სხვა არ დაგიდევსთ, იცოდეთ,
მხოლოდ ჩვენ, ჩვენი თავია!..

—
მოდით, შემოკრებით, ტანჯულნი,
ჭხედავთ შეიძრენ ცანია,
იქ ბნელში ზარებს ჩამოჭკრეს,
„ომის გაისმის სმანია!..“

—
მოდით, შემოკრებით ჩატრულნი,
ხელი ხელს მივცეთ ძმურადა,
კლდენი ავიდოთ ზვიადნი,
მტერს ვუჭრათ მამაცურადა!..

—
სისხლის მორევი დაფარავს,
ჩვენს მიერ მორთულ ქვეყანას,
ჩვენ არ გვინდოდა ეს ცოდვა,
— მოსწყურებია სატანას!..

—
ჩვენი ცხოვრების აღმზრდელი
ჩვენა ვართ, ჩვენი ვალა,
სხვა არ დაგიდევსთ, იცოდეთ,
მხოლოდ ჩვენ, ჩვენი მკლავია!..

—
მაშ, მო, მოგროვდით, ჩატრულნი,
ხელი ხელს მივცეთ ძმურადა,
კლდენი ავიდოთ ზვიადნი
მტერს ვუჭრათ მამაცურათა!..

—
წითელი რაზმი გროვდება
მტრისგან თავ-დასაცველად,
ბრძოლის უიუინა გაისმის
იქ, კლდეზე, — აქაც, ველადა!..

VIII

მთით მოწყვეტილი მკაცრი ისარი,
ელვის სისწრაფით გაეკრა ცასა,
შეკრთა სიცოცხლე განაწამები
სიკვდილმა ღხენით გადიკისკას!..

სამაგიერო ზე ატურცნილმა
ისრმა ცისკენ განავარდა,
შეშფოთდა ზეცა და ღრუბულთ შორის
სამგლოვიარო მეხი გავარდა!..

შავი. . . დაირაზმენით! — ურჩთა წამება
უნდა ასრულდეს სასტიკზე მეტათ!..

წითელი. . . დაირაზმენით! საბედო ჟამი
მოგვობხლოვდა გადასწყვეტათ!..

...და ცაც შეირყა, შეიძრა სივრცე,
იწყო ისრებმა ელვა, ცქრიალი,
წითელი რაზმი აღმა მოიცო,
აკვნესდა არე განატიალი!..

ბევრი დაეცა ბრძოლის ველზედ
მტრის ისრით მწარედ გულ-განგმირული,
სისხლმა შეღება ღაშქართ მიდამო,
აჩქეფდა წყარო — ცრემლთ ნაკადული!..

მაგრამ მებრძოლეთ გუნდს, ველათ განგმირულს,
კვლავ რაზმი მოსდევს შეუპოვარი!..
ჩატრულთ ქვეყანა ლეგიონია,
ჭირში მარადის სწორ-უპოვარი!..

ისიც მესს ესურის მათა სამყაროს,
ისრებს გასტურცნის, უმიზნებს გულში,
მადლიდან სისხლი ჩამოქრიალებს,
სცვივა დაჭრილი საშიშ უფსკრულში,

და იქ, ბნელში, ჩონჩხათ იქცევა,
ჩამოვარდნილი შავი — ზვიადნი!..
სცვივიან იქვე მებრძოლნიც ველის,
გამოტურცნილნი დაბლა ბარიდან!..

და იქაც ბრძოლა საჯოჯოხეთო,
შავ-ჩონჩხმა იცნო ჩონჩხი წითელი,
— აქაც თანა მზდეგ — შესძახა წითელს
და დასამსხვრევათ წაჭკიდა ხელი!..

ძირს ჩახა-ჩუხი, ჩხარუნი ძვლების,
ზევით კი კვნესა გულ-განგმირულის,
ოი, ბოროტო, როსდა მიწინარდეს,
მუღმივი ღელავა სიხლ-ნაკადულის!..

ფრთებ მოღერილი შავი აჩრდილი,
მთის სამყაროში ბრძოლას განატებს,
და ქვეყნის კვნესით თვით-გამაფოფილი,
ჩვეულებრივის ღხენით ხარხარებს!..

IX

დიდი ხანია ქვეყნის მნათობს, ცით მონარნარეს,
 სიტუერფე თვისი შავს-წიაღში ჩაუქსოვია,
 და ბნელთა მეფე მხიარული, ფრთებ მოღერდი,
 ქვეყანას თავზედ სულთ-მხუთავათ გადმოსწოლია!..

.

მაგრამ სინათლე თავისს ქეითს იქ არ იშლიდა,
 სხივი ნათელი ომის ჟამსაც გამოკრთებოდა!..
 და იქ მიდამო სისხლ-ჩქრიალით აზვირთებულად,
 გაულეტილ რაზმით გულ-საკლავად გამოჩნდებოდა!..
 ახლა სულ სხვა... დღის სივრცეში ბნელი შეჭრილა,
 ღამეა, ღამე გულ-ზვიადი, გაუტნებელი,
 იქ ვერ იხილავ, თვალს ვერ მოჭკრავ დახრილ გმირებს,
 ბნელში გულს წამლავს დაჭრილთ კვნესა განუზომელი!..
 ...მიწინარდა ომი... მთის სამეაროც დამწარებულა,
 ეტუობა მასაც დაკლებია გულის მშველელი...
 ამოდის მთვარე... ღრუბელთ შორის გამოკრთის იგი,
 მღუმარ ქვეყანას სხივს უგზავნის სევდის მომკვრელი!..
 ჭოი, ცის მნათო, შენი სრბოლა, შენი ციმციმი,
 ვის, ვის მიუძღვნის ტრფობის გვირგვინს, ვის გაახსრებს?!
 აბა ვით შესძლო ტანჯვის კაცონს ცეცხლი შეუკრთო,
 აბა დახედე... ჩაგრულთ კერა კვლავ ცეცხლს ატარებს...
 დახედე, მთვარე, ახსრებულ, წამების მხარეს,
 დახედე მებრძოლთ, სიმართლისთვის თავდადებულებს,
 მათ ვერ შეაკრთობს, შენი სხივი ცით მონარნარე,
 ნუგეშს ვერ ეტყვის დაობლებულ დედათა გულებს...
 შენ კი, მზევ, სად ხარ, შეგიძლია ამ ტანჯულ მხარეს
 ნუგეში უთხრა, საიმედო მიუსაღერსო?!
 ჩვენ შენგან ველოთ, ცის მნათობო, წამებულთ ნუგეშს,
 ჭოი, დახედე, მხარე ტანჯვის ცრემლით აივსო!..
 ...ჭოი, შენ მღელავ, გულის წარმტაც გაზაფხულის ჟამს,
 შენს გადაშლილს მკერდს სამეჯლისოთ ბეგრი სწვევია!..
 ტანჯულს უნახავს შენი სახე ცელქ-მონარნარე,
 იქ შენს ღოგებზედ შვების ცრემლი დაუფრქვევია!..
 და შენ, მიდამო, დაჭრილთ კვნესის კარგო მწამევე,
 გვიამბე აბა, გაგვაცანე რამ სანუგეშო,
 ან ვინ დაეცა შენს განიერ უმანკო მკერდზედ,
 ან ვინ გადაარჩა, ვინ გაიმბობს: „შევდრეთით აღდგესო!“
 გვითხარ, მდინარე, შენც გვიამბე, შენი ფიქრები,

შენაც გვასმინე სანუგეშო, ხედავ წამებას,
 შენ კარგათ იცნობ აი ამ სისხლს, ველათ დანთხეულს,
 მრავალ ტალღებათ უერთდება შენს გულს, შენს დღევას!..
 და თქვენაც, მთებო, გულზვიადო, ზე აღმართულნო,
 აბა, დახედეთ, თქვე უნდონო, წამების მხარეს!..
 ნუ თუ ეს სისხლი, უსამართლოთ აქ დანთხეული,
 თქვენის ამაუ გულებს ფიქსს არ ჰკვირის გასლით აღსავსეს?
 ჭიო, ცის კიდევ, მთის სამუაროვ, ჩაბნელებულა!..
 შენს ბოროტებას ზე მოვლენილს არ აქვს საზღვარი,
 სანამ ისმოდეს ქვეყნის კვებისა განუზომელი,
 სანამ გიწოდონ კაცთ მოძულე და საზიზღარი!..

*
*

ცა ზირქუშობს, იკუბრება,
 ცა მრისხანეთ იკურება,
 არე თაღხით შემოსილი,
 შავ-ფიქრებით იბურება!..

ველი კვების, ველი გმინავს,
 ტუე არ იძვრის, თითქო სძინავს,
 თრთის ნიაგი მონარნარე,
 ფრთებს ძლივს აჩხვს, ჰკვირს და სწურავს!..

ცის ლამზარი, ბადრი მთვარე,
 არ სჩანს ხშირათ მონარნარე,
 სისხლ მოკრეგით შენაფერი,
 მწარედ მოსთქვამს, ჰკვირს მდინარე!..

ჩუ, შორიდან ისმის ზარი,
 ხმა სევდისა, გლოვის ზარი,
 დამწველ ჰანგით იმოსება,
 შერი სივრცე, მთა და ბარი!..

და იმ ხმაში გამოსმის
 ძლიერი ხმა წვევა-კრულვის,
 გამოსმის ცრემლთ ლიკლიკი
 ისრით დაჭრილ, მებრძოლ-გმირის!..

აჰა, ისმის, ისმის ზარი,
 სევდიანი, ნადვლით მწარი,
 ძლიერია ეს ხმა წუნარი,
 მას ბანს აძლევის მთა და ბარი!..

X

ხ მ ე ბ ი .

მდინარე. ბუნებამ ფრთა გამოშასხა,
 მუღმივი და შეუკვიცი,
 მარად ტოკვა და ნარნარი
 ასეთია ჩემი წესი!..

სიცოცხლე და ნეტარება
 ექსოვება ჩემს გზას დიადს,
 მიზნის, მიხტის განუწვევტლივ,
 ეკებება მძლე განთიადს!..

სიცოცხლე ვარ, სიამის ფრთას,
 ვაბიბინებ მინდორ-ველებს,
 ჩემი ტოკვა და ლიკლიკი
 მთელ ქვეყნას აცხოველებს!..

არა, არ მსურს სისხლი, კვებისა,
 ზიზღით ვუცქერ უძრავ, შავ მთებს,
 გაუმარჯოს სიცოცხლის ჩანგს,
 გაუმარჯოს სიამის ხმებს!..

*
*

მდელო. კარბურაყისას, აღმოსავლეთი
 რას განთიადით შეიმოსება,
 რას გლოვის ჰიმნი მიაკრთობს სიმებს,
 სირთა ჭიკჭიკი ლხენით იწეება!..
 რას ბუნების ფრთა გალადებულა,
 ტრფობის სამოსელს არხვს, დიდება,

და ქართა სხივი, მაშკალ ქვეუნიკენ,
 მიმტვირთებს, კონას ჰირდება!..
 რას გაზაფხულის ჰირველი ნამი
 ჩემს ლურჯ შეკრდს ვერცხლად დაეპყრება,
 დაიწვეს ცილის გაბრწინებულნი,
 ქართა სხივები მოეფინება!..

— თუ, რა კარგია მაშინ სიტყვსლე,
 თვით სიტყვსლეს ვთხზავ. ვეტრთილება,
 შორს, შავ უფსკრულში იმალებიან,
 ბორცვი სული, ავი ძალები!..
 მაშ, მო, მოფრინდი, მომიხლოვდი,
 მადი სინათლე, ჩამოჭკარ ზარი,
 გლოვის ხმა, შეწედი სამარადისოთ,
 შეება, მოჭკარკე სიტყვსლის ძალი!..

მთა. ძრწოდეს სამეფრო, არ მენაღვლება,
 ადვილათ ვერვინ წამვიდებს ხელსა,
 და თუ გაბედავს ვინმე თავხედი,
 დავუბნებდი წუთი სოფელსა!..

ჩემი სამეფო ხელუხლებელი,
 არ აღეღება ვით ტაღლა ზღვისა,
 ცის მოკავშირე, მისი ერთგული
 ხმის მიმცემი ვარ ჭეჭა-გვრგვინისა!..
 რას ცის ტატნობზე ელვა გაეკვრის,
 ღრუბლები მკაცრათ ირაზმებიან,
 იჭეჭებს მენი სჯოჯოხეთო,
 სულდგმულნი შიშით იმალებიან!..

— ეს მე მახარებს, ატოკებს ჩემს გულს
 ეს კანონია ჩვენი ქვეუნიკისა,
 სულაც არ ვიცით კაცთ შებრალება,
 ჩემი მეტოქის, იმ თავხედისა!..

— ჭეი, მდინარე, შენ ჭეი მდელოვ,
 ვინ, ვინ გაჭკიცხე, ვინ მოიწონე,
 მათათა მეუფე ამას მოითხარეს,
 გაიმეორე, კვლავ გაგვაგონე!..

მდელო.

ჩვენ არ გვინდოდა სისხლის ღვრა კვენესა,
 ზიზღით ვუცქერით უკულთ შავ-მთებს,
 ჩვენ ვუგალობებთ დატანჯულ გმირებს
 უსამართლობით გულ-განგშირულებს!..

მდინარე.

ჩვენ არ გვინდოდა სისხლის ღვრა, კვენესა
 ზიზღით ვუცქერით აჩრდილის შავ-ფრთებს,
 ჩვენ ვუგალობებთ ცხორების შეილებს,
 სიმართლისათვის თავ-დადებულებს!..

XI

...და ცაც განრისხდა, შეიძრა მთები,
 კვლავ აცქრიალდა რისხვის ისრები,
 დემონმა ღხენით გადინარხარა,
 სიტყვსლემ კრძალვით დასწერა ფრთები!..
 იქ ცის სამეფომ დაიკრიალა,
 მთებს მოუფლინა ამაყი შვილი,
 მადლა სამეფოს კვლავ ის ბრძანებლად,
 ფრთებ მოღერილი შავი აჩდილი!..
 მას გარს უფლიან თავანის ცემით
 მისი მორჩილნი, მისი შვილები,
 ძირს ეშვებიან მისი ბრძანებით,
 ბორცვით ისრებ მოღერილები!..
 იქ ძირს წითელი რაზმი გრგვდება,
 მას წინ მიუძღვის თავის აჩრდილი,
 თვით-წითელია ეს წინამძღოლი
 სიტყვსლე, მარად სიმართლის შვილი!..
 კვლავ სისხლი, ომი, გულის მომკვლეელი,
 კვლავათ სიტყვსლე დამწუხრებულნი,
 ომი, ბორცვო, რასღა დაიშროს
 მიდამომ მძლავრი ცრემლთ ნაკადული!..

XII

ომი გრძელდება, არ აქვს საზღვარი,
 მთანი ღრუბლებით იმოსებიან,
 დაჭრილთ გაისმის კვენესა საზარი,
 ფიქრები შავათ იბურებიან!..
 სიბნელით მოსილ ვრცელ-შიდაშოზე,
 ისმის მომაკვდავთ „მიშედე, დედა!“
 მაგრამ დატანჯულს, სიჩქარით, დროზე,
 წევდიადში შეეკას ვერვინ მისცემდა!..
 და იქ ზარის ხმა, — ხმა, გლოვის ჭანგი
 წინართა გაისმის ფიქრთა ამშლედი,
 დასწულა სიმები, დაიმსხვრა ჩანგი,

ჭოი, კვინეს მდელო, კვინის ტყე, ველი!..
 ჭოი; ცის მნათო, ტანჯულთ იმედი,
 ცხოვრების ველი ახრებულა,
 რას გაუდიმებს ჩაგრულებს ბედი,
 ნუ თუ სხვით სრბოლა დადუმებულა!?.

* *

ისმის ხმა ომის... ირგვლივ კვლავ ბნელა,
 მაგრამ, ჩუ!.. შეკრთა, შეიძრა ზეცა,
 აღმოსავლეთით სწრაფათ იელვავ,
 ზარის ხმატ შეწედა... შეჩერდა კვინსა!..
 შორს, ცის კიდურზე, შვებით მოჭკრთოდა
 უცხო რამ თვალი, სხივი ღიადი,
 მისი დანახვით ძირს კმობოდა,
 ქვეყნის მოძულე, დამე-წევდიადი!..
 აჭა, მოსტურავს, ცელქ-მონარნარე,
 სხივნი მრავალ-ფრათ იფანტებიან!..
 მის წინ თავს იხრის კაშკაშა მთვარე,
 ვარსკვლავნი კრძალვით იკრიბებიან.
 კარგი რამ არის იგი ჩვენება,
 სიამის წყარო, მარად მტოკავი,
 გულწარმტაცია უცხო მშვენება,
 მომჯადოებელ ნათლით მმოსავი!..

ფოთოლი ხისა ნელ-ნელ იხსევა,
 სიამის ფრთები ესხმება არეს,
 გულში მას ჯხენით სხივი, ეხვევა,
 უქარვებს სევდას და ნადველს მწარეს!..
 მოდის, მოსტურავს სხივი ღიადი,
 ჩუ, შეკრთა არე, მიწუნარდა კვინსა,
 ჭა, მოსჩანს შვების-მძლე-განთიადი,
 ანცვიფრებს არეს, შეკრთო ზეცა!..
 აჭა შეიჭრა ტანჯულთ მხარეში,
 ციმციმებს შვებით გაბწეინებულნი,
 მით მოხიბლულნი—ისრებით ხელში,
 სდგანან მებრძოლნი, განცვიფრებულნი!
 შეკრთა მიდამო, — არე წამების, —
 მიწუნარდა ომი, არ სჩანს სატანა,
 სხივს სიამედოს ჯხენით უტქერის,
 ნათლით მოსილი ჩაგრულთ ქვეყანა!..

* *

გამომედვიძა... იყო სიზმარი,
 გული სიამით იმოსებოდა
 და სხივი იგი, უცხო, ღიადი
 ჩემს თვალს წინ შვებათ იხატებოდა!..
 გელა.

შინაური მიმოხილვა

ქართული ენა სოხუმის ოლქის სკოლებში

სოხუმის ოლქში, როგორც ყველას მოეხსენება, ბევრია მეგრელებით დასახლებული სოფლები. აი მაგალითად გუმისთის ნაწილში: ბაბუშერა, ფშაფი, მარხეული, ნაა, აბუყუა და სხ. აბუყუაში ანუ კოდორის ნაწილშიც არის სოფლები, სადაც სამეგრელოდან გადმოსახლებული მეგრელობა სახლობს და სადაც მარტო მეგრულად ლაპარაკობენ. აქ ჩვენ არ ვახსენებთ იმ რიცხვით არა მცირე მეგრე-

ლობას, რომელიც აფხაზების სოფლებშია ჩასახლებული ამა თუ იმ სახით. ბოლოს მთელს სამურზაყანოში გარდა ბედის საზოგადოების ერთი ნაწილისა (ამაზე ქვევით მოგახსენებთ) ყველა სამურზაყანოელები მეგრულად ლაპარაკობენ.

და აქ სოხუმის ოლქში, იმ სკოლებში, სადაც მეგრელების ბავშვები სწავლობენ, როგორც იქ სამეგრელოში, უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა, როგორც სავალ-

დებულო საგანი, როგორც ჩვენი სამწერლო-სალიტერატურო და საეკლესიო სამშობლო ენა. მაგრამ როგორც სამინისტრო, ისე საეკლესიო სკოლების უფროსნი ყოველ ნაბიჯზე სხვა და სხვა საშუალებით სდევნიან ქართულ ენას სკოლებიდან. მართალია, გარეგნულად, თვალის ასახვევად თითქოს ეს ასე არ არის - უმაღლეს მთავრობის მოსაჩვენებლად თითქოს ყველაფერი რიგზე წარმოებს: გაკვეთილების ნუსხაში სამშობლო ენას დათმობილი აქვს კვირაში რამდენიმე საათი. სახელმძღვანელო წიგნებს, ქართულისა და აფხაზურისას, აგზავნიან შესაფერ სკოლებში. მაგრამ საქმე ცხრილსა ან რვეულსა და წიგნებში ხომ არ არის, საქმე თვით სწავლებაშია. ხოლო ქართულისა და აფხაზურის სწავლებას კი, როგორც ზევით მოგახსენეთ, ყოვლის მხრით აფერხებენ.

თქვენი სამშობლო ენა ხომ მეგრულია, ქართულს რა უნდაო, ამბობენ ზოგიერთები, რომელთაც არც მეგრელების და სამეგრელოს წარსულისა და აწმყოსი და არც მეგრულისა და ქართულის დამოკიდებულებისა არაფერი გაეგებათ.

რომ სამშობლო ენის სვე-ბედი აქ სამოსწავლო მთავრობის უახლოეს წარმომადგენლებს ბევრად არ აწუხებს, ამის საბუთს ახლავე წარმოგიდგენთ. გუფეს ორ კლასიან სამინისტრო სასწავლებლის ზედამხედველ-მასწავლებელმა ამ ორიოდე წლის წინეთ მოახმარა აფხაზურის სწავლებას წლის განმავლობაში დადებული რიცხვი გაკვეთილებისა. წლის ბოლოს სასწავლებელს ეწვია ინსპექტორი ბ. ხაუსტოვი, რომელიც მეტად უკმაყოფილოდ დარჩა, ამდენი დრო რად დაჰკარგე აფხაზურის სწავლებაშიო, უსაყვედურა მასწავლებელს. ახლა კი ამ სკოლაში მეორე მასწავლებელი რუსია, და ეს უკანასკნე-

ლი სამშობლო ენის უშუამავლობით მუწურის მეთოდით ასწავლის პირველ განყოფილებაში, და სკოლაში აფხაზურის ხსენებაც არ არის.

ასეთსავე მაგალითს ვხედავთ, როგორც ქვევით დავინახავთ, ინგურის პირას მდებარე ს. საბერიოს სკოლაში, სადაც პირველ განყოფილებაში მეგრულად მოლაპარაკე ბავშვებს ასწავლის მეგრულის არა მცოდნე ბზიფელი აფხაზი ბ. მ—ი. რომელსაც ქართული წერაკითხვის სწავლება არც შეუძლია და არც ასწავლის, რასაკვირველია.

მე ამ 1913 წლის გასულ ღვინობის თვეში სოხუმის ოლქის ბევრ სოფლებში მექნა შემთხვევით გავლა და ყველგან ვაკვირდებოდი იმ საგანს, რაც მე მინტერესებდა ე. ი. ქართული ენის მდგომარეობას მეგრელთა სკოლებში. ვაუზიარებ მკითხველს ჩემს ნახულსა ანუ გაგონილს, რომ ცხადად წარმოიდგინოს თუ რა უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილა ქართული ენა ამ სკოლებში.

ს. აბჟაყვაში სამრევლო სკოლის მეტავალყურეს მეტად პატივცემულ მღვდელს მივმართე კითხვით, თუ როგორ არის დაყენებული ქართული ენა მის სკოლაში? (სკოლის რაიონი დასახლებულია სენაკის მაზრიდან გადმოსახლებული მეგრელობით). „მოიცალეხებსო“. გულ-ახდილად მიპასუხა პატივცემულმა მღვდელმა. თვით მასწავლებელმა ქალმა მიაშბო, რომ კვირაში ორ გაკვეთილს ვაძლევ ქართულშიო. იმავე კუთხის მასწავლებლისაგან გავიგონე, რომ ეპარქიის მეტავალყურეს ეთქვა: „კვირაში ორზე მეტი გაკვეთილი ქართულში არ შეიძლება, ნაკლები ჰოო“. მაშასადამე ის პირი, რომელიც მასწავლებლობს მეგრელებით დასახლებულ სოფელში და კვირაში მარტო ორ გაკვე-

თილს აძლევს ქართულიდან, თვითონ დალატობს ქართულ ენასა, თორემ გარეშე მიზეზი აქ მოსატანი არ არის.

ისეთ სკოლებში, სადაც მეგრელებთან რუსები ან ბერძენებიც სწავლობენ, იგზავნება მასწავლებლად ქართული ენის უცოდინარი, მაგალ. გულრიფში, დრანდა და სხვ.

მდ. კოდორის პირას მდებარე ს. ნიკოლაევკა—ანასტასიევკაში (ძველი სახელია ნაა) არსებობს ეკლესიის გვერდით ორკლასიანი სკოლა, სადაც მარტო მეგრელების ბავშვები სწავლობენ. მე ამ სკოლაში შევედი, რადგან ორივე მასწავლებლები ჩემი კაი ნაცნობნი არიან. აქ შედარებით ცოტა გვარიანად იცოდნენ ქართული. მაგრამ ეს უნდა მიეწეროს ახლანდელ მასწავლებლებს კი არა (ესენი ახლადანიშნეს აქ) შარშანდელ მასწავლებელს ბ. ა. სართანიას, რომელიც საზოგადოდ ყველა საგნებშიც მუყაითად მეცადინეობს და მოწაფეებს სხვა საგნებშიაც კაი ცოდნა ეტყობოდათ. საზოგადოთ მეგრელობა სკოლებში, სადაც ქართულს ასწავლიან, იქ რუსულიც უკეთ იციან, ვინემ ისეთ სკოლაში, სადაც ქართულს სულ არ ასწავლიან. ზოგი მასწავლებელი ქართულს სტაცებს გაკვეთილებს და რუსულს უმატებს, მაგრამ ამის დაკვალად რუსულის ცოდნა არ მატულობს. ასეთ მასწავლებლებზე ეს ახია, მაგრამ უბედურობა ისაა, რომ აქ უდანაშაულო ბავშვები იჩაგრებიან.

დასახელებული სკოლის (ნიკ. ანასტ.) ნახვა მე მით უფრო სასიხარულოდ დამირჩა, რომ ზემოხსენებულ მასწავლებელ ა. სართანიაზე შორიდან უფრო ცუდი ხმები დადიოდა. მხოლოდ, სამწუხაროდ, ხასიათსა და სოფლებთან დამოკიდებულებას ვერ უქებენ ამ მშრომელ მასწავლებელსა! ამ მიზეზით იგი ნიკოლ.—ანას-

ტასიევიდან, სადაც დიდხანს მასწავლებლობდა და—მოწყობილათაც იყო, ვგონებ „გასული წლის ღვინობისთვის დამდეგს გადაეყვანათ ს. მარხეულში. მე ამ სოფელშიც ვიყავი და ვნახე ეს მასწავლებელი. ამ სოფლის ორკლასიან საეკლესიო სკოლაში ქართულის მდგომარეობაზე ამ მასწავლებელმა მითხრა: „არაფერი იციან, გუშინ „ნუცას სკოლა“ ავუხსენიო (ვგონებ მესამე განყოფილების ბავშვებზე მითხრა). ს. ბაბუშერას სამინისტრო სასწავლებელთან არ გამივლია, ხოლო შორიდან კი მომესმა და მესმის, რომ იქ ქართულს გვარიანად ასწავლიანო.

აბუჯუვაში (კოდორის ნაწილში), ოჩაზჩირის გარდა, ხუთიოდე სასწავლებელია, სადაც ქართულს უნდა ასწავლიდნენ, რადგან ამ სკოლებში მარტო მეგრელები სწავლობენ. ამათში რიგიანად დაყენებული ქართული მარტო ილორის ორკლასიან სასწავლებელში თუა, სადაც ქართულ ენასა და გალობას ასწავლის გრ. ქავთარაძე და, ვგონებთ, გვარიანდაც. კოჩორას სამინისტრო სასწავლებელში. ს. ჯალის ერთკლასიან სამინისტრო სასწავლებელში, თუმცა სკოლის რაიონში მეგრელები სახლობენ და სკოლაშიც მარტო მათი შვილები სწავლობენ, სულაც არ ასწავლიან ქართულს: აქ წრეულის ქართულის არ მცოდნე ბერძენი გამოუგზავნიათ მასწავლებლად. მასწავლებელი თვითონ ჩივის, აქ მასწავლებლად ქართულის მცოდნე იყო საჭირო, და მე რად გამომგზავნესო.

კიდევ უარეს მდგომარეობაშია ქართული ენა სამურზაყანოს სკოლებში. სამურზაყანოში მარტო ბედიის საზოგადოების ერთ ნაწილში ლაპარაკობენ აფხაზურად, მეორე ნაწილში კი მეგრულად. ხშირად გამიგონია ქვემდებარე აფხაზური და შეს-

მენილი მეგრული ან წინაუკმო. ყოვლად სამღვდელი სოხუმის ეპისკოპოსი ბედის ძველ ტაძართან პატარა სამლოცველო ეკლესიის საკურთხად რომ ამობრძანდა, ბედის საზოგადოების წარმომადგენლებმა პირდაპირ მოახსენეს—ჩვენ ნახევარს, განსაკუთრებით ახალგაზღვრებს, არ გვესმის აფხაზური და ნუ გაგვაცალკევებთ (წირვა-ლოცვით, სკოლაში სწავლებით) დანარჩენ სამურზაყანოელებისაგანაო.

დანარჩენ სამურზაყანოში, სადაც ირიცხება 55000 სულზე მეტი ყველგან მეგრულად ლაპარაკობენ და, მაშასადამე, ყველგან ქართულს უნდა ასწავლიდნენ სკოლებში. მაგრამ ზოგ სამურზაყანოელებს თავი აფხაზებად წარმოუდგენიათ*), თუმცა აფხაზური ენისა არა გაეგებათ რა. მე ხალხზე კი არ ვამბობ, არამედ ზოგიერთ მოინტელიგენტე პირებზე. ამათ, ალბათ, უფლებების მექონე პირთაგან ყურადღების დამსახურება და განმასხვავებელი ნიშნები ალაპარაკებს, ასეა თუ ისე, ეს ვაჟბატონები აფერხებენ როგორც ქართულისა, ისე აფხაზურის საქმეს სკოლებში. მ. ვოსტორგოვის მიმდევართაც ეს უნდათ. ისინი გაიძახიან: რაკი აფხაზები არიან და არა ქართველები, ქართულს ვერ ვასწავლითო, აფხაზურის სწავლებაც არ მოხერხდება, რადგან იქ აფხაზურად არ ლაპარაკობენო, და პირველ დღიდანვე დაუწყებენ რუსულის სწავლებას.

*) არათუ სამურზაყანოელები, მეგრელებიც (საზოგადოთ ქართველებიც) აფხაზების მოძმე და მონათესავენი არიან. მე ამაზე არ მოგახსენებთ ახლა. მე აქ ენა მაქვს სახეში. ენით კი სამურზაყანოელები დაკავშირებულნი არიან მეგრელებთან და, მაშასადამე, ქართველებთან. ხოლო ზნე-ჩვეულებით, ხასიათით და სხვ. ისინი უახლოვდებიან მეგრეებსაც და აფხაზებსაც

ვინც პოლიტიკანობას არ მისდევს, მისთვის საქმე სულ ადვილგამოსაწყობია: რომელ სოფელში მცხოვრებნი ლაპარაკობენ აფხაზურად, იმ სოფლის სკოლაში უნდა ისწავლებოდეს აფხაზური, ხოლო რომელ სოფელში მეგრულად ლაპარაკობენ, იმ სოფლის სკოლაში—ქართული. ფორმალურად ეს თითქოს ასეც არის. მაგრამ ნამდვილად კი ქართულს სანახევროდაც არ ასწავლიან სკოლებში. და ამის უმთავრესი მიზეზი იმაშია, რომ მასწავლებლებად სკოლებში ინიშნება ისეთი პირნი, რომელთაც თვითონაც არსად არ უსწავლიათ ეს საგანი.

ზოგიერთ სკოლის მასწავლებელი იმდენად კი არის მომზადებული, რომ მას თამამად შეუძლია ქართული ასწავლოს სკოლაში. მაგრამ, რათა დაიმსახუროს უფროსთა ყურადღება, ამ საგანს ის გაუზრბის, როგორც ურია ღორის ხორცსა. აი მაგალითი. პირველი გალის ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლის მასწავლებელი ბ. ი. კვარაცხელია არ აჭაჭანებს ქართულს თავის სკოლაში. ყოფილი საღრმთო სჯულის მასწავლებელი მ. ევგენი რურუა ბევრს შეეცადა, რომ ქართულის სწავლება შემოეღო ამ სკოლაში, მაგრამ ბ. კვარაცხელიამ ყოველივე ეს ცდა უნაყოფოთ ჩაუტარა. ბ. კვარაცხელიას ასეთი საქციელით ვერაფერი „წინსვლა“ შეუძენია. ამავე ტიპის ოქუმის ორკლასიან სამრევლო სკოლაში ერთი მასწავლებელი რუსია, მეორე კი ადგილობრივი მცხოვრები. ეს უკანასკნელი ცოტად თუ ბევრად ასწავლის ქართულს. მაგრამ რაკი შეგირდები მეორე მასწავლებლის ხელში გადავლენ, იქ სწყდება ქართულის სწავლებაც. ოქუმელები იმასაც სჩივიან, რომ მათ ეს ამოდენა ხანია წირვა ლოცვაც არ ესმით.

ამავე ტიპის (ე. ი. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების) ს. საბერიოს სკოლის მასწავლებელ ბ. პ. მაჯგანაძესთანაც მქონდა ლაპარაკი მისდამი რწმუნებულ სკოლაში ქართული ენის სწავლების შესახებ; მე ვიკითხე: ვინ და, რომელ განყოფილებას ასწავლით მეთქი? „მე ვასწავლი უფროს განყოფილებებს. ხოლო მეორე მასწავლებელი ა. მაგი I-სა და II-საო“, იყო პასუხი. რადგან მეორე მასწავლებელი მ—ი ბზიფელი აფხაზი იყო და მას ქართულის სწავლება არ შეეძლო, ცხადი იყო, რომ ქართული ამ სკოლაში „მოიცალფებდა“, მაგრამ მე მაინც დავეკითხე ბ. პ. მაჯგანაძეს: მაშ, ქართულს არ ასწავლით მეთქი? როგორ არა, ჩემს განყოფილებებში რომ გადმოვლენ ბავშვები, მე იმათ ქართულს ვასწავლი, თუმცა იგი სავალდებულო არ არისო.

ზემოხსენებული მასწავლებელი ადგილობრივი მცხოვრებია, ქართულ გვარს ატარებს, განათლება სემინარიაში მიუღია, და ასეთი პირი საბერიოს (ინგურის პირას მდებარე სოფელი) სკოლაში ქართულ სწავლებას სავალდებულოდ არ სთვლიდეს, ეს ცოტაც არ იყოს საწყენად მივიჩნიე... არ გვანებია ხომ, მკითხველო, ეს მასწავლებელი მასწავლებლებს—ბ. ვლ. ნაცვლიშვილსა და ა. ოდიშარას.

ბ. პ. მაჯგანაძე ფორმალურადაც მართალი არ გახლავს. სოხუმის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს მიერ დამტკიცებულ და გამოგზავნილ გაკვეთილების ნუსხაში აღნიშნულია საშობლო ენა და ამ საშობლო ენად იმ სკოლებში, სადაც მგერელები სწავლობენ, ქართული მიაჩნათ და ქართულ სახელმძღვანელო წიგნებს „დედა-ენასა“ და სხვ. ასეთ სკოლებს უგზავნიან კიდევ ერთ-ერთ მეგრულ სკო-

ლაში ეპარქიის მეთვალყურეს ბ. ალფეროვს კიდევ ეთქვა ქართული უნდა ასწავლოთო და ასეთს გარემოებაში როგორ არ უნდა მიაჩნდეს მასწავლებელს საბერიოს სკოლისას ქართული ენა სავალდებულო საგნად?!

ზოგან ცოტად თუ ბევრად ვითომ სკოლაში ქართულს ასწავლიან. თუ ქართული არ ვასწავლეთ, იქნება სლავიანური ენის სწავლება დაგვავალონო. (ასე მითხრა ერთმა მასწავლებელმა).

არის სამურზაყანოში ორიოდ ისეთი სკოლაც, სადაც ქართულს როგორც სავალდებულო საგანს ასწავლიან კიდევ. ასეთი სკოლების მეთვალყურე მღვდლები და მასწავლებლები ჩივიან: ვასწავლით ქართულ ენას, ამ საგნის სწავლებაშიც მიგვდის ჯაფა, მაგრამ ჩვენს შრომას არავინ აფასებს ე. ი. არც რევიზიის დროს რევიზორები, არც ეკზამენებზე ამ საგანს არ კითხულობენო. ამიტომ შემდეგ წლებში ზოგ მასწავლებელს ამ საგნის სწავლებაზე გული უცრუვდებაო. სახალხო მასწავლებელი, რომელსაც უკისრია ბავშვის აღზრდა-განათლება, არავითარ გარეგან წამაქეზებელ რამეს ყურადღებას არ უნდა აქცევდეს და ბავშვისა, მისი მშობლებისა და საზოგადოების წინაშე თავისი აღმზრდელობითი მოვალეობის შესრულებისაგან გამოწვეულ სულიერ კმაყოფილებასა და სიმშვიდეში უნდა პოულობდეს საკმაო ჯილდოს თავის მძიმე შრომისათვის. მაგრამ ასეთ იდეალისტ მასწავლებელთა რიცხვი არამც თუ აქ, არამედ სხვაგანაც თითოთ ჩამოსათვლელია. ამიტომ ზემო აღნიშნულ მეთვალყურე-მასწავლებელთ დრტვინვასაჩივარი მთლიად უსაფუძვლო არ არის. ეს მით უფრო, რადგან ვინ გვითავდებებს, რომ ქართული ენის გაკვეთილები მარ-

თლა ამ საგანს მოახმარა მასწავლებელმა. ერთი სიტყვით, თუ სხვა საგნის სწავლებას სჭირია დახედვა და კანტროლი, ნუ-თუ ეს ქართულს არ ესაჭიროება?

სამინისტრო სკოლების ინსპექტორი და საეპარქიო მეთვალყურე ხომ რუსები არიან. ის კი არა სამაზრო მეთვალყურე-დაც ისეთ აფხაზებს ნიშნავენ, რომელთაც ქართული არ იციან. ამ ორიოდვე წლის წინად მე დავეკითხე სოხუმის ოლქის სა-მაზრო მეთვალყურეს მ. ნ. დადარიას, ქართულ ენაში როგორ გამოცდით სამურ-ზაყანოს სკოლებში მოწაფეებს მეთქი! იმან გულ-ახდილად მიპასუხა: ბავშვები რაღაცას კითხულობენ ან ამბობენ ზეპი-რად და მე თავს უქნევ ნიშნად თანხმო-ბისა, თუმცა არაფერი გამეგებაო. ახლა სამაზრო მეთვალყურედ მ. პატეიფა გახ-ლავს, ესეც ბზიფელი აფხაზი.

საქმის მდგომარეობა იმას მოითხოვს, რომ სამაზრო მეთვალყურემ აქ უნდა იცოდეს როგორც აფხაზური, ისე ქართუ-ლიც. ასეთი პირის მოძებნა ძნელიც არ არის. მაგრამ თუ ერთი პირი ვერ მოი-ძებნა ასეთი, ორი მეთვალყურე უნდა დაინიშნოს, რომელთაგან ერთმა ქართუ-ლი სკოლები უნდა ინახულოს, მეორემ აფხაზური. დროებით კიდევ დაინიშნა ოლქში ორი მეთვალყურე, მაგრამ ორი ზემოხსენებული პირნი, ორივე ქართულის უცოდინარნი.

გადის მეორე კლასიან სკოლიდან ქარ-თული ენა განდევნილია. ამ სასწავლებელ-ში კურს დამთავრებულნი შემდეგ ეგზა-მენს იჭერენ სოფლის მასწავლებლის ხა-რისხზე და ასეთებია მომეტებულად საე-კლესიო სკოლების მასწავლებელნი სოხუ-მის ოლქში. და რაც თვითონ არ უსწავ-ლიათ, როგორ უნდა ასწავლონ მოწაფე-ებს?!

ამ წლის გაზაფხულზე სამურზაყანოს სამღვდლოების წარმომადგენელნი შეი-კრიბნენ ს. გალში და ყდ სამღვდლო სოხუმის ეპისკოპოსი ანდრიას თავმჯდო-მარეობით მსჯელობა ჰქონდათ ქრისტიან-ობრივის ცხოვრებისა და სწავლა-განა-თლების გაუმჯობესობაზე სამურზაყანოში. აქ სხვათა შორის, აღძრეს საკითხი. რომ გალის მეორე კლასიან სასწავლებელში შემოეღოთ ქართულის ენის სწავლება. ასწავლეთ, ვინ გიშლისთო, ბრძანა თურ-მე მათმა მეუფებამ. რუსული ენის შესა-ხებ რომ ვინმემ თქვას: ისწავლეთ რუსუ-ლი ენა, ხომ არავინ არ გიშლისთ რუ-სულის სწავლა! და ამ საგნის სწავლე-ბის მოწესრიგებაზე არავინ თითიც არ გა-ანძრის, ხომ არ შეიძლება.

მარტო ნებართვით, მარტო არ დაშლით ქართულის სწავლება ხომ ვერ გაჩაღდება სკოლაში, თუ მასწავლებელნი ამ საგნის სრული უცოდინარნი იქნებიან, თუ ქარ-თული ენა გაკვეთილების ნუსხაში შეტა-ნილი არ იქმნა, თუ ბ.ბ. რევიზორები რევიზიას არ გაუკეთებენ ამ საგნის სწავ-ლებას, და პირიქით კიდევ უსაყვედურე-ბენ მასწავლებელს ქართული ენის სწავ-ლებას. საშუალების უქონლობითაა საქმე დაბრკოლებულიო, რომ შეიტყვეს მღვდ-ლებმა, ერთმა მათგანმა, ვგონებ, მ. ბ. ხარებავამ მოახსენა ყდ უსამღვდლოესო-ბას: ჩვენ თვითონ დავაარსებთ ფონდს გადის მეორე კლასიან სკოლაში ქართუ-ლი ენის მასწავლებლის შესანახად, გთხოვთ აკურთხოთ ჩვენი დაწყებულებათ. მაგრამ სხვაზე გადავიდნენ და ეს საკითხი გადა-აფუჩყეს.

იმ მღვდელმთავრისგან, რომელმაც ქარ-თული ლოცვანი დაურიგა მლოცველ ქრისტიანებს ბედიაში და რომელიც აფ-ხაზურისა და ქართულის მღვდელად სა-

მართლიანად არ ითვლება, სამწყსო (სამურზაყანოელები და მეგრელები ოლქისა) ცოტა მეტს მზრუნველობას მოელოდა გალის მეორე კლასიან სკოლაში და სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების მოწესრიგების საქმეში.

ვერც გალის მეორე კლასიან სკოლაში საღმრთო სჯულის მასწავლებელმა და სკოლის ზედამხედველმა მღვდ. მ. ს. სვანიძემ და ვერც მასწავლებელმა ბ. ჩირაკაძემ ვერ გამოიჩინეს საკმაო საქმიანობა, რომ ამ სასწავლებელში ქართულის სწავლება შემოეღოთ. ის კი არა ამ ორ პირთა მეოხებით მთლად მოისპო ერთხელ შემოღებული ქართულის სწავლებაო, ამბობენ ზოგიერთები და მეც ასე მგონია.

მას ნულარ ვჩივით, რაც უკვე მომხდარა, „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი და ზემოხსენებულ პირთ, განსაკუთრებით მ. სვანიძეს, ახლაც შეუძლიანთ გამოასწორონ თავის შეცდომა: მოინდომონ და მოითხოვონ ქართულის შემოღება სასწავლებელში. საშუალება ადვილი აღმოსაჩენია. ვნახოთ რას იზამენ.

რადგან სოხუმის ოლქის ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ ვლაპარაკობ, უნდა ვახსენო სოხუმის ქართული სკოლაც. მე ამ წელს პირველად ვნახე ეს სასწავლებელი, რომელმაც ბევრი საიმედო აზრები აღმიძრა გულში. ვაშა სოხუმის ქართველობას, რომელმაც ასეთი მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ამ საშვილიშვილო საქმეს. მე ქართულ სკოლაში 11 ოქტომბერს შევიარე. მივმართე სკოლის გამგეს ბ. ნ. ჯანაშიას და ვთხოვე დაეთვალიერებია ჩემთვის სასწავლებელი, მან ეს ჩემი თხოვნა დიდის კმაყოფილებით შემისრულა. ჩვენ პირველად შევედით უფროს განყოფილებებში, III და IV-ში, რომელიც აბარია მასწავლებელ

ბ. ქ—ს უფრ. განყოფილების მოსწავლეებს კითხეს მოთხოვნები ნინა ქართველთ განმანათლებელზე, ცოტნე დადიანზე. ეს გასულ სასწავლო წელს ნასწავლი მოთხოვნები საკმაოდ დავიწყებოდით ზოგ მოსწავლეებს, რაც თვითონ მასწავლებელმაც აღნიშნა. წააკითხინეს ლექსებიც. კარგათ წაიკითხეს ლექსი **ბერუას ჩაფქრება**. ჩემის თხოვნით წააკითხინეს უცნობი სტატიები. მეც სხვა და სხვა ალაგას გადუშალე სახელმძღვანელო წიგნი. ყველამ, ვისაც ვკითხეთ, კარგათ წაიკითხა. მერე ჩვენ შევედით მეორე განყოფილებაში. აქ, სხვათა შორის ანგარიშიდანაც ჰკითხა მასწავლებელმა, ლექსიც წააკითხინა, კითხვის მეხანიზმი აქაც კარგათ განვითარებულია. ბოლოს ჩვენ შევედით პირველ განყოფილებაში. აქ ასწავლის ქ. თ—ს ასული. ამ კლასში დაფაზე ეწერა „დედა-ენიდან“ სიტყვები: ათი, თითა და სხ. და მოძრავი ასოების შემწვობით კითხვას ასწავლიდა მასწავლებელი. თუმცა ანბანის (კითხვა-წერის, წერა-კითხვის) დაჩქარებით გავლა მაინც და მაინც დიდს საჭიროებას, იქნება, არ შეადგენს, მაგრამ მაინც 10—11 ღვინობის თვემდე, ჩემის აზრით, ცოტა მეტი უნდა გაეარათ პირველ განყოფილების ახალ მოწაფეებს. მე დრო აღარ მქონდა, სულ რამდენიმე წუთი მოვახმარე მთელი სასწავლებლის დათვალიერებას და ჩემი შენიშვნა უბრალო მგზავრის შენიშვნაა, მეტი არაფერი, და გამოწვეულია მარტო იმითი, რომ მეც გულით, აზრით ვემსახურები იმ დიდებულ საქმეს, რასაც „ხელით“ (საქმით) აკეთებენ სოხუმის ქართული სკოლის მასწავლებელნი. ამიტომ შენიშვნა საწყენად არავის დაურჩება. მე დამავიწყდა მეთხოვა მასწავლებ-

ლებისათვის ეჩვენებიათ ნაწერი მასალა (რეველები). ამაზე შემდეგ ვინანე, მაგრამ გვიანლა იყო. ყველა განყოფილებაში 145 ბავშვები ორისავე სქესისა დავთვალე. სიით კი, როგორც გადმოძევა გამგემ, 190-მდის უნდა იყოს მთელს სასწავლებელში.

ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ რამე იღონოს, რომ ქართულის სწავლება შესაფერლონებზე დააყენოს სოხუმის ოლქის ქართულ სკოლებში.

პ. ჭ—ა.

მოწერილი ამბები

ბ-ნი ტერ-გასპარიანცი და გადაგვარებული მასწავლებლები

(წერილი გუჩიიდან)

დადაყენეს მესამე რაიონის ინსპექტორი ტერ-გასპარიანცი. მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო. ვინც საქმესთან ახლოს იდგა, იცოდა, რომ გასპარიანცის საქმენი საგმირონი აღრე თუ გვიან გამომზევდებოდა. მოგვაშორეს გასპარიანცი, მაგრამ ამ კაცის ნამოქმედარმა ღრმა კვალი დაამჩნია ჩვენის ღროის უმისოდაც გაუკუღმართებულ სწავლა-აღზრდის საქმეს და გასპარიანცის სახელი ჩვენს ხსოვნაში სამუდამოდ წაუშლელი დარჩება. გასპარიანცმა მიზნად დაისახა მასწავლებლების შევიწროება, ორის წლის განმავლობაში მედგრად სდევნიდა ცოტად თუ ბევრად შეგნებულ მასწავლებლებს, სულ უბრალო რამეზე ემუქრებოდა სამსახურიდან დათხოვნას, ხშირად ართმევდა მათ ადგილს და უმისოდაც დაბეჩავებულ სახალხო მასწავლებლების გულში სპობდა ყოველივე თვითმოქმედების სურვილს. ამ უკუღმართ პოლიტიკის წყალობით მასწავლებლებში დაირღვა ისედაც სუსტი ერთობა, გაჩნდა ენა-ტანიობა, გაუტანლობა და ამხანაგებში შუღლი-მტრობა. ბევრი სრულიად უვიცილი და სულით მდაბალი მასწავლებლები გასპარი-

ანცის მფარველ კალთებს ქვეშ ჩინებულად გრძობდნენ თავს; წელში გასწორდნენ და თბილ ადგილებზე წამოსკუბდნენ. უფრო შეგნებული მასწავლებლები, ადგილის დაკარგვის შიშით, ათასნაირ შევიწროებას უნმოდ იტანდნენ და სდუმდნენ. ამნაირად გასპარიანცის გულის მომგებთა რაზმი დღითი-დღე იზრდებოდა და ძალას იკრებდა. უწინ თუ ეს ვაჟბატონები თავის ძრახვათა გამომეტყვენებას ვერ ბედავდნენ და მალულად მოქმედებდნენ, ბოლოს ღროს ისე წათამამდნენ, რომ ერთმა იმათგანმა გასპარიანცის დასაცავად გაზეთის ფურცლებზედაც კი გაინაფარდა,

„ბატუმსკია ვესტის“ 13 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა შემოქმედის სკოლის ზედამხედველის სილოვან წაქაძის წერილი, რომელიც ჩვენებურ სახალხო მასწავლებლებთა ერთი ნაწილის სულით სილატაკის თვალსაჩინო ნიმუშათ უნდა ჩაითვალოს. ეხება რა შემოქმედის სკოლიდან დათხოვნილ მასწავლებლებს, ბ-ნი წაქაძე არაფერს ზოგავს რომ უადგილოდ დათხოვნილი მასწავლებლების უვიცობა დაასურათ-ხატოს და მწუხარებას გამოს-

თქვამს, რომ ზოგიერთი—, მყვირალა და პოლიტიკანურ ენინანობით— შეპყრობილი კორესპონდენტები, რომელნიც— „თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედვენ“— შეიძლება განზრახულის მიზნით, შეიძლება თავიანთ უეცრობით, არაფერს ზოგავენ, რომ ტერ-გასპარიანცი, ეს უანგარო მშრომელი და ქართულ ნაციის დამცველი კაცი. რამენაირათ გააშავონ და ჯვარს აცვან.

— „სახალხო სკოლების ინსპექტორს ტერ-გასპარიანცს დაუსახავს ისეთი მიზანი, რომლის წინააღმდეგ ვერ წავა ვერც ერთი კეთილგონიერი კაცი: ჰყავდეს სავსებით მომზადებული მუშაკნი, როგორც სახალხო მასწავლებლის მაღალ მოწოდების შეეფერებაო“— მოგვითხრობს გულაჩოყებული წაქაძე და თითოეულ იმის სიტყვაში გამოსჭვივის სიბრალული და მოკრძალება, ვითომდა, უდანაშაულოდ ათვალისწინებულ გასპარიანცისადმი.

დასახულ მიზნის მისაღწევად გასპარიანცი, თურმე იძულებული ხდება მოუმზადებელი მასწავლებლები თანდათანობით დაითხოვოს და იმათ ადგილზე ჩააყენოს სავსებით მომზადებული კაცები. ვინც საქმეში დაინტერესებული არის, კარგად უწყიან, თუ როგორი „მომზადებული“ კაცები ინიშნებოდნენ გადაყენებულ მასწავლებლების ადგილზე. საკმაოა მოვიგონოთ თვით შემოქმედში დანიშნული ვერეტენნიკოვი, ხვარბეთის სკოლის მასწავლებელი ქალი დალინინა და მრავალი სხვები.

კერძოთ, შემოქმედის სკოლაში არ დამტკიცებულ ჩხაიძეზე ბ-ნი წაქაძე იმ აზრისაა, რომ ჩხაიძე არ ჩაითვლება სასურველ კანდიდატათ შემოქმედში, ვინაიდან ამ ყმაწვილს სწავლა საქალაქო მასწავლებელში მიუღია და გამოცდილებაც არ შეს-

წევს.— „ის გამოდგება მხოლოდ ერთკლასიან სკოლაში, სადაც, შეიძლება, კიდევაც მისცენ ადგილი“— თქვენ, ბ-ნო წაქაძე, რამდენადაც ვიცით, განათლება საოსტატო სემინარიაში მიგიღიათ, ოცი წელიწადია მასწავლებლობთ კიდევაც, მაგრამ ის უბრალო ჭეშმარიტება ვერ შეგიგნიათ, რომ თუ კაცი არ ვარგა ორკლასიან სასწავლებელში მესამე მასწავლებლათ, მით უფრო ვერ გამოდგება ერთკლასიან სკოლაში, სადაც სამს განყოფილებასთან მოუხდება მეცადინეობა. რაც შეეხება გამოცდილებას, ამას მასწავლებლები სკოლაში იძენენ და გამოუცდელობა კიდევ არ ნიშნავს, რომ კაცი მასწავლებლად არ ივარგებს.

ბ-ნ წაქაძის წერილის თითოეული სტრიქონით საყურადღებოა, მაგრამ არ გამოუდგები ხშირი ამონაწერებით მკითხველი შევაწუხო.— „ციხე შიგნიდან გატყდებო“— ამბობს ქართული ანდაზა. ცხადია, რისთვის დასჭირდა ბ-ნ წაქაძეს გასპარიანცის პროგრამის გამომხეურება. სამწუხაროა, რომ წაქაძე და ძმანი მათნი ჰბედვენ სახალხო მასწავლებლის მაღალ მოწოდებაზე ხმა აიმაღლონ და გასპარიანცის მოქმედებაში გულუბრყვილო მკითხველს ქართულ ნაციის დამცველობა დაანახვონ.

გასპარიანცი და ქართულ ნაციის დამცველობა... სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყვეს!— ბ-ნმა წაქაძემ და იმისმა თანამოაზრეებმა იციან, რომ გასპარიანცი მასწავლებლებს არა თუ ქართულად სწავლებას, ქართულ ენაზე ლაპარაკსაც უკრძალავდა. მაგალითისათვის ჩვენი თვალით ნახულს მოგახსენებთ. 1912 წელს ქ. ბათუმში მესამე რაიონის მასწავლებლებისთვის კურსები გაიხსნა. გასპარიანცმა კურსების გახსნის წინ მსმენელებს თავი მოუ-

ყარა და სხვათა შორის უთხრა: თქვენ, ქართველებს, მთავრობა ცუდის თვალთ გიყურებს. ეცადეთ დაცემული სახელი აღადგინოთ და ნდობა დაიმსახუროთ. ქართულ ლაპარაკს ერიდეთ და ილაპარაკეთ მხოლოდ რუსულადო“.

ერთხელ, დასვენების დროს, მასწავლებელი კ—ძე ერთად შეჯგუფულ ამხანაგებში იდგა და რაღაცაზე გატაცებით ლაპარაკობდა, რა თქმა უნდა, ქართულად. ჯგუფს ფეხ-აკრეფით მიუახლოვდა დონიჯ-შემოყრილი ინსპექტორი, მასწავლებლებს სასტიკი თვლით გადახედა და მოლაპარაკე შემდეგის სიტყვებით შეაჩერა:—**Стыдно, стыдно, господа!.. Когда!.. г-нь К—дзе начнет говорить по грузински, не слушайте его... Объясните ему бойкот!**— კ—ძე გაწითლდა, მაგრამ პასუხი ვერ გასცა. სხვა მასწავლებლებმაც თავები ჩაჰკიდეს და წვიდ-წამოვიდნენ. ვფიქრობ, განმარტება საჭირო არაა.

გასპარიანცის გულის მოგებაში წაქაძეს საღვურ ნატანების მასწავლებელი სანაძეც არ ჩამორჩა, მაგრამ სანამ ამ „პედაგოგის“ ნამოქმედარს მოვიხსენიებდეთ, ნებას ვაძლევ თავს ცოტა რამ ნატანების სკოლის წარსულზედაც მოგახსენოთ. ეს მასწავლებელი დაარსდა ამ ოთხის წლის წინედ. მასწავლებლად სკოლის დაარსებიდანვე დაინიშნა ბ-ნი ბ-ძე, რომელსაც მომზადებაც არ ჰქონდა და არც მუყაითობა შესწევდა, რომ საქმე რიგიანად დაყენებინა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ნატანების სკოლაში სწავლა დასრულებული ყმაწვილები სოფელ სამხთოს ორკლასიან სამრევლო სკოლის მეორე განყოფილებაში ძლივს მიიღეს. შემოდგომაზე ბ-ძე გადაიყვანეს და იმის ნაცვლად დაინიშნა ბ-ნი სანაძე. სანაძე საოსტატო სემინარიიდან არის, გამოცდილებაც შესწევდა და ამიტომ გასაკვირალიც არაა,

თუ ნატანებლები ახალს მასწავლებელს სიხარულით მიეგებენ. — „ახლა, ძმავე, კლასის შენახვა თუ შევიძელით, მასწავლებელი კაი გვყავსო!“ გახარებული ამბობდნენ სოფლები. მაგრამ ახალი მასწავლებლის ვინაობაც მალე გამომუდავნდა. ბ-მა სანაძემ არც აცივა, არც აცხელა და ჩამომსვლისთანავე ინსპექტორს უფრინა მოხსენება:—**გთხოვთ, მაცნობოთ, ჩემდამი რწმუნებულ მასწავლებლის მესამე განყოფილებაში რუსულენაში რომელი ავტორის სახელ მძღვანელო შემოვიღოვო**“. — ინსპექტორმაც არ დააგვიანა და „მორჩილ“ მასწავლებელს „დაავალა“ — „ზედგინიძე და ჯავარიძე“ — შემოიღო. ამ რიგად, ბ-ნი სანაძის წყალობით, ნატანებელი ბავშვები მესამე განყოფილებაში — „რუსსკოე სლოვოს“ — ნაცვლად კარგად ცნობილ „ზედგინიძე-ჯავარიძის“, ქრესტომატიას აბუღბუღებენ და ეს მაშინ, მკითხველო, როცა — რუსსკოე სლოვოს“ — პირველი ნაწილი დათავებული არ ჰქონდათ. რა გასაკვირველი იქნება, მკითხველო, რომ ამის შემდეგ ახლად დანიშნულმა ინსპექტორმა გვიბრძანოს — ბიჰბაძეთ მასწავლებელ სანაძეს და „რუსსკოე სლოვოს“ — ძაგივრად — „ზედგინიძე და ჯავარიძე“ — შემოიღეთო. ასე დაწერილმანდნენ ზოგიერთი ჩვენი მასწავლებლები და სამწუხაროდ იმათი რიცხვი ცოტა არ არის. ჩვენ ვიცით მაგალითი, რომ მასწავლებელმა თავისი ზედამხედველი ინსპექტორთან დააბეზლა — ნებას არ მძღვანელებს პირველ განყოფილებაში რუსული „Грамота“, გავიაროვო. მოწამე გახლდით რომ ხვარბეთის სკოლის მასწავლებელი სექტემბერში ახლად შემოსულ ბავშვებს რუსულად ემუხაიფებოდა. — „კირიალესო კიდო ვარესოო“ — მეტი რა გვეთქმის.

მასწავლებელი.

კუხეტი

ფურცელი კიევიდან

I

პროფესორ მარის პატივსაცემი სალამო

კვირას, 8 დეკემბერს საკომერციო ინსტიტუტთან არსებულ ქართულ სამეცნიერო წრემ აკადემიკოს პროფესორ ნიკო მარის 25 წლის სამეცნიერო-საპედაგოგიო მოღვაწეობის აღსანიშნავად გაჰმართა სამეცნიერო სალამო, პროფესორის იასნო-ოლსკის საპატიო თავმჯდომარეობით.

სალამოს სხდომის გახსნისას თავმჯდომარემ კრებას სთხოვა მოესმინა იუბილიართან გასაგზავნი სამეცნიერო წრის დეპეშა, რომლითაც ულოცავდნენ იუბილეს და ულოცავდნენ ხანგრძლივ მეცნიერულ მუშაობას.

კრებამ მქუხარე ტაშის ცემით მოიწონა წინადადება.

თანახმად სალამოს პროგრამისა შესავალი სიტყვის წარმოსათქმელად კათედრაზე ავიდა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე სტ. ნ. დიდებულოძე. გვეგონა პატარა სხარტული სიტყვით ააწკრიალებდა დამსწრეთა გულის სიმებს, ჰანგებს ერთ აკორდათ შეაქსოვებდა და სიყვარულის თაიგულის სახით ოცნების ფრთებ შესხმული გააქროლებდა პატივსაცემ იუბილიარის მისართმევად, მაგრამ მოვსტყუვდით.

კათედრაზე იგი გაწითლდა, პითიასავით ორთქლში გაეხვია და მოჰყვა ბოჯვას... პირველ ხანად გული დამწყდა. აღბათ ღრმა მეცნიერული რამ სთქვა და ვერ გავიგე მეთქი. მალე დავმშვიდდი. ჩემს მდგომარეობაში მრავალი ყოფილიყო.

საზოგადოების სახეზე განწოლილი მოწყენილობის ნისლი გაჰფანტა კიეველ

უკრაინელებისაგან გამოგზავნილ დეპეშამ. კრებას ულოცავდნენ სალამოს მოწყობას და იუბილიარს უსურვებდნენ მრავალ ჟამიერ მოღვაწეობას.

კრება ხანგრძლივი ტაშით შეეგება უკრაინელთა სალამს.

ნ. მარის ბიოგრაფია წაიკითხა სტ. ი. ცქიტიშვილმა. მას შრომა არ დაეზოგა და შეეგროვებინა მრავალი ცნობა მარის ცხოვრებისა.

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში წამიკითხავს მარის ბიოგრაფია, მაგრამ მარის პიროვნების ყოველმხრივ გაშუქებას არ შეეზვედრივარ.

საზოგადოების განცვიფრება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მარს ოცდაათ ენამდის სცოდნია.

ცქიტიშვილი შეეხო რა პატარა მარის (მარის დედა გურული ყოფილა მამა ინგლისელი) სწავლას ქუთაისის სასწავლებელში—აღნიშნა, რომ იგი ფრიად ცელქი და ონავარი ყოფილა.

მარის თავისი სიზარმაცითა და ონავრობით ისე აბეზარ ექმნა საპედაგოგიო საბჭო, რომ იგი ფსიხიურად არა ნორმალურად ეცნოთ და ერთხელ თბილისშიაც კი გამოეგზავნათ ერთ ფსიხიატრთან შესამოწმებლად. ფსიხიატრს ყურადღებით გაესინჯა ბავშვი, გაჰკვირვებოდა მისს თაობაზე ასეთი უცნაური აზრის შედგენა და ეთქვა: მარი კი არ არის პსიხიურად ავადმყოფი, არამედ საპედაგოგიო საბჭო.

ოღონდაც, ავადმყოფნი და უბადრუკნი არიან ისინი, ვინც ქებითი ფურცლებ-

ბით აჯილდოვებენ ხალმე სრულიად უსი-
ცოცხლოს, უნებოსა და საკუთარ შემო-
ქმედების მოკლებულ ყმაწვილს, ხალო
მას, ვის კურთხეულ შუბლზე აღბეჭდი-
ლია ზეგარდმო ნიჭი სულით ავადმყოფათ
ჰნათლავენ.

რეფერენტი დაწვრილებით შეეხო მარის
მიერ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრე-
ბას, საზღვარ გარედ გამგზავრებას სამეცა-
დინოთ და შემდეგ აღმოსავლეთის ენების
ფაკულტეტზე მეცნიერულ მუშაობას, რის-
თვისაც დაიმსახურა აკადემიკოსობა.

გაგვაცნო ქრონოლოგიურად მარის მე-
ცნიერულ ნაწარმოებთ, რომელნიც მრავ-
ლად მოაპოვებინა რუსულ, ქართულ და
სომხურ ენებზე (მეორე რეფერენტის ნ.
ჯორჯიკის სიტყვით მარს ორასამდის სა-
მეცნიერო წიგნი ჰქონია დაწერილი, აქე-
დან ნახევარი კაპიტალურ ნაწარმოებს
შეადგენს) ცქიტეშილი შეეხო ბრძოლას,
რომელიც გამოცხადებული ჰქონდათ მარ-
თან ქართველ პატრიოტებს და იმ უსია-
მოვნობას, რომელიც განიცადა მარმა ახ-
ლახან სომხის ინტელიგენციის ერთი ნაწი-
ლისაგან.

ცქიტეშილმა თავისი სიტყვა დაათავა,
რომ ქართველი და სომეხი სტუდენტების
შეერთებული ძალით იუბილიარის დღე-
ვანდელი პატივისცემა დაე ჩაგვეთვალოს
შენანიებათ საყვარელ მეცნიერისადმიო.

ცქიტეშილს ნაკლად მხოლოდ ის უნ-
და ჩათვალოს, რომ დიქცია სრულებით
არ უვარგოდა და დამსწრე საზოგადოების
ღიმილს იწვევდა. სხვისთვის რომ წაეკით-
ხებინა ხსენებული ბიოგრაფია ემჯობინე-
ბოდა.

სტუდ. ტომაციანმა წაიკითხა რეფერა-
ტი: მარი, როგორც სომეხი ერის მცნო-

ბი. მარის აზრით ქართული და სომხური
ენა უნდა წარმომდგარიყვნენ ერთი ენი-
საგან. სომხური ენა ორია. ძველი სომ-
ხური (ძველი ლიტერატურული), რომელ-
საც ჰქვიან გრაბარი და ახალი სომხური
(ხალხური) იაშხაბარი. იაშხაბარს მარი
იაფეტურ ენას უახლოვებს, გრაბარს არი-
ულს.

ამით მარმა დაანგრია ჰიპოტეზა, ვითომც
სომხური იყოს ინდო-ევროპიული.

მარმა ბევრი ახალი შეიტანა ორიენ-
ტალისტურ მეცნიერებაში. ცნობილი
ორიენტალისტი პეტერსი მარს საუკეთე-
სო ორიენტალისტათა სთვლისო.

რეფერენტმა გაგვაცნო მარის კვლევა-
ძიებას სომხის საერო, სასულიერო ლიტე-
რატურაში და საზოგადოთ ძველ სომხეთის
კულტურაში.

მარის კლასიფიკაციით სომხური ხელოვ-
ნება იყოფა წარმართულად და ქრისტიან-
ულად.

პლასტიკა სომხურს ხელოვნებაში დაბ-
ლა მდგარა: სკულპტურა თითქმის არ
შენახულა, შენახულა მხოლოდ ბარელიე-
ფი. კედლის მხატვრობას მარი ჰყოფს სა-
ეროდ და სასულიეროდ.

ძვირფასი ნაშთნი იმ ხელოვნებისა, რო-
მელნიც ეკუთვნიან ქრისტეს წინაღობინ-
დელ ხელოვნებას იპოვებიან ანთანაო--
სთქვა ტომაციანმა და ჩამოსთვალა ის
აუარებელი სიძველენი, რომელნიც მარის
მუშაობით აღმოჩენილ იქნენ ანის ნანგრე-
ვებში.

ანი ყოფილა ბაგრატიტების უნჯთა შე-
სანახი. ეს უდიდესი კერა სომხური განა-
თლებისა დაამხეს მონგოლებმა და რაც
გადარჩა გაანადგურა საშინელ მიწის ძვრამ.

თ. დ.

(დასასრული იქნება)

მასწავლებელთა კრებაზე ჰეტეროგში*)

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

საზოგადოებრივი სკოლის საქმე რომ მეტად ცუდ პირობებშია ჩაყენებული რუსეთის აუტანელი და საზოგადო წეს-წყობილების გამო—ეგ ყველასათვის ცხადია, მაგრამ ამ სიტუაციის კონკრეტულ ფორმებში ჩამოსხმა, მისი გულ-ღვიძლის გადაშლა და გამოაშკარავება სახალხო კულტურის სალაროს დამკინებელ-გამათახსირებელ ძალისა იმდენად საჭირო და საინტერესო საქმე გამოდგა, რომ ყოველი სამდარგო ცნობა წარმოუდგენელის გულისყურით და ინტერესით იქმნა მიღებული, მრავალის მხრივ არის დღევანდელი სკოლა მძიმე პირობებში ჩაყენებული. მთელი რიგი სოციალური, ეკონომიური და წმინდა პროფესიონალურ-ტექნიკური ძირითადი ცვლილებებია საჭირო, რომ იგი სკოლა ერთხელ არის საზრიან პირობებში ჩაადგეს...

მაგრამ ჩვენ საკითხის ამ მხარეს არ ვეხებით აქ. ჩვენს განსაკუთრებით გვინტერესებს იმ დაბეჩავებულ ერთა სულიერი ცხოვრება, რომელიც რუსულ ნაციონალიზმის მძიმე პოლიტიკის ქვეშ ერთბაშად წელში მოკუნტულა, სულიერად დაცემულა და ზნეობრივად გახრწნილა.

კრების მეხუთე სექციის მუშაობა — ტექნოლოგიურ ინსტიტუტში წარმოებულ — ხსენებულ საშინელ სინამდვილის ილუსტრაციაა მრავალ დაბეჩავებულ ერთა. წარმომადგენლები გონებით წარმოუდგენელ შესაძლოებებს შლიან სკოლის პრაქტიკიდან საზოგადოების წინაშე. სულ სხვადასხვა მხრივ, ხოლო ერთსა და იმავე შინაარსის აქტებით ივსება მთელი სასკოლო ისტორია არა-რუსთა ერებისა.

*) ვრცელს წერილს შემდეგ № მოვათავსებთ.

კრება გაიხსნა და მოხსენებასაც შეუდგინენ. პეპელიაევისა და სხვ. თეზისების შემდეგ „ქართულს პირველდაწყებითი სკოლის თანამედროვე მდგომარეობის“ შესახებ ტრიბუნაზე აღის მასწავლებელი ქალი ბერეკაშვილი (ქუთაისიდან). დარბაზი გაჭედლილია. ინტენსიური მდგომარეობა მყარდება. ბერეკაშვი იფრიად მოხდენილად კითხულობს მოხსენებას. იგი იტაცებს კრების ყურთასმენას. სწყდება თვით სულის თქმაც კი, რომ ქართულ სკოლის ტრაგიკულ ეპიზოდის აღნუსხვით მთელმა კრების ტაშმა იგრიალოს. დარბაზი დელავს, სტიქიურად აღმოხეთქილი რისხვა ეგზანცია ასეთს ტრაგიკულ აქტების მშობელ პირობებს და წყნარდება კრება, კვლავ ინტენსიური ყურადღება. ბერეკაშვილი ხან ზეპირად თავის პრაქტიკიდან, ხან კითხვით ჩვენს სკოლის ისტორიიდან ფარდსა შლის მდგომარეობას და აშკარად ჰყფის იმ საშინელ მდგომარეობას, რომელშიაც დღეს საქართველოში იმყოფება ქართული სკოლა საერთოდ და ქართული ენა კერძოდ. თავდება მოხსენება. ხალხით გაჭედლილი დარბაზი ქუხს ტაშითა, ბერეკაშვილის ქალი უკვე ზის, იგი უკვე ჩაუყლაპავს დარბაზს, იგი გაითქვიფა მასში, მაგრამ დარბაზი კი ქუხს, არ წყნარდება.

ბერეკაშვილის შემდეგ ვრცელი მოხსენება წაიკითხა ბაქოს ქართულ სკოლის მასწავლებელმა მეთოდე კაკაბაქემ.

მდგომარეობა ქართული სკოლისა მეთოდემ თავისუფლად. გარკვევით გადმოსცა კრება, მ. კაკაბაქემაც მხურვალეთანაგრძნობა დაიმსახურა კრებისა, რომლის

მოხსენება და თეზისები ერთსულოვნებით იქმნა მიღებული. ქართველებში მხოლოდ ამ ორმა იყოჩაღეს ამ საღამოს და საერთოდ სასურველი და კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს. განსაკუთრებით უცხოანი დიდად იყვნენ კმაყოფილნი **ვ. ბურჯანაძის** კარგად შემუშავებული მოხსენებითაც, რომელიც ეხებოდა ქართულს, თათრულსა და სომხურს სკოლებს. გვარიანი იყო **ყაზახაშვილის** მოხსენებაც რუსის ქალის მიერ წაკითხული.

ყველა მოხსენებებში ქართველები იცადნენ — როგორც ყველა სხვა ეროვნული ჯგუფები — ნაციონალურ სკოლის პრინციპებს, დედა-ენის უფლებას, თვითმართველობის საჭიროებას, სკოლის ყოველ მხარის, სასკოლო მოღვაწეების მდგომარეობის გაუმჯობესობას და სხვას. ძირითადი რეფორმა, სკოლიდან ნაციონალისტურ პოლიტიკის განდევნა, საღი პედაგოგის საფუძველნი — აი ლეიტმოტივი მოხსენებისა.

საგულისხმო დადგენილება.

დაიხურა რუსეთის სახალხო განათლების მოღვაწეთა პირველი კრება. ხსენებულ კრებას დაესწრო 7000 კაცი, რომელთა შორის 20 ქართველი ყოფილა საქართველოდან. ამ კრებამ ნათლად დაამტკიცა, რომ რუსეთის სახალხო სკოლების მასწავლებლნი და განათლების მოღვაწენი თავის მოწოდების ღირსეულ წერტილზე მდგარან. ისინი გამსკვალულნი ყოფილან წმინდა მოქალაქური და დემოკრატიული სულის კვეთებით. ეს კი თავდებია რუსეთის იმპერიის მთლიანობის და მისი კულტურული განვითარების. სასხვატომო სექციამ ქართული ენის სწავლების შესახებ

დაადგინა შემდეგი: 1 ქართულ სკოლებში სასწავლო ენა უსათუოდ ქართული უნდა იყოს 2 რუსულის სწავლება უნდა დაიწყოს არა უადრეს მესამე წლისა, 3 საქართველოში არსებულ სასწავლებლების როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ყველა კლასებში სავალდებულო ენად უნდა ითვლებოდეს ქართული ენა, ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. 4. უნდა გაიხსნას დროებითი სამასწავლებლო კურსები ქართულ სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლათ, სადაც ქართულ სკოლების მასწავლებლებმა და მოხელეებმა უნდა იცოდნენ ქართული ენა ლიტერატურა, გეოგრაფია, ისტორია, ზნე — ჩვეულება და სხვ... 5 სახელ — მძღვანელოები, სამოსწავლო გეგმები უნდა შეფარდებული იყოს საქართველოს პირობებთან. 6 პირველ — დაწყებითი და უმაღლესი ტიპის სკოლათა შორის უნდა არსებობდეს მემკვიდრეობითი, ორგანიული კავშირი, რომ ერთი სასწავლებლიდან მეორეში მოსწავლე დაუბრკოლებლათ გადადიოდეს. 7 სასწავლებლის ბიბლიოთეკაში უნდა იყოს ქართული წიგნები, დროებითი გამოცემანი და სხვ...

8 სასკოლო საქმეთა მართვა — გამგეობა უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვით მართველობათ რომელნიც დაფუძნებული უნდა იყვნენ საყოველთაო საარჩევნო უფლებებზე, განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა და 9 საჭიროა უეჭველად დაარსდეს თბილისში უნივერსიტეტი.

ამ გვარივე ხასიათის დადგენილებანი გამოუტანიათ რუსეთის ქვეშევრდომთ სხვა ერთა სკოლების შესახებაც, რაიცა მეტად საგულისხმო მოვლენათ ჩაითვლება.



კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

(წერილი შესამე)

პროფ. როსკო

ქ ი მ ი ა

თარგმანი ვ. რცხილაძის მიერ, გამოცემა მეორე. თბილისი 1907 წ.

უწინ, ძველის-ძველად, მეტადრე ბერძენ ფილოსოფოსებს ქვეყნის შექმნის საფუძვლად ანუ დასაბამად მიაჩნდათ ოთხი მთავარი სხეული ბუნებისა: ცეცხლი, ჰაერი, წყალი და დედამიწა, რომელთაც სტიქია (ბერძნ.) უწოდეს.

პროფესორს როსკოს აზრად მოსვლია საზოგადოებას გააცნოს (ქიმიურად) დასახელებული ოთხი „სტიქიონი“. პოპულარულად, მდაბიურად, უგველასათვის გასაკებად დაუწერია ჰაერის წიგნაკი, რომელსაც, რასაკვირველია, ვერ ეწოდების დიდებული სახელი ქიმიისა.

ბატონს ვ. რცხილაძეს მშვენიერი აზრი მოსვლია, გადმოუთარგმნია პროფესორის როსკოს ეს წერილები, რომელთაც უნდა გაგვაცნოს ქიმიური (ფიზიკურიც) ბუნება ზემოდ დასახელებულ „სტიქიონებისა“.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურისთვის ეს ჰაერის წიგნაკიც, რასაკვირველია, დიდს განძს შეადგენდა, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსი იქნებოდა მთარგმნელი. ეს თარგმანი გულდადებით ჯერ აჩვენებთ გაურჩევია.

წიგნაკი მეორედ არის გამოცემული და მასთანამე სადიგონების წარმოდგენით უოველივე ნაკლებეგანებს უნდა იეოს ამოკრებული, აცდენილი — „წინა კაცი უკანისა ხიდათ“...

ენას არა უჭირსკა, თუმცა შეიძლებადა უფრო გასაკებად დაწერილიყო.

სამწუხაროდ ეს მეორედ გამოცემული ქიმიის იმას გვიმტკიცებს, რომ პირველი გამო-

ცემისთვის კარგად ვერ უშატონებია მთარგმნელს, — არ გადაუცია მტოდნე პირისთვის რათა მისი პირველი შრომა კრიტიკულ ქარცეცხლში გაეტარებია და ამგვარად მეორე გამოცემა უნაკლებად გამოსულიყო.

კარგად უნდა ვიცოდეთ ბატონებო, რომ ამისთანა სამეცნიერო წერილებს ჩვეულებრივი, გაზეთური რეცენზიები არაფერს არგებს, ხოლო გულ დადებით განჩევისთვის კი ჩვენში ძნელად თუ ვინემ თავი აიტეოს, ეს სამწუხარო მოვლენა აიხსნება 1) ქართულ სააკვო დაუდეგობით. 2) ეგოიზმით და 3) სიზარმაცით. ხოლო თავი და თავი მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენში უგველადური რაც ლიტერატურაში კეთდება, უფრო სამადლოთ კეთდება, სამადლო საქმეთ მიაჩნიათ, ამიტომაც მუქთა შრომისთვის არავინ იწუხებს თავს.

ასე რომ არ იეოს, მაშინ ხომ ეს წიგნი მეორეთაც დამახინჯებული არ გამოვიდოდა, მთარგმნელს აუნელდნენ თვალს, მიუთითებდნენ შემდეგ შეცდომებზე:

1) უწინარეს უოვლისა ჯერ ჰაერი უნდა გავაცნოთ მკითხველს და მერე ცეცხლი — ცეცხლის აღის პროცესებს მისხნით, მაშინ როდესაც ჯერ თვით ჰაერს არ ვიცნობ, ურომლისოდაც ცეცხლის განჩენა შეუძლებელია.

2) „ჩავასხათ სუფთა დაკირული წყალი (გვ. 5) *), სიტყვა დაკირული აქ სრულე-

*) მთელს ამ წერილში ხაზი სიტყვებს ჩვენ გაუსვით.

ბით არ შეესაბამება, დაკირვა, ჩაკირვა ნიშნავს ღუღაბის დასწმას, კირში ჩასმას.

Известковая вода-ს ქართულად ჭჭვიან კირიანი წყალი ანუ კირის წყალი და არც ისე მზადდება, როგორც თქვენ გვასწავლით. თქვენი რეცეპტით რა კირიანი წყალი მოამზადონ შუშა გასქდება და ვისშეს თვალს გამოსთხრის.

3) უწყლო კირი (негашен. известь) ამას ქართულად ჭჭვიან უმქრალი კირი ანუ ჩაუქრალი კირი.

თქვენ გვიჩვენებთ: ნეგაშენი ობვესტი აიღეთ კირიანი წყლის მოსამზადებლათაო. ქიმიკი გვასწავლის ჩამქრალი (гашени) კირი ვისმართო: „**Всыпать 1/2 чайной ложки гашенной извести в стакан воды, размешаем жидкость и оставим её отстояться, пока вода не станет опять прозрачна. Тогда можно осторожно слить большую часть жидкости, которая называется Известковою водою**“.

აგერ იხებთ ტერმინები:

1) კირის ჭვა (CaCO_3)=**Известнякъ**.

2) კირი ანუ დამწვარი კირი (CaO) **известь или окись кальция или негашенная известь, жженная известь**.

3) ჩამქრალი კირი ანუ დაშლილი კირი (Ca(OH)_2) **гашеная или ждкая известь, распушенная известь или гидратъ окиси кальция (კირის ჭიდრეტი)***.

ამას რა მეტი წყალი მიუმატოთ, მაშინ გახდება კალატრებისთვის სახმარი კირი (известка), ამას რამ კიდევ წყალი მიუმატოთ მივიღებთ კირის რძეს, **известковое молоко**.

ჩავასხათ შუშაში კირის რძე, ერთი კარგად

*) წყალი ქიმიურად შეუერთდა დამწვარ კირს და მშრალადღე დარჩა.

შეგანჯღრიოთ და მერე დავანებოთ თავი. კირს დაილექვავს და ზემოდან სუფთა წყალი დარჩება. ეს წყალი სრულებით გადაწურეთ და დალექილს კირს კვლავ დაასხით ახალი წყალი, ძრიელ შეანჯღრიეთ და კვლავ დაადეთ ვიდრე დაწმდება. მერე გადმოასხით და იხმარეთ, აი ასე მზადდება და ამას ჭჭვიან კირის წყალი ანუ კირიანი წყალი **Известковая вода**,

4) სიტყვა გაზი თქვენის თარგმანით არის ჰაერგვარი. ტუუილა გარჯილხართ, სრულებით მეტი შრომა მიგიღიათ. გაზი ქართულადაც გაზია. ამ ტერმინს შთლად განათლებული კაცობრიობა ხმარობს და სულაც არ მიაჩნიათ სათაკილოდ ლათინებიდან და ბერძნებიდან ისესხონ, შემოიღონ ის, რაც თითონ არა აქვთ.

ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ასახსნელად ვსთქვად, განვმარტოდ, რომ გაზი არის ჭყარგვარი სხეული. ხოლო ტერმინად, ტექსტში სახმარებლად სიტყვა ჰაერგვარი სრულებით უხერხული და უფარგისია.

აბა რასა ჭკავს თუნდ თქვენი სათაური (გვ. 14) „ჰაერს შეადგენენ ორი ჰაერგვარი!?“ რა საჭიროა ამისთანა სიმახარჯე, როდესაც შეიძლება მშვენივრად ითქვას: ჭყარი შესდგება ორი გაზისაგან მჟავადისა და აზოტისაგან. ანუ თქვენებურად: ჭყარს შეადგენენ (თუ შეადგენს?) ორი გაზი მჟავადი და აზოტი.

5) „სხეულის ამგვარ გადაქცევის (გარდაქცევის?) ეტუვიან ქიმიურ გამოცვლას“ (გვ. 8) უნდა ითქვას ქიმიურ გარდაქმნას.

6) „ბუნებაში არა რაიმე ნივთიერება არ მოიხმობა“ უნდა იყოს: არა ვითარი ნივთიერება არ ისპობა*) მეორეც ესა რათა გგო-

**) ეს უკუღმართი ფორმა არა რაიმე, მთელს წიგნში ყველგან გაქვსთ ნახმარი არა ვითარის მაგიერ.

ნათ, რომ ჩვენ ვერ შეგვიძლიან შევადგინოთ ახალი ნივთიერება?! ჩვენ მართლაც, არ ძალგვიძის ახალი ელემენტის შექმნა, თორემ ნივთიერებას კი რამდენსაც გინდათ შევადგინოთ ქიმიურის ათასნაირ კომბინაციით. შე დალევილი და თუ კი ქიმიურ ლაბორატორიებში ორგანიული სხეულები კი *Urea* (*мочевина*) მზადდება, დანარჩენები რაღა სათქმელია.

7) „წმინდა ნახშირბადი არამც თუ სხეულში, მთელ ბუნებაშიაც არსად მოიპოვება“ (გვ. 19) შენიშნავს მთარგმნელი საკუთრად თავის მხრივ. *) შექცდარი აზრია!.. „*Въ свободномъ состоянїи углеродъ встрѣчается въ видѣ Алмаза и графита*“ ამბობს მეცნიერება ქიმიკი.

„...Алмазъ по химическому составу чистый углеродъ. Старая, алмазъ весь превращается въ углекислый газ. (რადგან მუაზობდი უერთდება)... Наконецъ, въ графитѣ, карандашахъ которымъ мы пишемъ есть также углеродъ кристаллическаго сложения. Онъ встрѣчается въ природѣ нерѣдко въ видѣ большихъ, сплошныхъ массъ; впрочемъ совершенно чистыхъ графитовъ мало“... ამბობს მეცნიერება მინერალოგია... ნუ თუ მთარგმნელისთვის ძნელი იყო ამ სტრიქონების დახსოვება?! დემეტრია ხომ იცის გვიყვარს ქართულებს ორიგინალობა.

8) მთარგმნელი გვარწმუნებს (გვ. 21) რომ ნახშირბადი სრულებით არ არის წყალში. ეს სრულებით მოკლებულია სიმართლეს. ნახაღზე დათესილს წიწმაცს შეუძლია ნახშირბადი წელიდანაც შეითვისოს (ნახშირმუყა გაზის სახით) და ჭყარიდანაც.

*) ეს შენიშვნა პირველ გამოცემაშიაც არის (გამოცემულია 1891 წ.) და ახალშიაც (1907 წ.) იმასვე იმეორებს.

9) ცდა 20. დაბეჭდილია ხაზგასმით „შავი თითბრის ქანგს“... „თეთრი ქლორის კალციტ“ და ამავე ცდაში 37 გვერდზე ბოლოს სტრიქონი: „არის წითელი თითბერი ანუ სპილენძი“...

აქ კი მთარგმნელს სრულებით არევა დაუთრები!.. ნეტა თუ, მკითხველმა, რის თქმა უნდოდა ჩვენს ქიმიკოსს?.. ეს ვსთქვათ მე ადვილად მიუხვდები, რადგან ქიმიკი იმდენად ვიცო, მაგრამ განა ჩემისთანებისთვის არის დაწერილი ეს საცოდავი ბროშურა?! ბატონს რცხილ: ძეს უთარგმნია *Мѣдь* = თითბერი *Окись мѣди* = შავი თითბრის ჟანგი. *Хлористый кальцій* = თეთრი ხლორის კალცი. ჭეშმარიტად სასაცილოა, რომ სატირელი არ იყოს!..

ჩვენ ერთი რამ გვაკვირვებს, პირველად ეს ქიმიკი გამოცემა 1891 წ. ჩვენ დღეს კრიტიკას უწერთ მეორე გამოცემას (1907 წ.). კარგი და პატიოსანი. ნუ თუ ისეთის სითამამით სჯეროდა მთარგმნელს თავის შრომის უცოდველობა, რომ ამ 15—16 წლის განმავლობაში არავის მცოდნეს არ სთხოვა გადაეთვალიერებინა. ნუ თუ განსვენებული ქართველი ქიმიკოსი პროფესორი პეტრიაშვილი დაჭყარდებოდა ამ ჰაწია წიგნაკის წაკითხვას?!..

სწორე მოგახსენო დიდი სითამამა და შეცდომა, რომ ეს წიგნაკი იმავე შეუწინარებელ შეცდომებით მეორეთაც გამოცემა მთარგმნელმა.

პირველ გამოცემას, როგორც პირველ საქმეს ისე არავინ შეხედავდა, რადგან „არ სცდება მხლოდ ის, ვინც არას აკეთებს“. პირველ შეცდომებს ეგვლა შეიწინარებდა და თავის მხრითაც შეძლების დაგვარად შეეწეოდა რჩევით თუ ტერმინებით. ნათქვამია „არ ცოდნა, არ ცოდვა“ მით უმეტეს, რომ ამ ოცი წლის წინეთ ქართული ქიმიის დაწერა

რათქმა უნდა უშეცდომებოდ შეუძლებელი სექსე იყო.

ყოველივე ლიტერატურული ნაშრომი, გამოცემული წიგნი, საზოგადოების კუთვნილებას შეადგენს, ეროვნული განძია. აი ამიტომაც მომდის ჯვარი... რად უნდა გამოცემულიყო მერეთაც დამახინჯებული ეს წიგნი.

უნდა მოგახსენოთ ბატონებო, რომ დღევანდელი ყველა ჩვენი მოკვლევები რაიმე სასწაულოთ სუეველანი რომ რუსთაველად გადაიქცნენ, მაინც კულტურულ ერად არ ჩავითვლებით, ვიდრე ბუნების მეცნიერებას მთლად არ გადმოვხერგავთ სამშობლო ენაზე, ანც ერთი კერძო პირი სწავლულად არ ჩაითვლებს, თუ რომ ბუნების მეტყველებასთან მწერად არის. ამგვარათვე განათლებულ ერად არ ჩაითვლება ის ხალხი, რომელსაც ბუნების მეტყველება თავის დედა ენაზე არ განუვითარებია...

ჰო და სულ ვმდერით, ვმდერით და ვბალობთ, ხოლო პრაქტიკულ, რეალურ მხარეს უურადლებს არ გაქცევთ, ჩვენში ქართული ექიმებიც კი ლექსებს სწერენ, ზოგნიც გატაცებული ემსახურებიან მეღვინეობას. ბუნების მეცნიერება, მედიცინა, ფსიხოლოგია ესე ყველა სრულებით უუურადლებოდ არის დატოვებული. აბა გამოირცხეთ საშუალება ზემოდ დასახელებულ მეცნიერებათა რუსულ ენით შესწავლისა; დეე დავრჩეთ ქართულ ლიტერატურის სინაბარად, ვსთქვათ არ ვიცით უცხო ენა, მაშინ ჩვენ ქართველები ვეგვანებოდით ნახევრად ველურ ხალხს, როგორც არიან აბაშელები (აბისინია) და სხვ. დიად, ბატონებო, ნუ თუ იმდენი თავმოყვარეობა არ გვაქვს, რომ ამ ყველასათვის აშკარა პრობლემას განსაკუთრებული უურადლება მივაქციოთ.

ბოსფორის ნაპირებიდან ამ ზაფხულს მეწვივნენ მე თავდადებულნი ქართველნი, რომელნიც სხინან უცხოეთში ქართულ გიმნაზიას, საშუალო სასწავლებელს, სადაც სავალდებულო იქნება ყველა მეცნიერება და მეტადრე ბუნების მეტყველება ქართულ ენაზე შეისწავლონ. დღეს თუ ხვალ მოგვმართავენ და აბა ვნახავთ ჩვენი წ. კ. გ. საზოგადოება რამდგომარეობაში ჩავარდება, რა ზასუს მისცემს. ბოსფორელებს 3—4 წლის შემდეგ უეჭველად დასჭირდებათ ქართული ფიზიკა, მინერალოგია, ბოტანიკა და ზოოლოგია.

ნეტავი გამაკებინა ჰეტერობურღში რომ საქართველოს მზე უნდა ამოსულიყო, ამოვიდა, ბრწყინავს, თუ ჩრდილოეთის უჩრვამ, დრუბლიანმა ცამ მზის სხივები გათანკეს. რას სჩადის ჰეტერობურღის ქართულ სტუდენტთა „სამეცნიერო“ წრე, რომლის გაკვირვებებს?..



მოვიპოროთ ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა, განვავრძოთ დაწეებული სექსე. ჰო და იმას მოგახსენებდით.

Мѣдь თითბერი არ არის, შავი თითბერი ჯერ არავის უურს არ გაუგონია და წითელი თითბერიც ჯერ თვალთ არავის არ უნახავს.

Мѣдь გახლავთ სპილენძი, რომელიც არის ფერად წითელი და ყველასაც ცნობილი ღითონი, რომლისაგანაც კეთდება უმთავრესად ქვაბები და სხვა ჭურჭელი ოჯახში სახმარებელი.

სპილენძი სხვა ღითონებთან ერთად შედნობილი, შეერთებული იძლევა ძლიერ სასარგებლო და მშვენიერ ფერის ნავთიერებებს. აი მათი სახელო:

- 1) **Мѣдь** = სპილენძი.
- 2) **Желтая мѣдь или Латунь** არის თითბერი. (Состоитъ изъ 3 частей

მჭდი и 1 части цинка (თუთია), и имѣть желтый цвѣтъ)*).

3) **Томбанк** — ოქროს ფერი თათბერი заключаетъ 15% цинка; цвѣтъ его золотистый.

4) **Мишурное золото** უაღბო ოქრომკვდი—сплавъ 1 ч. цинка и 5,5 мѣდი.

5) **Бронза**, ბრინჯაო—сплавъ мჭდი сь оловомъ (კალა). ზოგჯერაც უმატებენ თუთიას და ტყვიას. ხოლო იანჭინური ბრინჯაო შეიცავს ვერცხლს და ოქროს.

6) **Пушечный металл** — საზარბაზნე ლითონი—бронза, состоящая изъ 90% мჭდი и 10% олова.

7) **Колокольный металл** (ზარკობის ჩამოსასმელი ლითონი) —содержитъ 20—25% олова.

8) **Новое серебро или аргентанъ** (ახალი ვერცხლი) представляетъ сплавъ мჭდი, цинка и никкеля (ნიკელი).

კიდევ არიან: фосфорная бронза, Кремная бронза, Марганцовая бронза და სხვ.

ხოლო რაც შეეხება Хлористый кальций ამას ქართულად ჰქვია ხლორკალი (CaCl_2).

10) ლითონის Kalium, Potassium (Калий რუსულად) ქართულად უნდა ეწოდოს პოტასი—უგჭველად. აი რა მისზრებით:

არის ერთი ლითონი, რომელსაც ეველა იცნობს და ეოველ დღიურ ხმარებაშია, სახელდობრ კალა, რომლითაც ქვაბების ჰკვავენ და სხვა... ჩვენ ახლა ვერავის უბრძანებთ, რომ ათას წლებით ნახმარი სიტყვა ხალხს დავავიწყოთ ან შევაცვლევიინოთ. მაშასადამე ლითონს კალიუმს უნდა მოუნახოთ შესაფე-

*) ბუნებაში ძლიერ არის გავრცელებული მადანი გოგირდნარევი სპილენძის კოლჩედანი ყვითელი ფერისა და მომწვანოდ პრიალებს.

რის სახელი და ეს სახელი იქნება პოტასი ქართულად. მით უფრო რა ლათინურადც პოტასიუმი ეწოდება და ფრანგულადც პოტასი. ეს აუცილებლად საჭიროა. საჭიროა იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემოხვევაში ხშირად აიჩქვას მონასტერი, რადგანაც კალი და კალა ტექსტში ეოველთვის აიჩქვიან, უნებლიეთ შეცდამაში ჩავარდება შწერელიც და მკითხველიც.

მაგალითად ამ „ქიმიამი“ მე 28 გვერდზე სწერია: „და წარმოსდგა კალის ტუტა*) ქართულად ამბობენ: კალის უმარილი, კალის ქურჭელი და სხვ. ეს იმას ნიშნავს, რომ კალა (ОЛОВО) უხმარიან უმარილის და ჭურჭლის მოსამზადებლად. მაშასადამე შეიძლება ითქვას მკითხველმა, რომ კალის ტუტაც კალასაგან წარმომდგარა. აი ამ შეცდამების თავიდან ასაცილებლად ერთხელ და სამუდამოდ კალა (ОЛОВО) ისევე კალად უნდა დარჩეს, რადგანაც ათასი წლის მოქალაქობრივი უფლება აქვს შექენილი, ხოლო Калий პოტასი იქნება ქართულად, მაშინ რომ მეტყვიით პოტასის ტუტა-ო**) ჩვეულებრივი კალა (ОЛОВО) ფიქრადაც აღარ მომივა და აღარც მონასტერი აიჩქვას.

11) წიგნში ბევრგან არის ნახმარი სიტყვა ჰშილიან ე. ი. რომელიმე რთულ სხეულს შემადგენელ ნაწილებად შლიანო (მაგ. წყალს და სხვ.). სჯობს ითქვას არღვევენ. აგრეთვე ნათქვამია „ჭერგვარი არ წავკვივიდეს“, ბევრად სჯობს ითქვას არ გაგვეპაროს--ხალხი ამბობს ქათური გაიპარა, ამოქრაო.

12) ცდა 16 ნათქვამია: „ბანკა შირქვე მეჭირება ჰჭერში“ და „ჩაუშვებ შიგ ანთებულ სანთელს“ უნდა იყოს შევეუდგამ ქვეშ.—

*) ხოლო მე-71 გვ. დაბეჭდილია დაქლორებული კალის მარილი. აქაც ОЛОВО იგულისხმების.

**) ფრანგულად Hydrate Potassique.

(თუ კი ჰირქვე გიჭირავთ ბანკა მაშინ კი არ ჩაუშვებთ, უნდა ქვევიდან შეუღვით სანთელი).

13) მე 18 ცდის სათურში დაბეჭდილია: წყალი წარმოსდგება, სჯობს ითქვას: წყალი ჩნდება.

14) გვ. 33 სტრიქ. 12 დაბეჭდილია: ფეთქვა წარმოსდგება უნდა ითქვას იფეთქებს.

15) გვ. 34 სტრ. 16 ზევიდან დაბეჭდილია: „საიდან კეთდება სჯობს ითქვას საიდანაც წარმოსდგება.“

16) მე 38 გვ. ბოლოში დაბეჭდილია მსხვილად: „ერთ-და-იგივე რთულ ქიმიურ შეერთებაში შემადგენელ სხეულების წინათ მიმართება მუდამ ერთი-და-იგივეა“... ახა გამოიყენე შვითხველო.

17) მე 43 გვერდზე დაბეჭდილია რუსულად რამდენიმე სიტყვა გადაუთარგმნელი. გვეცადოთ და გადავსთარგმნოთ.

უწინარეს უაფლის უნდა მოგახსენოთ, რომ არც შპატ-ია რუსული სიტყვა და არც კვარცი. შპატი ნემუნური სიტყვაა და არის სახელი სხვა და სხვა გვარ მადნეულობისა. კვარცი არის ლათინური სიტყვა და ეწოდება მისი ძრეულ გავრცელებულ მადნეულობას მაგ. მთის ბროლი ანუ ქარწიბი (горный хрусталь) წარმოადგენს ნამდვილ კვარცს, წმინდა წყლისას. კვარცი არის იგივე ტალი ანუ კაუი მყავბადთან შეერთებული (SiO_2) თავმარილია. კვარცი ბუნებაში ხვდება მრავალ ფერებისა და თავის მშვენიერებით ძვირფას ქვებად იხმარებიან სამკაულად (ამეთისტო, ხალცედონი, ადატი და სხვ.).

ახლა ვსთარგმნოთ:

1) Известковый шпатель — კირის შპათი. იგივე კირის ქვა არის სხვა გვარად დაკრისტალებული, (სუკეთესოთ ითვლება ისლანდიის შპათი).

2) Плавиковый шпатель — ფტორკალ-

ცი ($Ca Fl_2$), იხმარება მადნების სადნობე-ლად, ამიტომ ეწოდა მადნობელი შპათი.

3) Тяжелый шпатель. კოკინდმყავა ბარიტი. ამის მადანი რიონის ხეობაშია, ბევრსა სთხრიან და რუსეთში ისტუმრებენ.

და 4) Полевой шпатель — ოროტოკლაზი. თიხსარევი (აღუმიწი) სილიკატია. Слюда თაღნი ამგვარივე სილიკატებს ეკუთვნის.

18) Пропускная бумага სწურავი ქადადღია და არა მელნის ასაკრეფი ქაღალდი, როგორც თქვენ გითარგმნიათ (გვ. 44). რა სჭირო იყო ასე გახტეულეება.

19) Гипс არის ქართულად ალაბასტრი. ეს ბერძნული სიტყვა (ალაბასტრი) სუკურბით გამოეგუბულია ქართულ ენაში. მაშასადამე რადა ძალა გვადგია უკაცრული სიტყვა გიპსი ვინმაროთ. (გიპსიც ბერძნული სიტყვაა).

20) „საზონი კოლტ-კოლტად ინაშება ძირს“ (გვ. 45) ჩემთვის გაუგებარი სიტყვა ბია.

21) მინუტი (გვ. 46) ნუ თუ ქართულად არ მოგვებობება ეს დროს საზომი?! იქვე ცდა 27. დაბეჭდილია „იგივე ცდის დროს“ უნდა იყოს იმავე ცდის დროს. ეს სიტყვა იგივე ეველგან მთელ წიგნშია ნახმარი იმავეს მაკიერ და ეველგან საშინლად ამახინჯებს აზრს.

22) Свиной сахар-ს ქართულად ჭჭვიან ტყვის შაქარი და არა შაქარ-ტყვია, როგორც თქვენ გითარგმნიათ (გვ. 32). რა ტერმინიც გახატონებულია ქართულს ენაში, იმას ნუდა სთარგმნით. ეს იმიტომ გემართებათ, რომ არ გასცნობიხართ ქართულს ძველს სამეცნიერო ლიტერატურას.

23) ჰაერგვარო — მეტრი (გვ. 60). ნეტა რაზე იჭირებთ საქმეს, როდესაც სულ მართივი სახელი აქვს ამ იარაღს — გაზომეტრი-თქო მორჩა და გათავდა.

24) აქ ფეთქავს ქვა-ნახშირის ჰაერგვარი არეული ჰაერში (გვ. 63) — ფეთქავს გული,

მაჯა, ძარღვი და სხვ. უნდა გეთქვას აქ იფეთქებს ხოლმე... თოფის წამალზედაც იტყვიან იფეთქაო, მაგრამ უფელა აზრს შესაფერი სიტყვა აქვს.

25) ჟანგქარბს მარგანუმისას (შავი ქვა). ახირებულნი ტერმინია (გვ. 71). გინდათ სთარგმნათ *Перекись Марганца* უწოდეთ შავიქვა და თუ უფრო მეტნიერული გინდათ პიროლოზითი და თუ ქიმიურად გინდათ გამოსახათ ჟანგქარბი მანგანი (MnO_2). ეგ მარგანუმისი საიდან და მოაჭოკეთ. თუ ჯათინურის ეშხით მოგივიდათ, ჯათინურად ხო *Manganum* (მანგანუმი) ჰქვიან. ხოლო რუსებს უსესხნათ უცხო სიტყვა *Марганецъ*.

26) აზოტ-მჟავის (*Азотная кислота*) ქართულად ფარნახის ხნიდან თეზათი ჰქვიან.

27) *Stibia* (79 გვ.) გი არა *Stibium* იწოდება ეს ლითონი ქართულად იქნება ანთიმონი (*Antimonium*) ჯათინურიდან შემოვიღეთ.

28) თქვენ ბეგრან გაქვს ნახმარი კუპაროსი. ქართულად კუპაროსის ჰქვიან აჯასპი.

1) აჯასპი თეთრი ახუ თუთიას აჯასპი, *Бѣлый Купарось, Цинковый Купарось*.

2) აჯასპი მწვანე ახუ რკინის აჯასპი, *Зеленый Купарось, Желѣзный Купарось*, ძალა.

3) აჯასპი ლურჯი ახუ სპილენძის აჯასპი, *Синий Купарось, Мѣдный Купарось*, შაბიამანი.

29) ეგ რაღაც შაბ-მარილა (გვ. 82) აგივიტებთ სრულებით გაკვდეთ ქიმიდან, რასაც არ აურ-დაურევს, არაფერს გაგვიკეთებს. რათა გგონიათ რომ გჯაუბერის მარილი შაბ-მარილაა. თუ უვიცნი ეძსიან, ქიმიასი რა ადგილი აქვს, რომ შემოგიღათ. შაბს რა საქმე აქვს გოგირდმჟავა ნატრთან?!. ან საიდან გამოჩნდით ეს უცნაური ტერმინი შაბ-მარილა მე არსად არ შევხვედრებარ.

30) „კაჟი არის ელემენტი“ (გვ. 84) საქმეც ეგ არის რომ კაჟი არ არის ელემენტი. კაჟი და ტალი არის *Кремень*, რომელიც წარმოსდგება სილიციით და მჟავადის შეერთებით SiO_2 . სილიციის ანჰიდრიდი ძრელ არის გავრცელებული ბუნებაში (კვარცი, მთის ბრელი, ამეთისტო, კაჟი ანუ ტალი, ქვიშა—კენჭები და სხვ. *).

თქვენ რომ ელემენტს გულისხმობთ, მაგას ჰქვიან:

Silicium, სილიცი, სილიციუმი, *Кремний, Силицій*.

მაშასადამე თქვენი ტერმინიც კაჟის ჟანგი ქიმიასთან მწერალათ არის.

31) „თუჯი არ იძეკება“ (გვ. 87). უნდა იყოს თუჯი არ იქედება. მაგალითად თქვამდელი თქვამს და ვერცხლს სჭედავს. უბრალო მჭედელი რკინას სჭედავს და სხვა.

32) ვსთქვით მოვიხალისე და მინდა მოვახდინო ცლა 43. ახლა სად ვიშოვნო რკინის ყვითელი მარილი? ნეტა რას დანახათ თქვენ ეს სახელი? მე რომ ვერაფერი გამოვიარა, სხვა რას გაიკებს. შეორეც ეს რკინის აღმოსაჩენად რამე სითხეში ნუთუ თქვენ რეაქტივად რკინასვე იხმართ!? რკინას რკინითვე ეძებთ? გარდა ამისა უფელგან ხმარობთ სიტყვას დამდნარი წყალში (გვ. 89 და მრავალგან) უნდა ითქვას განზავებული წყალში—*растворенное въ водѣ* და არა *Растворенное*. თუ ვამბობთ შაქარი წყალში გადნაო ანუ მარილი დადნაო, ეს სიტყვები ქიმიასში არ ივარგებს.

33) „რომ აიღოთ მდნარი ნახშირბადნატრისა (სოდა) და გადაურითო მდნარს

*) *Двуокись кремнія SiO_2* или *кремневый ангидридъ* (кремнеземъ), весьма распространенъ въ природѣ, образуя множество минераловъ, какъ то кварцъ, горный хрусталь, аметистъ, кремень, песокъ, песчаникъ (ქიმია).

ქლორიანი კალციისას“ (ცდა 44). ეს რა ტერმინებია? ვინ რა უნდა გაიგოს. ან რას ჰქვია ნახშირბად-კირი? მეტა გზა არ არის თქვენი ნათარგმნი ქართულად უნდა გადმოვთარგმნო:

აიღეთ უბრალო სოდა (ნახშირმჟავა ნატრი) და რაიმე ჭურჭელში გახსენი წყალში *). მერე აიღეთ ხლორკალცი და ესეც ცალკე ჭურჭელში გახსენი წყალში, ორივე შუშაში მიიღებთ წმინდა ანკარა სითხეებს. ბოლოს გადურეთ ერთმანეთში და წამსვე აიძვრება რქესავით თეთრად. ეს აიხსნება იმით, რომ აქ წარმოსდგა ახალი სხეული, რომელსაც ჰქვია ნატრი ანუ ქიმიურად ნახშირ-მჟავა კალცი, რომელიც წყალში არ იხსნება და ამიტომ შუშის ძირში დაილექება.

თუ არა და თქვენი ტერმინი რუსულად რო გადავთარგმნათ გამოვა:

1) მდნარი ნახშირბად-ნატრისა, Растворъ углеродъ-Натра (!).. რასაკვირველია დამეთანხმებით, რომ ამისთანა ტერმინი ვერა ქიმიაში ვერ მოიძებნება.

34) იმავე გვერდზე (90 გვ.) თქვენ სწერთ: „გიპსი (გაჯი) იგივე გოგირდ-კირია“. მე კი მოგახსენებთ, რომ გიპსი არ არის გაჯი, არამედ არის ალბასტრი. მეორეც გიპსი არ არის იგივე გოგირდ-კირი. გოგირდ კირი სხვა არის და გიპსი სხვა. გოგირდ მჟავა კალციის (თქვენი გოგირდ-კირის) ფორმულა არის: $SO_4 Ca$ Сѣрно-кислый Кальций, ხოლო ალბასტრის ანუ გიპსის ფორმულა არის $SO_4 Ca + 2 H_2O$. თქვენს გოგირდ-კირს 110° ცენტსლის სიცხე უნდა გამოიაროს, დაიწვას და აი მხოლოდ მაშინ გახდება სახმარი გიპსი ანუ ალბასტრი.

*) სოდა უნდა აიღოთ სულ უბრალო, სარეცხში რო ხმარობენ. ხოლო სასმელად რო იხმარება ის სხვა სოდაა, იმას ქიმიურად ჰქვია ნახშირმჟავა ნატრი (Двууглекислый натръ).

35) ქლორიანი წყალბადის სიმჟავე (95. გვ.) უნდა იყოს მჟავა წყალბად ქლორიანი—აი ასე ჰქვია ქართულად. თქვენ კი რომ სწერთ ეგ რუსულად არის დაწერილი ქართული ასოებით. (Хлористоводородная Кислота)—მე კი რომ ვწერ ეგ პირდაპირ ლათინურიდან არის აღებული Acidum hydrochloratum და მშვენივრათაგ მოუხდა ქართულს. ვინც ლათინური არ იცით, ქიმიას ნუ ჯიჯვინთ. მის დღეში ქართულ ქიმიას ვერ დასწერთ მართებულად.

36) თქვენ სწერთ (გვ. 95): კალიანი მარილები, კალის მარილები, კალის ტუტაბი. აქ კალა და კალი უმჯობესად არეგს საქმეს.

აი ამიტომაც შემომაქვს წინადადება, რომ ლათინურ Kalium-ს ეწოდოს ქართულად პოტასი, ისე როგორც ფრანგები მოიქცნენ იმათებურად

1) მწვავე პოტასი (ѣдкое кали არის Hydrate potassique;

2) ძმარმჟავა პოტასი (уксусокисное кали) Acetate de potasse;

3) ორნახშირმჟავა პოტასი (двууглекисное Кали) Bicarbonate de potasse;

4) ნახშირმჟავა პოტასი უბრალო (простое углекисное кали. Поташъ) Carbonate de potasse du commerce.

5) ქლორატი პოტასისა (ფრანგულიდან ვიღებ) ანუ ბერთოლეტის მარილი (Хлорноватокисное калий. Бертоллегова (გუარაა ქიმიკოსისა) Соль) Chlorate de potasse.

6) აზოტმჟავე პოტასი ანუ გვარჯილა (Азотнокисное калий. Селитра) Nitrate de potasse;

7) იოდ-პოტასი (Иодистый калий или потассій) Iodure de potassium;

8) ბრომპოტასი (Бромистый калий или потассій) Bromure de Potassium.

9) გოგირდმჟავა ჰოტასი, Sulfate de potasse და სხვა და სხვა.

37) „კალა ინმარება რკინის ზემოდან დასახურად (გვ. 99). თეთრი ქესტი არის რკინის დახურული ზემოდან კალათი. კალათი დახურული რკინა დაკულია დაქანებებისაგან“ ქართულიც ასეთი უნდა!

კალა „წარმადგენს საწებო (припой), რომელიც ინმარება გატეხილი ლითონების გადასაბმელად. ეს ქართული როგორღა მოგწონთ? უნდა ითქვას: 1, ქესტი არის კალით დაფერილი რკინა. ხომ გაგიგიათ ვერცხლით დაფერილი, რქოთი დაფერილი და სხვ....

2) კალით დაფერილი რკინა აღარ ჟანგდება.

3) ინმარება ლითონების დასაკეშირებლად, კვეშირი ჭქვინ და არა რაღაც თქვენს გამოგონილი საწებო. საწებო ეთქმის ჭურჭელს, რომელშიც წებოს ინახავთ. კარდა ამისა რატომ თავი და თავი არა სთქვით, უმთავრესი დანიშნულება და ის დიდი სატეხლობა, რომელიც მოაქვს კალას ადამიანისთვის. კალა ინმარება ქვაბების მოსკალავად. ნაძვალდგეია შემდეგი სიტყვები: კალათი, კალასი, კალასი ქანგი. ამ ფორმით იმიტომ უხმარია მთარგმნელს, რომ მეორე ლითონთან კალი-სთან არ აკვერიოს. ქართული იქნება შემდეგი ფორმა. კალით, კალის მადანი, კალის ქანგი და სხვ....

38) ჩაილექოს (გვ. 100) უნდა იყოს დაილექოს.

39) „ტყვია-ფერი“ (გვ. 101) ეს უთუოთ გითარგმნათ СВИНЦОВЫЙ БЛЕСКЪ. მაინც და მაინც რა სჯიროა, რომ უმჯობესად რუსულს მივბაძოთ. საკმაო ითქვას ტყვიის მადანი და თუ არ დაგიშლიათ სჯობს ითქვას: ტყვია კრილა. რადგან რუსულად ფერზე კი არ არის ნათქვამი, ბზინვარებაზეა.

40) იმავე 101 გვერდზე დაბეჭდილია: ტყვიის თეთრი წამალი, უნდა იყოს ტყვიის უმარილი. ბაზარში პირდაპირ უმარილს ეძ-

ხან ქალები რა ხმარობენ. დაბეჭდილია შაქარ-ტყვია, უნდა იყოს ტყვიის შაქარი. დაბეჭდილია ძმარ-ტყვია უნდა იყოს ძმარ-მუავატყვია, Acétate de plomb.

Хромосвинцовая соль არის ქართულად ხრომოტყვიის მარილი და არა ქრომ-ტყვია. მზადდება: გახსენით წყალში ცალკე-ცალკე ტყვიის მარილი და ხრომოპოტასეს მარილი, მერე აურიეთ ერთმანეთში და მიიღებთ უფოთელ ხვრიშს, რომელიც ინმარება როგორც უფოთელი საღებავი.

ბუნებაში მოიპოვება ხრომოტყვიის მარილი, რომელიც შეადგენს ტყვიის მადანს, წითელი ფერისას (Красная свинцовая руда).

ჭო და სად არის აქ ტყვია და ქრომო-მუავე, როგორც თქვენ სწერთ?

არსებობს, რასაკვირველია, ხრომის მუავე (Хромовая кислота) (H_2CrO_4) ანალოგიური გოგირდმჟავასი (H_2SO_4).

41) „მაგნი რა დასწავთ“ (გვ. 107). მართალია მადნეზიას მიიღებთ, მაგრამ დამწვარს—Жженая магнезия, Magnes usta (MgO)—მაგნის წილა.

აქ უნდა უურადდება მიჯაჭციო მკითხველის, რომ ბევრს შემთხვევაში შეგვიძლიან ვიხმაროთ სიტყვა წილა იქ, სადაც ლითონი დაწვის დროს უერთდება მუავბადს (ჟანგბადს):

1) მაგნის წილა (MgO)—დამწვარი მაგნი. Окись магнiя.

2) კალცის წილა (CaO) დამწვარი კირი, Окись кальция.

4) თუთიას წილა (ZnO) დამწვარი თუთია, Окись цинка.

5) სინდიუის წილა (HgO) დამწვარი ვერცხლის წყალი, Окись ртути.

6) სპილენძის წილა (CuO) დახოსტაკი, Окись мѣди, დამწვარი სპილენძი.

7) ტყვიის წილა (PbO) მურდასხვია, Окись свинца.

8) რკინის წილა და სხვ....

შე ქიმიკოსი არ გახლავართ*) და მით უმეტეს არც კრიტიკოსი. მე მხოლოდ უნებრე ვაღს ვინდი სამშობლო სამეცნიერო ლიტერატურის წინაშე. რაც მისწავლია და რაც ვიცი მსურს განუზიარო მთავალ თაობას, მასალა მივცე ახალგაზდა მშრომელს, — დარ გაუხდეთ სწავლებლად ის, რაზედაც მე ვეწვალე.

ბოლოს... აი კიდევ ჩემი ანდერძი. დიდი ხნის კვლევა ძიებამ, ქიმიის შესწავლამ და 25 წლის გამოცდილებამ ქართულს სამეცნიერო მწერლობაში, გამაბედვინა ქვემო მოყვანილ სიისთვის ქართულის დამატება. მე დრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამაზედ საუკეთესოდ ქართულის შეფერება უფლად შეუძლებელია. ამიტომ მეცნიერების სახელით ვთხოვ და ვეველას ვავალებ ნუდარაფერს შესცვლიან, შებღალავენ ამ სიაში მოყვანილს ქართულს ტერმინებს. ერთხელ და საშუადამოთ მოფრჩეთ და დავამუაროთ.

ვინც მართლად და ქართველი ხართ, ვისაც გუელი შეგტოვიათ და გიუვარსო ქართული სამეცნიერო ლიტერატურა, თუ რამე უნარი გაქვს, გეკედრებით ახლავე ამოიღოთ ხმა, თუ რომ უკეთესი რამ შეგიძლიანთ შემოსწიროთ სამშობლო სამეცნიერო ტაძარს.

ს ი ა

ქიმიუ ელემენტებისა ანუ ბუნების მარტივ სხეულებისა და მათი სახელები ლათინურად, ქართულად და რუსულად.

ლითონიდები. Металлоиды.

1. Hydrogenium, წყალბადი H, Водородъ, Водотворъ.
2. Chlorum, ხლორი Cl, Хлоръ.
3. Bromum, Bromium, ბრომი, ბრომიუმი Br, Бромъ.

*) თუმცა პროფესორმა ქიმიისში cum eximia lauda (ქებითი ნიშანი 5) დამიწერა, მაგრამ ეს კიდევ ქიმიკოსობას არ ნიშნავს.

4. Jodum, Jodium, Jodina იოდინი J, Иодъ.
5. Fluorum, Fluor, ფლოური F. Фторъ.
6. Oxygenium, ოსიგენი, ჟანგბადი O. Кислородъ.
7. Sulfur, გოგირდი S. Сѣра.
8. Nitrogenium, Azotum, აზოტი N. Азотъ.
9. Phosphorus, ფოსფორი P. Фосфоръ.
10. Carbolnium, ნახშირბადი C. Углеродъ, Углетворъ.
11. Bortum, Boronium, ბორინი B. Боръ.
12. Silicium, სილიცი, სილიციუმი Si. Силицій, Кремній.

ლითონები. Металлы (ბერძნ.)

13. Kalium, Potassium პოტასი K. Калий, Потасій.
14. Natrium, Sodium, ნატრი Na., Натрій.
15. Lithium, ლითი Li. Литій.
16. Barum Barytium, ბარიტი Ba., Барій.
17. Strontium, სტრონცი Sr., Стронцій.
18. Calcium, კალცი, Ca. Кальцій.
19. Magnesium, Magnium, Ialcium, მაგნი Mg., Магній, Магnezій.
20. Aluminium, Alumium, ალუმი Al., Алюминій, глиний.
21. Manganum, მანგანი Mn. Марганецъ.
22. Zincum. თუთია Zn., Цинкъ.
23. Ferrum, Mars, რკინა Fe., Желѣзо.
24. Niccolum, ნიკელი, ნიკოლი Ni., Никель.
25. Cobaltum, კობალთი Co, Кобальтъ.
26. Cadmium, კადმი Cd., Кадмій.
27. Cuprum, Aes, Venus, სპილენძი Cu. Мѣдь.
28. Bismuthum, Marcasita, ბისმუთი Bi. Висмутъ.
29. Plumbum, Saturnus, ტყვია Pb. Свинецъ.
30. Hydrargyrum, Mercurius, მერკური, სინდიცი, სინდიცი Hg., Ртуть. (Argentum vivum, ვერცხლის წყალი).
31. Argentum, ვერცხლი Ag., Серебро.
32. Aurum, ოქრო Au., Золото.
33. Platinum, პლატინი Pt., Платина.
34. Stannum, კალა Sn., Олово.

35. Stibium, Antimonium, ანტიმონი Sb., Сурьма.

36. Arsenium, მარგამუშვი, As., Мышьяль.

37. Chromium, ხრომი Cr. Хромъ.

დაჩა კიდე 30—35 იშვიათი ელემენტი, რომელთაც სახელები კვლავ ღათინურ ენაზე დასწათეს და აღარაგინ არ სთარკმნის, პირდაპირ ისევე აქვთ მიღებული უკვლას თაგანთ ლიტერატურაში. მაგალითად ახლად აღმოჩენილი რადიი ანუ რადიუმი განა რეგორდაუნდა ითარკმნის.

ილ. ალხაზიშვილი.

22 ოქტომბერი 1913 წ.

ჯავახეთი.

P. S. გავათავე ეს წერილი, მაგრამ გული არ მიძლებს არ გავუზიარო მკითხველს ის უცნაური შთაბეჭდილება, რომელიც ამ წიგნმა კიმიამ ჩემზედ მოახდინა. ვინც ჩემსაებ მოცლილი ხართ, აბა ერთი აიღეთ და გადაფურცლეთ პირველი 1891 წლ. გამოცემა ი. ა. მანსვეტოვის სტამბაში დაბეჭდილი და შეადარეთ მეორე გამოცემასთან 1907 წლ. დაბეჭდილი წიგ. გამ. ქართ. ამხა—სა. დიად, ზოგჯერ თურმე ჩხირკედელობაც კარგი უფილა.

1) კორექტურული შეცდომები, რომელნიც ნახვენებია წიგნის ბოლოში პირველ გამოცემაში (რიცხვით შვიდი), უკვლავ ეს შეცდომები სუვევლავ განმეორებულია მეორე გამოცემაშიაც კარდა პირველისა (იხ. მეოთხე სტრიქონი სიტუვა სინამ ახალში გასწორებულისა სანამ). ახალს გამოცემაში ნახვენებია მხოლოდ ოთხი შეცდომა. რათა? რატომ ექვსი შეცდომა არა? ახალში მითომ ახალი შეცდომა მომხდარა დაბეჭდილია He უნდა იყოს Hce. მაგრამ ამავე შეცდომას სწორედ იმ

აღაკზე პირველ გამოცემაშიაც იზავით. გაგიგონათ ამისთანა ხიფათი?!

2) ჩვენს დალოცვილს, საკვირველებათი მდიდარს მეორე საუკ. რა არა ხდება. მაგალითად სტამბის ტექნიკა თურმე იქამდე განვითარებულია, რომ პირველ გამოცემის სტამბის დეფექტებიც კი ფოტოგრაფიულ სინამდვილით არის გამოკრებული. გეგონებთ აწეობილი შრიფტი 16 წალიწადი შეინახეს და მერე კი ქაღალდი და მისი ჯანი. მხოლოდ დასწეისი 2—3 ფურცელი და ბოლოს ფურცლის შეცვლილი დანარჩენი კი საკვირვლად ერთგულად არის განმეორებული:—სტამბის მოხაზულებას თუ სადმე ნირი შეშლია ან გაწედა, სტამბის ბოლოში თუ რა ხაზი (კონტრავა) სადმე გაწევეტილა ერთის სიტუვით სტამბის რა დეფექტსაც დამისახელებთ პირველ გამოცემაში იმსვე იმავე სახით „გაფურცებულს“ შეშლილს ფოტოგრაფიულ სინამდვილით იზავით მეორე გამოცემაშიაც—სწორედ იმავე ადგილზე. ჩვენს გასაკვირველს ვართ, რატომ ჯეროვანი უურადდება არ მიაქცია გამომცემელმა ამ უსიამოვნო მოვლენას. უთუთთ აქაც ქართულ დაუდევრობამ დასძლია: „ღარი გაიტანს“ რაღა უფლებით სხვას ვუსუვედურებთ ჩვენს გადაგვარებს ცდილობენ ამაზე მეტი გადაგვარება იქნება, რადეც სამეცნიერო ლიტერატურასაც კი ასე აბუხად იგდებენ. მერე?.. ვინ ამოიღო ხმა ამ ექვს წელიწადში?

ი. ალხაზიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ზოცვაძე.



სნობაპი

ქ. შ. წიგნ-პითხვის გამავრსელებ. საზოგადოების მოქმედებისა.

სარევიზიო კომისიის მოხსენება საზოგადოების კრებისადმი

„საზოგადოების“ წესდების მე-15 მუხლის თანახმად არჩეულმა სარევიზიო კომისიამ განიხილა საზოგადოების გამგეობის მიერ შედგენილი ანგარიში «ქ. შ. წ.-გ. გამავრც. საზოგადოების» 1912 წლის მოქმედებისა და მოახსენებს კრებას: ა) ეს ანგარიში სწორედ არის შედგენილი და იქ გამოცხადებული ბალანსი, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ნუსხაც „საზოგადოების“ დავთრებისა და საბუთების თანახმად გამოყვანილი და ბ) გამგეობის მიერ ნაანგარიშევი „საზოგადოების“ ნაღდი ფული და სარგებლიანი ქალაქები უკლებლივ ინახება ბანკებში.

ამასთანავე კომისია მიაქცევს საზოგადოების წევრთა ყურადღებას ანგარიშის შემდეგ ადგილებზე:

1) წიგნის მალაზია და სწეობა. წარსულ ანგარიშში აღნიშნული შენიშვნები საანგარიშო წელში გამგეობას შეუსრულებია: წიგნის მალაზიაში წეს-რიგია შემოღებული, არეულ-დარეულობა აღარა სჩანს; სრული ინვენტარი შეუდგენიათ და იმით მალაზიის მდგომარეობის ვითარება ყველას ადვილად შეუძლია შეიტყოს. რაც შეეხება სწეობას, აქაც შედგომიან წეს-რიგის შემოღებას, მაგრამ ეს საქმე ჯერ დასრულებული არა აქვთ.

კარგი იქნებოდა, „საზოგადოებამ“ წიგნის მალაზია უფრო მოხდენილ ადგილას გადაიტანოს. ამის შესახებ მალაზიის გამგეს კიდევ მიუცია თავისი მოხსენება გამგეობისათვის, რომელსაც ამ საქმის გამოკვლევა ცალკე კომისიისათვის დაუვალებია.

2) სკოლები (გვ. 65) საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლების შესახებ ანგარიშები საკმაოდ ვერ ასურათებენ „საზოგადოების“ სკოლათა ნამდვილ მდგომარეობას, ე. ი. რევიზორების ანგარიშები სკოლების ნაკლსა თუ ღირსებას ისე დაწვრილებით არ აღნიშნავენ, რომ მკითხველმა სკოლათა მდგომარეობა ცხადად

წარმოიდგინოს. ამას გარდა დავუკვირდეთ რევიზორების ანგარიშებს და იქიდან უთუოდ იმას ამოვიკითხავთ, რომ ჩვენი სკოლების მდგომარეობა, როგორც სწავლისა, ისე ნივთიერების მხრივაც, წლითი-წლობამდე უარესდება. ასე იყო აღნიშნული წარსულ ანგარიშშიც, იგივე უნდა აღვნიშნოთ დღესაც. ამის მთავარ მიზეზად „საზოგადოების“ ნივთიერი უსახსრობა უნდა დავასახელოთ. ამითი უნდა ავხსნათ ის გარემოებაც, რომ ჩვენი „საზოგადოების“ სკოლებს მასწავლებლები ვერ შერჩენილან, რადგან ჩვენ ნივთიერ სიღარიბეს ვერ უძლებენ და პირველ შემთხვევისათვის გაუბრუნდებიან.

ნივთიერ ხელ-მოკლებობისათვის წყალობით უნდა აიხსნას ისეთი სამწუხარო მოვლენა, რომ სოფ. გიორგი-წმიდაში 1908 წლიდან ჩვენი „საზოგადოების“ დახმარებით და ამის ხელმძღვანელობით ინახებოდა შარშანამდე სკოლა, შარშან კი სოფელს დირექციისათვის მიუმართნია და უთხოვნია, მასწავლებლის შესანახი ხარჯები ხაზინამ შემოგვაწიოსო. დირექციას ეს სათხოვარი შეუწყნარებია და სკოლაც თავის გამგებლობაში მიუღია. ამნაირად ჩვენი „საზოგადოება“ გიორგი-წმინდის სკოლას ჩამოშორებია.

3) წიგნთ-საცავი და მუზეუმი „საზოგადოებისა“ (გვ. 10) დღეს მოთავსებულია ქართულ გიმნაზიის შენობაში და უჭირავთ ზემო სართულში მშვენიერი სამი ოთახი. უხერხულად მიგვაჩნია წიგნთ-საცავისა და მუზეუმის ერთმანეთში არევა, საჭიროა ერთი მეორეს მოშორდეს და თავ-თავისი ცალკე ოთახი ჰქონდეს მიჩენილი ერთსაც და მეორესაც.

ბევრი წიგნი აუკაზმავია. შეაფები ცოტაა, ამიტომ წიგნები შეაფებში ორიგად აწყვია და ეს დიდად ხელს უშლის საჭირო წიგნის დროზე მოძებნას.

მუზეუმის ნივთებიც ჯერ-ჯერობით ბლომად ფანჯრებზე დალაგებული აგრეთვე შეაფების უქონლობის გამო. ეს ნაკლიც დროზე უნდა შესწორდეს.

ძველი ფულის შესანახად საჭიროა ვიტრინების შექმნა. მუზეუმის ნივთები ნომრებით აღნიშნულია და თავ-თავის რიგობაზე მწყობრად დალაგებული. აგრეთვე რიგზე დალაგებულია ძველი ფულბიიც.

ერთი გარემოებაც უნდა აღვნიშნოთ: წიგნთ-საცავში ჩვენ ვნახეთ იმათი სია, ვისაც ამ საცავიდან დროებით სახმარებლად წიგნები წაუღიათ. ამათში ისეთებიც არიან, რომელთაც ათ წელიწადზე მეტია წიგნები წაუღიათ და „საზოგადოებას“ აღარ უბრუნებენ. საჭიროა „საზოგადოებამ“ ეს წიგნები დროზე დაიბრუნოს.

4) საგურამოს მამული (გვ. 103) ამის შესახებ „საზოგადოებას“ შარშან მოვახსენეთ და წელსაც იმასვე ვიმეორებთ, რომ საჭიროა ეს საქმე ადგილობრივად გაიცნოს განსაკუთრებულმა კომისიამ, სადაც სამეურნეო საქმეების მკოდნე კაცები უნდა იქმნენ მოთავსებული. მეტად საგულისხმიერო და თან რთული საგანია საგურამოს მამულის მოვლა-შენახვის საქმე და ამისათვის გულ-დასმით დაკვირვება და გამოკვლევა საჭიროა.

5) სტაჰენდიების (გვ. 104—114) შესახებ შარშანდელ ანგარიშის გამო წარმოთქმული მოსაზრებანი დღეისთვისაც უცვლელად რჩება. ამას გარდა, როგორც გამგეობის საქმეებში აღმოჩნდა, ისეც მომხდარა, რომ გამგეობას დახმარება „უღ-

როოდ და შემთხვევით“ აღმოუჩენია იქ, სადაც „სხვა უფრო გაჭირვებულნი ყოფილან შეღარებით“.

ოცდა მეთხუთმეტე წელიწადში ჩადგა ჩვენი „საზოგადოება“. ერთის თვალის გადავლებით რომ შევხედოთ ამ ხნის ჩვენი „საზოგადოების“ მოღვაწეობას, გულ-ახდილად უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავარი იმისი დანიშნულება — ხალხში პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლების გავრცელება — იმდენად ვერ აგვისრულებია, რომ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ჩვენი მოღვაწეობის დალი დაგვედო. რა თქმა უნდა, ამას ბევრი გარეშე მიზეზი წინ ელობებოდა და კიდევ ელობება, მაგრამ ისიც არ უნდა დაფაროთ, რომ ბევრში ჩვენი ფხა და უნარიც ვერ გამოვიჩინეთ და დაუდევრობაც დიდი დაგვეტყო.

სარევიზიო კომისიის წევრნი } ანდრია ღუჭავაძე.
 } დიმიტრი ღუმბაძე.

7 ნოემბერი 1913 წ.

სარევიზიო კომისიის მოხსენების გამო გამკეობა საჭიროდ სთვლის მოახსენოს საზოგადოების წევრთა კრებას შემდეგი:

1) წიგნის მღაზიის უკეთ მოწყობა შეადგენს გამგეობის ერთს უმთავრესს საზრუნავს. მას ხშირად ჰქონია ბჭობა მღაზიის სხვა, უფრო მარჯვე, ადგილზე გადატანის შესახებ, მაგრამ საბოლოოდ ვერ გადაუწყვეტია ეს საკითხი იმის შიშით, რომ ვაი თუ ხარჯებმა იმდენად იმატოს, რომ მოგება ნაკლები დარჩეს საზოგადოებას, ვიდრე ახლა აქვს. იყო აზრი, რომ შემოსავლის გასადიდებლად, ქართული წიგნების გარდა, გვექონოდა მღაზიაში გასაყიდად რუსული სახელმძღვანელოები და სამწერლო ნივთებიც კი, მაგრამ ამ აზრის განხორციელება დააბრკოლა იმ მოსაზრებამ, რომ ასეთს ვაჭრობას დიდის თანხის დატრიალება დასჭირდება და არც დარწმუნებით ითქმოდა, რომ ესეთი ვაჭრობა უთუოდ მოგებას მოსცემდა საზოგადოებას.

2) სკოლეები. სკოლების შესახებ საზოგადოების ანგარიშში მოხსენებულია არსებითად ყველა საჭირო ცნობები, ამოკრეფილი რევიზორების ვრცელის ანგარიშიდან. ეს ვრცელი და უფრო დაწვრილებითი ანგარიშები რევიზორებისა დაბეჭდილია „წერა-კითხვის საზოგადოების ცნობებში“, რომლებიც იბეჭდება „განათლების“ დამატებად; არა გვგონია, ამ „ცნობებიდან“ მკითხველი იმ დასკვნამდის მივიდეს, რომ „სკოლის მდგომარეობა ცხადათ ვერ წარმოიდგინოს“.

შეუძლებელია ანგარიშების დაწვრილებით გაცნობით ვინმე მივიდეს იმ დასკვნამდის, რომ „ჩვენი სკოლების მდგომარეობა, როგორც სწავლისა, ისე ნივთიერის მხრითაც წლითი-წლობაზღე უარესდებოდეს“. თვითეული სკოლის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება; სადაც საჭიროდ ხედავს და ღონის ძიება ხელს უწყობს, გამკეობა ცდილობს სასკოლო შენობის აგებას, — საანგარიშო წელს ააგო

საკუთარი შენობა ს. ყალამშაში. მართალია უსახსრობა საზოგადოებას ხელს უშლის მიზნის უფრო ნაყოფიერად განხორციელებაში, მაგრამ იშვიათი მაგალითი ყოფილა, რომ ჩვენი სკოლებიდან მასწავლებლები გაქცეულიყვნენ. მართალია ძირითადი ჯამაგირი 30 მანეთი თვეში მასწავლებლისათვის მცირეა, მაგრამ საზოგადოება მასწავლებლებს ყოველი სამი წლის სამსახურის შემდეგ უმატებს წლიურად 60 მანეთს და ასე შეძლებისდაგვარად უზრუნველ ჰყოფს მათ.

გიორგი წმინდის სკოლის შესახებ გამგეობა მოგახსენებს შემდეგს: ეს სკოლა გაიხსნა იმ პირობით, რომ ყოველსავე ხარჯს, გარდა სახელმძღვანელო წიგნებით დახმარებისა, სოფლის 'საზოგადოება კისრულობდა. ბოლოს სოფელმა ვეთხოვა სასკოლო შენობის აგებაც და მასწავლებლის ჯამაგირიც, ე. ი. მთელი საჭირო ხარჯი სკოლის შესანახად. სკოლის გახსნა და შენახვა ისეთს ადგილას, სადაც სხვა სკოლებიც საკმაოდ არის, როგორც გიორგიწმინდა და საგარეჯოა, და ამავე დროს უზრუნველობა ისეთს ადგილებში, სადაც სკოლის ხსენებაც კი არ არის, არ შეადგენს წერა-კითხვის საზოგადოების უპირველეს მიზანს. ამის მიხედვით გამგეობამ ვერ დაინახა საჭირო გიორგიწმინდაში სკოლა შეენარჩუნებინა და უმჯობესად სცნო თავისი მცირე საშუალებით დახმარება გაეწია ჩვენი სამშობლოს უფრო მიყრუებულს კუთხისათვის. რასაკვირველია ღირექციას ყოველთვის მეტი სახსარი აქვს სკოლებისათვის და იქ, სადაც ღირექცია საქმეს გამოიწყებს, ჩვენი შეცილება, უსახსრობის გამო, შეუძლებელია.

3) გამგეობამ წიგნთ-საცავი და მუზეუმი მოათავსა გიმნაზიის ზეჰო სართულში საანგარიშო წლის ზაფხულის დამდეგს, და შეუდგა მათ შემოწმებას და რიგზე მოყვანას. ბოლოს გიორგობისთვის, როდესაც დააწესა მოსამსახურე პირთა შტატი, შესაძლებელად დაინახა მათი გახსნა ყველასთვის, ვისაც უნდოდა შესწავლა და გაცნობა ჩვენის გონებრივის საგანძურისა. ყოველდღე დილის 9 საათიდან ნაშუაღღევის 3 საათამდე ღიაა წიგნთ-საცავ-მუზეუმი და სწარმოებს მეცადინეობა ხელის შეუშლელად და მშვიდობიანად ფართო და ნათელს ბინაზე იმ პირთა, რომელთაც აინტერესებს ესა თუ ის მხარე ჩვენის ცხოვრებისა თუ მწერლობისა. სამეცადინოდ შემსვლელთა და მათგან მოთხოვნილთ წიგნთა და ხელთნაწერთა რაოდენობის ასანუსხავად შემოღებულია დავთარი, საიდგანაც სჩანს, რომ რვა თვის განმავლობაში ყოფილა ჩვენ წიგნთ-საცავში სამეცადინოთ შემსვლელი 439, რომელთაც მოუთხოვნიათ და უხმარიათ 831 ხელთნაწერი თუ წიგნი. ამნაირად გამგეობა წიგნთ-საცავს ასრულებინებს მის უმთავრესს დანიშნულებას—ხელი შეუწყოს ჩვენის ცხოვრების და მწერლობის შესწავლას. ამასთან ერთად ამ ერთის წლის განმავლობაში აინუსხა და ჩაიწერა ყველაფერი, შესდგა სამუზეუმო ნივთების კატალოგი, ცნობაში მოყვანილი იქმნა და გაირჩა სანუმისმატიკო კოლექცია. აგრეთვე ცნობაში მოყვანილ იქმნა და აინუსხა სურათები. მართალია რევიზორების შენიშვნაც, რომ ბევრი წიგნი დაუკაზმავია, შკაფებში სივიწროვეა, ვიტრინები და თაროები გასაკეთებელია და მუზეუმი გამოსაცალკევებელია განსაკუთრებულს ოთახში წიგნთსაცავის გვერდით. გამგეობას ყველა ეს უხერხულობა და საჭიროება გათვალისწინებული აქვს და მათი შესწორება და დაკმაყოფილება შედის მო-

მავლის წლის მის მოქმედების გეგმაში, ისე როგორც შესაფერის ზომის მიღება, რომ დავვიბრუნდეს წიგნები იმ პირთაგან, რომელთაც დიდი ხანია წაუღლიათ და ჯერ არ დაუბრუნებიათ. მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ მოუთხოვნია გამგეობას.

4) საგურამოს მამულის შესახებ გამგეობამ შარშანაც გამოაცხადა და ახლაც აცხადებს, რომ იგი სიამოვნებით ეგებება რევიზორების წინადადებას—განსაკუთრებულმა კომისიამ გაიცნოს ადგილობრივად საქმე.

5) რევიზორების სიტყვები, ვითომ გამგეობას დახმარება „უღროოდ და შემთხვევით“ აღმოეჩინოს იქ, სადაც „სხვა უფრო გაჭირვებულნი ყოფილან შედარებით“, გამგეობისთვის გაუგებარნი არიან და ამიტომ შეუძლებლად მიაჩნია რამე თქვას მათ საპასუხოდ.

თავმჯდომარე: გ. ნ. უაზბეგი.

თავმჯდომარის ამხანაგი ა. ბ. მდივანი.

გამგეობის წევრნი:	}	დ. გ. კარიჭაშვილი
		გრ. ს. რცხილაძე
		ლ. გ. ბოცვაძე
		იბ. ზ. ვართაგავა
		ფ. ბ. მკელაძე.

11 გიორგობისთვის 1913 წ.



ო ქ მ ი

საზოგადო წევრთა კრებისა 1913 წ. 14 გიორ.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ნ. უაზბეგმა 12 საათზე და ±5 წუთზე, დაესწრო 75 წევრი; ამათში 7 წევრი გამგეობისა, 11 წარმომადგენელი განყოფილებათა: კავკასის—ი. შვილევი; გორის—თ. რაზიკაშვილი, ჭიათურის—ა. მითაიშვილი და კიტა აბაშიძე, განჯის—გ. კვიციანი, სიღნაღის—ნ. ჯანდიერი, სამტრედიის—მ. ტორაშვილიძე, ლიხუის—გ. ურუშაძე, სოხუმის—ნინო თურქია და გ. მახარაძე, ბათუმის—დ. სიგუა.

თავმჯდომარე მიესალმა კრებას, მადლობა გამოუცხადა უურადღებისა და თანაგრძობისათვის და აღნიშნა, რომ დღეს ჰიკრებად ესწრებიან წ. კ. საზოგადოების კრებას განყოფილებათა ოფიციალური წარმომადგენლები; ამის შემდეგ თავმჯდომარემ კრებას მოახსენა: „წიგნების დედა ჩვენი კრება უნდა დავიწყეთ სამწესიერო ხსენებით ჩვენი საზოგადოების“

კადრცვალებულ წევრთა: ალ. ხახანაშვილის, ეგნატე ხრამელაშვილის, არჩილ ჯორჯაძის და ანტონ ფურცელაძისა“.

„ამ განსვენებულებმა დაიმსახურეს ჩვენი პატივისცემა თავიანთი ნაყოფიერი მუშაობით საზოგადოების სასარგებლოდ. ამას გარდა ა. ხახანაშვილმა შემოსწირა წ. კ. საზოგადოებას მთელი თავისი ქონება, რომელიც, თუმცა ჯერ სავსებით გამოკვეული არ არის, მაგრამ როგორც დაახლოებით ვიცით, 40 ათას მანეთს აღემატება. ხოლო ეგ. ხრამელაშვილმა და არ. ჯორჯაძემ შემოსწირეს თავიანთი ნაწერები და თხზულებანი.—წელს შესრულდა 25 წელიწადი კავკავის სკოლის გახსნის შემდეგ. მივულოცოთ, პატრონო, კავკავის განყოფილების წარმომადგენელს ეს დღესასწაული და პატივისცემით მოვიგონოთ ჩვენის საზოგადოების გამრჩენილი მუშაკი—მიხეილ ზაალის ძე უიფიანი, რომელმაც თავის უსტარო შრომით შექქმნა ეს სკოლა“.

„საუკუნოდ იყოს ხსენება მოხსენებულ პირთა ქ. შ. წ. კ. გამაგრებულელი საზოგადოების ისტორიაში“.

კრებამ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა მოხსენებულ პირთა ხსენას.

თავმჯდომარემ გამოაცხადა შემდეგი წეს-რიგი კრებისა: 1) მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიის 1912 წლის ანგარიშის შესახებ, 3) გამგეობის პასუხი სარევიზიო კომისიის მოხსენების გამო, 4) ანგარიშის გარჩევა და დამტკიცება, 5) ინსტრუქციის გარჩევა და დამტკიცება, 6) სვარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1913 წლისა და 7) ახალ წევრთა მიღება.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ა. დულაძემ უსაუვედურა გამგეობას, რატომ განცხადებებში სარევიზიო კომისიის მოხსენება არ იყო აღნიშნული. მისი აზრით გამოცხადებული წეს-რიგი კრებისა უნდა შეიცვალოს და პირველად უნდა წაკითხულ იქმნას სარევიზიო კომისიის მოხსენება.

თავმჯდომარე: ჩვენი უფლებას წეს-რიგი დაფაწესოთ და თქვენი მოთხოვნა იქნება შეტად მიგვაჩნია. ა. დულაძე ისევ თხოულობს სიტყვას წეს-რიგის შესახებ. თავმჯდომარე ნებას არ აძლევს.

ი. რამიშვილი კითხულობს, რატომ იღიასეული ტფილისის მამულის შესახებ არა არის რა მოხსენებაში.

ოლღა ალღაძე თხოულობს დღესვე გაიჩქეს საკითხი იღიასის სახლის შესახებ. მას გაკებული აქვს, რომ გამგეობამ ბანკში თხოვნა შეიტანა და სახლის გაყიდვა შეაჩერებინა. საჭიროდ მიანია ვიცოდეთ, რა მდგომარეობაშია ახლა ეს საქმე.

თავმჯდომარის ამხანაგი ალ. მდივანი ამოწმებს, რომ გამგეობის თხოვნით ბანკმა სახლის გაყიდვა შეაჩერა. მართალია, ქალები შეგვიპირდნენ დახმარებას და ფულის შეგროვებას, მაგრამ თუ რამე გააკეთეს, არ შეუტუბობინებიათ, წ. კ. საზოგადოებას კი თავისუფალი თანხა არა აქვს.

გამგეობის წევრის შ. მიქელაძის აზრით კარგი იქნება ამ საკითხის შესახებ მსჯელობა ვიქონიოთ მაშინ, როცა საგურამოს მამულის შესახებ გვექნება ბასი. კრება დაეთანხმა ამ წინადადებას, და თავმჯდომარის განკარგულებით საქმის-მწარმოებელმა წაიკითხა მოხსენებები იმ რიგზე, როგორც ეს ზემოთ არის აღნიშნული.

თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას გამოსთქვან თავის აზრი მოხსენებათა შესახებ.

გერასიმე იმნაიშვილს უკვირს, რატომ ანგარიშში არ არის მოხსენებულად, ასწავლიან სკოლაში სამართალ სწავლას თუ არა და თუ ასწავლიან, ვინ ასწავლის. მოითხოვს, რომ შემდეგში ეს ნაკელი გასწორებულ იქმნას.

თავმჯდომარე ეს ანგარიშს შეეხება. მე გთხოვთ ჯერ მოხსენების შესახებ ილაშქროთ და მერე ანგარიშისა. ხოლო თუ მოხსენების შესახებ არავის აქვს სათქმელი, მაშინ ანგარიშზე გადავიდეთ.

შალვა მესხიშვილის აზრით, რადგან საწევრო ფულის შემცირების შესახებ ანგარიშში არაფერია, სჯობს ახლა ვილაშქროთ ამის შესახებ. მას არ ესმის, რას ნიშნავს გამგეობის მხრივ მოხსენება ასეთი რთული საკითხის შესახებ. ეს საკითხი ალბად კომისიის უკანასკნელ კრებაზე გაიჩნა, რომელსაც ის, სამწუხაროდ, ვერ დაესწრო; თხოვლობს აუხსნან, რატომ წინად არ მიაწოდეს კომისიას გასარჩევად ეს საკითხი.

ალ. მდივანი. მართალია, კომისიის მხოლოდ უკანასკნელ კრებაზე გადაწულა ეს საკითხი. წინა კრებებზე კომისიამ შეუძლებლად დაინახა წესდების შეცვლა, და ამიტომ არ გარჩეულა ბოლომდის. წერილმანი შეტყვალა კი შეუძლებლად მიგვაჩნია დღევანდელ პირობებში. მეტი სიფრთხილი გვმართებს, ჯერ ისიც არ ვიცით, როგორ დაბოლოვდება კავის და ქუთაისის საქმე.

ამას მოჰყვება გრძელი კამათი ამ საკითხის შესახებ. **შ. მესხიშვილი**, **ი. რამიშვილი**, **დ. ხართიშვილი**, **ბ. ჯაფარიძე**, **პ. ბეგეიშვილი** და **ჭანტურია** ამტკიცებენ, რომ აუცილებლად საჭიროა საწევრო ფულის მანეთად შემცირება. მაშინ ჩვენს საზოგადოებაში შემოვა ფართო მასსა, რომელიც შემოიტანს მეტ ძალას, გააცხოველებს მოქმედებას და საზოგადოების საქმიანობასაც მეტ სიფრთხილეს მისცემს. გარდა ამისა ხალხის აქ შემოსვლას, მათ მონაწილეობის მიღებას საზოგადო საქმეში აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება; ამიტომ უმჯობესია 3000 მანეთიანი წევრი იყოს, ვიდრე 1000 წევრი სამ მანეთიანი. ზოგს უშინა ხალხისთვის ფართო კარების გაღება; ფიქრობენ, ვითომც ამით რაიმე საფრთხე ემართება მანეთი იქნება საწევრო ფულის მცირე ცვლილებას. მცირე ცვლილებას საშიში არ არის; მთავრობისთვის ისევე ძვირად ღირს, მაგრამ ეს ხომ სადათს ძილი იქნება; საჭიროა ერთხელ და სადათს მუდამოდ თავი დაუხსნოთ სადათს ძილი. გამგეობა მოვალე იყო ეს საკითხი კარგად შეესწავლა და გრძელი მოსაზრება წარმოედგინა საზოგადო კრებისთვის, მაგრამ მან ეს არ დასრულა; გამგეობა არ ასრულებს კრების დაუფლებას ისე, როგორც ამას კრება მოითხოვს. ისე კი ეტყობა, რომ უკუა დაუმხრეს საწევრო ფულის შემცირებისა. ამიტომ სჯობს ახლავე გადასწვდეს ეს საკითხი. ამასთანავე ხართიშვილმა წარმოადგინა ციფრები, თუ რამდენი წევრი აკლდება საზოგადოებას უოველ წლებით და აქედან ის დასკვნა გამოიყვანა, საწევრო უნივერსიტეტი მოჰყავს მაგალითად, მაშინ არ დააკლდებოდნენო. ზოგს სხვადასხვა მასსა მაინც არ ეწერება. ეს საბუთი აქ მოსატანი არ არის, რადგან იქ სხვა უდგომარეობაა. აქ სხვაა. **წ. ბ. საზოგადოების** სხვა ტრადიციები აქვს და მეტი სიმზავთა და სიუყარული მოხატუბულია.

ივ. კატიშვილის, ს. ტარუაშვილის, კიტა აბაშიძის, შ. მიქელაძის, ვასილ რცხილაძის, ი. როსტომაშვილის და დ. კარიჭაშვილის აზრით დღეს ისეთი პირობებია, რომ წესდებაში მცირედი ცვლილების შეტანაც კი სახიფათოა; საწევრო ფულის შემცირება ხომ უთუოდ წესდების შეცვლას გულისხმობს. წინადაც საწევრო ექვსი მანეთი იყო, მუდამ თხოვლობდნენ, რომ ეს გადასახადი განახევრებულიყო. გამგეობა და საზოგადოების წევრთა უმრავლესობა მუდამ დიდის სიფრთხილით ეკიდებოდა ამ მოთხოვნის და შესაფერ დროს უცდიდა. აკი, როცა დრო დადგა შესაფერი, წესდებაშიაც შევიტანეთ ცვლილება და საწევრო ფულიც შევამცირეთ.

შემდგარია ის, ვინც ფიქრობს, რომ ვითომ ვინმეს ხალხის შემოსავლის კშინობდეს; აბა ვინ იქნება იმისთანა, რომ ფართე მასხას ერიდებოდეს, ხალხს გაუბობდეს, იმისი წინააღმდეგი იყოს? ეს პირდაპირ შეურაცხყოფაა. მაგიდენ კრებებზე, მიიღონ მონაწილეობა საქმეების განხილვაში, დამშლედი აზრები აცხადონ. საწევრო ფულის შემცირებას შესაძლებელია მოჰყვეს ცუდი შედეგი: მთავრობა დიდ შურადლებას აქცევს იმას, თუ რამდენია საწევრო ფული, რადგან ამასზე დამოკიდებული თვით საზოგადოების შემადგენლობა. ამისთანავე არც ისე დიდი გადასახადია სამი მანეთი. საქმე თანაგრძობაა, საჭიროა მოვალეობის შეგნება ერთგულ წინმსვლელობისადმი. ის სჯობია, ვეცადოთ ხალხში მეტი მეტი შეგნება შევიტანოთ. ბევრი მაგალითობა იმისი, რომ თუმცა მანეთია გადასახადი საწევრო, მაგრამ ფართე მასხა მაინც და მაინც ისე არ ეტანება, როგორც ფიქრობენ. ავიღოთ მაგალითად სახალხო უნივერსიტეტები ტფილისში და ჭიათურაში. პირველად ბევრი ჩაწერა, შემდეგ წევრთა რიცხვი საკრძობლად შემცირდა; ამ ბოლო წლებში წევრების რიცხვი ხან კლებულობს, ხან მატულობს, ამიტომ შეუძლებელია დარწმუნებით ითქვას, რომ წ. კ. საზოგადოებამ თუ მანეთი განადა საწევრო, წევრთა რიცხვი მუდამ მატებაში იქნება. ამიტომ სჯობია საწევრო ფული ისევე სამი მანეთი დარჩეს, ჯერ-ჯერობით მაინც.

თავმჯდომარემ საკითხი გამოკვეთულად გამოაცხადა და კენჭი უყარა შემდეგ წინადადებას: „დღევანდელ პირობებში საზოგადო კრება შესაძლოა სცნოს საწევრო ფულის შემცირებას, თუ არა?“

კენჭის ყრავში მონაწილეობა მიიღო 61 წევრმა, 14 წასულიყო. 47 ხმით წინააღმდეგ 14 ხმისა, კრებამ დაადგინა: „დარჩეს საწევრო ისევე სამი მანეთი“.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას—განიხილონ ანგარიში მუხლობრივ.

1. განყოფილებების შესახებ.

შ. მესხიშვილმა იკითხა, რით აიხსნება, რომ სიღნაღის განყოფილებას არ უმცქმედნია საანგარიშო წესს.

განყოფილ თავმჯდომარემ **ნ. ჯანდიერმა** უპასუხა: „იმით, რომ მოქმედება გვიან დავიწყოთ და არავითარი სახსარი არ მოგვეპოვებოდა, რომ ცოტათი მაინც დაგვემჩნია კვალი“.

2. სკოლების შესახებ.

სარევიზიო კომისიის წევრნი **ა. ლულაძე** და **დ. ლუმბაძე** იმეორებენ, რომ სკოლების მდგომარეობა უნუგეშოა; მასწავლებლები გარბიან, რადგან არც ჯამაგარი აქვთ შესაფერი და თვით სკოლაც ძრიელ მოუწყობელია: სკოლა არა აქვთ, აწვიმთ, ხელსაწყო აკ-

ლიათ და სხვა. წინა წლებთან შედარებით ჩვენი სკოლების საქმე დაქვეითებულია; ასახელებენ კავკავისა და ბათუმის სკოლებს. დირექციის სკოლებს თუ შევადარებთ, მაშინ უარესი სურათი დაგვეხატება: დირექციის მასწავლებელიც უფრო უზრუნველყოფილი ჰქვავს და თვით სკოლებიც უკეთ აქვთ მოწყობილი; იქ თითო განყოფილებაში თითო მასწავლებელია, ჩვენ სკოლებში კი მასწავლებელს სამი ან ოთხი განყოფილება აბარია და ამიტომ ნაყოფიერ ნაკლებია.

ამათ ჰასუხი გასცეს **ლ. ბოცვაძემ** და **ალ. მდივანმა**. შემდგარი მოხსენებაა, რომ ვითომც ჩვენს სკოლებს მასწავლებლები გაუზრუნველენ. ერთი იყო მხოლოდ ძაძაძიძე, რომელიც უალაშშიდან წავიდა, ისიც თავის სოფელში, კახეთში, გადავიდა. წინააღმდეგ, დირექციიდან გადმოდიან ჩვენთან, რადგან ჩვენთან ზნეობრივად უფრო დაკმაყოფილებულნი არიან. დაბეჭდვით შეგვიძლიან ვადვიაროთ, რომ **წ. კ. საზოგადოების** სკოლების მდგომარეობა უმჯობესდება; მაგალითები: უალაშის სკოლისთვის ახალი სახლი ავაგეთ, მასწავლებლებს ჯამაგირს ვუმატებთ, სკოლებს ხელსაწყო ნივთებს შეძლების დაგვარად ვუბზავთ და სხვა. ასე რომ ყოფილად შეუძლებელია ჩვენი სკოლების შესახებ იმ დასკვნას დადგეს ვინმე, რაც სარევიზიო კომისიას უნებებია. არც ბათუმისა და არც კავკავის სკოლა არ არიან ისეთ მდგომარეობაში, როგორცაღაც ბატონნი დ. დემბაძე და ან. ლუღაძე ფიქრობენ.

შემდეგ გამოითქვა სურვილი—სკოლების გახსნის დროს მეტი უურადლება მიექცეს ისეთ ადგილებს, სადაც ქართულ ენას საფრთხე მოელოს, როგორც, მაგალითად, სამეგრელო, სანგილო და ბორჩალოს მაზრა.

სანგილოში თუ სკოლა გაიხსნება, უნდა გაიხსნას არა დაბა კახში, არამედ სხვა სოფელში, სადაც სკოლაზე და მის საჭიროებაზე წარმოდგენაც კი არა აქვთ. ბათუმის სკოლა მანკადაინებისთვის არის დაარსებული, მაგრამ იქ მხოლოდ 11 მანკადაინი მოწაფეა, ასე რომ ბათუმის სკოლა თავის ზირდაზირ დანიშნულებას ვერ ასრულებს. ამიტომ ემჯობესი იქნება იგი გადატანილ იქმნას სხვა უფრო მოხერხებულ ადგილას.

გამოითქვა აგრეთვე სურვილი, რომ თუ გამოკობა სკოლას გახსნის, ის აღარ დაჰკეტოს, რადგან ამით სახელი უტყდება **წ. კ. საზოგადოებას**. ბასის შემდეგ ეს ნაწილი ანგარიშის დამტკიცებულ იქმნა.

3. ბიბლიოთეკები.

გამოითქვა სურვილი, რომ **წ. კ. საზოგადოების** ბიბლიოთეკებმა მეტი უურადლება მიექციონ ქართული წიგნისა და უურნალ-გაზეთების შესახებ, თორემ ახლა ზოგიერთ ბიბლიოთეკაში ქართული წიგნები ძრიელ ნაკლებად არის.

4. წიგნთ-საცავი და მუზეუმი.

დ. ხარტიშვილმა იკითხა, რატომ სისტემატიური კატალოგი არ არის შედგენილი რუსული წიგნებისა და იმ ქართულ გამოცემათა, რომლებიც უკანასკნელ წლებში იქნა შექმნილი. გამოკობას უსაყვედურა 8 ოქროს ფულისა და საბურნუთეს დაკარგვა, დაუდევრობას მიაწერა ეს მოვლენა და მოითხოვა ჰასუხი, თუ ვინ არის დამნაშავე. ამასთანავე წინადადება შემოიტანა მთელი ქონება მუზეუმ-წიგნთ-საცავისა შემოწმებულ იქმნას დავთრებთან.

გამკობის წევრმა **დ. კარიჭაშვილმა**, რომელსაც საზოგადოების მუზეუმი და წიგნთ-საცავი აბარია, განმარტა, რომ ქრონოლოგიური კატალოგი მთელ ქონებას აქვს;

სისტემატიური კატალოგიც არის. მხოლოდ ჰეტრიაშიელის ბიბლიოთეკას, მრეწველიშვილ-სა და ჟენევისა და იმ წიგნებს, რომლებიც 1910 წლის შემდეგ იქმნა შეძენილი, არა აქვთ სისტემატიური კატალოგი, რომელიც უთუთ იქნება შედგენილი, მაგრამ ამას დრო უნდა. ამ ჟამად არ არის არც ერთი არქეოლოგიური თუ ნუმიზმატიური ნივთი, რომ ჩაწერილი არ იყოს. ჩვენ გვაქვს დათრები, საიდანაც შეიძლება შემოწმებულ იქმნას ნივთების რაოდენობა.

სარევიზიო კომისიის წევრი დ. ღუმბაძე ამოწმებს, რომ წ.-კ. საზოგადოების მუზეუმი ამ ჟამად სანუგეშო მდგომარეობაშია; მუზეომა გაჩაღებულია და ეგეალაფერი წესრიგშია.

ანკარიშის ეს ნაწილიც დამტკიცებულ იქმნა. სულამის 5 საათზე კრება შესწავლა. კრების გაგრძელება გადაიდო 17 ნოემბრისთვის, კვირას, დილის 11 საათზე.

თავმჯდომარე გ. ყაზბეგი.

კრების მდივნები } გ. ბურჭულაძე.
 } ალ. მიქაბერიძე.

ო ქ მ ი

საზოგადო წევრთა წრებისა 1913 წ 17 გიორ.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ნ. ყაზბეგმა 12 საათზე; დაესწრო 58 წევრი.

წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი, რომელიც შეუსწორებლად დაამტკიცა კრებამ.

თავმჯდომარე: „სარევიზიო კომისია თხოულობს კომისიის დანიშვნას საგურამოს მამულის ვითარების გამოსაკვლევად; გამგეობა თავის მხრივ სიამოვნებით ეგებება ამ წინადადებას. გთხოვთ გამოთქვათ თქვენი აზრი ამ საკითხის შესახებ“.

ნ. ჭრელაშვილის შეკითხვის გამო, თუ რამ აიძულა სარევიზიო კომისია ამ აზრზე დამდგარიყო, დ. ღუმბაძემ, როგორც სარევიზიო კომისიის წევრმა, განმარტა, რომ მათ საქმეები და ანგარიშები გადაშინჯეს, მაგრამ იქიდან ვერ გაიგეს, რა მდგომარეობაშია ახლა საგურამოს მამული. დიდებულ ილიას მამულს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ და რამდენადაც კი შეიძლება გავაუმჯობესოთ. ჩვენ არ ვიცით, საქმე უკეთესობაში შედის თუ უარესდება. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია დაინიშნოს კომისია, რომელიც საქმის გარემოებას დაწვრილებით გამოიკვლევს.

თავმჯდომარე: საგურამოს მამულის მოვლა-პატრონობა აბარია გამგეობის წევრს ალექსანდრე ყიფშიძეს, რომელიც, სამწუხაროდ, ამ ჟამად თბილისში არ არის, რომ ყოველივე განმარტება მოგცეთ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ, როგორც მოგახსენეთ, უარს არა ვართ კომისიის დანიშვნისა.

ვლ. ცაგარეჯის აზრით ახლანდელი მოიჯარადრები მამულისა მეტად შევიწროვებულნი არიან იმ პირობებით, რომელიც მათ საზოგადოებასთან აქვთ დადებული, საჭიროა შეღავათი მიეცეთ. ისინი თვითონაც ცდილობენ საქმის გაუმჯობესებას, რადგან მოვალედ სთვლიან თავიანთ თავს, მაგრამ ბევრი მიზეზია ამის დამბრკოლებელი; განსაკუთრებით ხელს უშლის მათ სარწყავი წყლის მოუწყვრიგებლობა. აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია კომისიის დანიშვნა. კომისია სპეციალისტებისაგან უნდა იქმნას არჩეული; მან დაწვრილებით უნდა გამოიკვლიოს ყველაფერი და მოაწესრიგოს ბაღის, სანერგის და წყლის საქმე.

რ. გაბაშვილი და დ. ვაჩნაძეს პირადათ დაუთვალეობით ეს მამული. მამული გაპარტახებულია, რადგან ჯერ ერთისთვის ჩაუბარებიათ იგი, მერე მეორესთვის და ახლა კიდევ სხვებს აბარიათ. წინანდელი მოიჯარადრენი მამულით მხოლოდ სარგებლობენ და შიგ არაფერს აკეთებდნენ. თუ რამე გაკეთებულა, ისევ ახლანდელს გაუკეთებიათ, და ამიტომ უკვირთ, რას უსაყვედურებს მათ სარევიზიო კომისია. ახლანდელი მოიჯარადრენი მუშაობენ ისე, როგორც უბრალო მუშები; სრულებით არ ეტყობათ, რომ ისინი მოიჯარადრენი არიან. მაგრამ იმათის აუტანელის შრომიდანაც არა გამოდის რა, რადგან ძლიერ ცუდ პირობებში უხდებიათ მოქმედება. ილიას მამულს მოგების თვლით ნუ ვუყურებთ; საჭიროა მოიჯარადრებს მეტი ყურადღებით მოვექცეთ, დახმარება აღმოვუჩინოთ და თუ შესაძლებელია ის ხარჯი, რომელიც ამ მამულზეა გაწერილი, სრულებით მოვსპოთ და ამით შეძლება მივცეთ მამულის გაუმჯობესობისა. შემდეგ მოიჯარადრები ისე მოაწყობენ მამულს, რომ იმისი შემოსავალი ერთ საუკეთესო წყაროთ გადაიქცევა. აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ კომისიის არჩევა სპეციალისტებისაგან. კომისიას დაევალოს საქმის ყოველივე წვლილის გამოკვლევა.

ი. წასტომაშვილის აზრით კარგი იქნება, თუ მამულის მოვლას თვით გამგეობა იკისრებს და იქ ორ-წლიან სამეურნეო კურსებს გახსნის იმ მოწაფეთათვის, რომლებიც სასოფლო სკოლებში კურს ამთავრებენ.

გამგეობის წევრი ფ. შკვლაძე სიამოვნებით ეგებება კომისიის შედგენას, რომელიც გაითვალისწინებს ახლანდელს მდგომარებას, გამოიკვლევს ყველაფერს და გამგეობას დაეხმარება საქმის გაუმჯობესობაში. მხოლოდ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მამულს ბანკის ვალი აწევს და ეს ვალი მამულის შემოსავალმა უნდა გაისტუმროს, რადგან წ.-კ. საზოგადოებას სხვა სახსარი არა აქვს ამისათვის.

თავმჯდომარემ საკითხი გამორკვეულად გამოაცხადა და კენჭი უყარა; ხმის უმეტესობით გადაწყდა კომისიის არჩევა. კომისიის წევრებად აირჩიეს შემდეგი პირნი: ინჟინერი გრ. ქურდიანი და აგრონომი სოლომონ ჩოლოყაშვილი და ინჟინერი იოსებ ვაწაძე.

საგურამოს მამულის შესახებ კამათს მოჰყვა ილიასეული სახლის შესახებ მსჯელობა.

ოლღა ადღაძემ მოითხოვა, საზოგადოებამ გამოთქვას თავისი აზრი, გაიყიდოს ილიასეული სახლი ტფილისში თუ არა. როგორც ვიცით, გამგეობას უსახსრობის გამო არ სურს ეს სახლი წ.-კ. საზოგადოების საკუთრებად შეიძინოს. ამიტომ

საჭიროა დღევანდელმა კრებამ გამოარკვიოს და დახმარება აღმოუჩინოს გამგეობა ამ საკითხის გადაწყვეტაში.

თავმჯდომარე: მამულს აწევს 6000 მანეთი თავნი ვალი, 6000-სივ ზედმეტ გადასახადი (ნედლიმკა). წ.-კ. საზოგადოებას ამ ჟამად შეძლება არა აქვს ასე დაფილიანებული სახლი შეიძინოს; ხოლო თუ ვინმე დაგვეხმარება და შეგვაძლებინებს ჩვენ მადლობელი ვიქნებით. ბანკზე დარჩენილ თბილისის მამულების გამგის ვლადიმერ ვანშაძის განმარტებით, ილიასეულ სახლზე არის თავნი ვალი 6000 მანეთი, ზედმეტი გადასახადი 7000 მან., სულ 13000 მან. სახლი ახლა იძლევა 600 მანეთი შემოსავალს. მაგრამ თუ რიგიანად შევაკეთებთ, შემოსავალი 1200 მანეთამდე ავა. არიან ახლა მყიდველები, რომლებიც იძლევიან 13000 მანეთს. ერთი მყიდველთაგანი პირობასა სდებს, რომ სახლი გადასცეს წ.-კ. საზოგადოებას, როცა კერძო უკანასკნელი მოისურვებს, სწორედ იმ ფასებში, რა ფასშიაც იგი შეიძენს ბანკისაგან.

რ. გაბაშვილის, ი. როსტომაშვილის და ვ. თუმანიშვილის აზრით ჩვენ პრინციპიალურად გადაწყვეტით ილიასეულის სახლის შენარჩუნება. როცა ამ გადაწყვეტილებას ქართველი საზოგადოება გაიგებს, დარწმუნებული იყავით შეძლების და გვარად თავის წვლილს არავინ დაიშურებს ამ საშვილისშვილო საქმისათვის. ბანკსაც ვთხოვთ დახმარება, და თუ კი კერძო კაცებს ბანკი შელავათ აძლევს, მით უფრო მთელს დაწესებულებას მისცემს ამ შელავათს და შეაძლებინებს სახლის დახსნას. სხოლოდ საჭიროა გამგეობამ მეტი მზნეობა და მეტი ფხა გამოიჩინოს.

ვასტანგ ღამბაშიძეს სამარცხვინოდ და დიდ დანაშაულობად მიაჩნია ილიას სახლის ხელიდან გაშვება, რადგან ამით ჩირქი მოეცხობა მთელ ქართველობას. ყოველივე ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს საშვილი-შვილო სირცხვილი თავიდან ავიცილოთ. ჩვენ ყველაფერს წ.-კ. საზოგადოებას ვახვევთ. გამგეობა გვეუბნება სახსარი არა გვაქვს და ამიტომ არ შეგვიძლია სახლის სყიდვაო. უნდა დავიჯეროთ, მეტი რა ღონეა. ამიტომ გავანთავისუფლოთ წ.-კ. საზოგადოება ამ დიდ მოვალეობისაგან, ავარჩიოთ ათი კაცი და დავავალოთ: ყველას მიმართონ, ყველა საცდელი სცადონ, ოღონდ ილიასეული სახლი არ გაიყიდოს. ეს ათი კაცი ეცდება სახლი ძლიერ ხელსაყრელ პირობებში გადაეცეს წ.-კ. საზოგადოებას.

დ. ხაბთაშვილის აზრით უმჯობესი იქნება—მცოდნე პირები ავირჩიოთ და ამათ გამოარკვიონ, თუ რა დანიშნულება მიეცეს თითოეულს მამულს, რომ მეტი სარგებლობა მიიღოს საზოგადოებამ. თუ საგურამოს მამული სამეურნეო საზოგადოებას გადაეცემა, უკეთესი იქნება, რადგან იგი უკეთ მოუვლის მამულს, ვიდრე წ.-კ. საზოგადოება.

ივანე ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ კომისიისაგან არაფერი გამოვა; სახლი კი უთუოდ უნდა გაზოვისყიდოთ, საგურამოს მამულიც და ილიასეული ყვარლის მამულიც უნდა დაეიცვათ. ამას გამგეობა მოახერხებს, ჩვენ სხოლოდ სახსარი დავუსახელოთ; მიცვთ ნება სესხად აიღოს სალიტერატურო ფონდი და სალექსიკონო თანხა და მოახმაროს ამ საქმის მოგვარებას. გარდა ამისა მიმართოს თავად-აზნაურობას, ბანკებს, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს; ესენი არ დაიშურებენ თავის

წვლილს და ჩვეულებრივ დახმარებას არ მოაკლებენ საზოგადოებას. სალიტერატურო ფონდს ხომ მიზნათ აქვს ლიტერატორების დახმარება. ილიას სახლშიც გაიმართოს დაუძღვრებულ ლიტერატორთა თავშესაფარი. ყოველ შემთხვევაში კომისია თუ იმუშავებს, იმუშაოს წ.-კ. საზოგადოებასთან ერთად.

ამ გვარად საკითხი გამოირკვა და თავმჯდომარემ გამოაცხადა ორი წინადადება:

1) „მიენდოს გამგეობას და თორმეტი კაცისაგან შემდგარ კომისიას—გამონახონ საშუალება ილიასეული სახლის შესაძენად თბილისში. ნება მიეცეს გამგეობას უკიდურესს შემთხვევაში სესხად აიღოს და ამ საქმეს მოახმაროს როგორც თვით ილიას სახელობის თანხა, ისე სალიტერატურო და სალექსიკონო“.

და 2) მიენდოს თორმეტი წევრისაგან შემდგარს საგანგებო კომისიას გამონახოს საშუალება ილიასეულის სახლის გამოსასყიდლად“.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა ორივე წინადადებას და თითქმის ერთხმად მიღებულ იქმნა პირველი წინადადება.

კომისიის წევრებად აირჩიეს: 1) ნიკოლოზ მელიქიშვილი, 2) ალექსანდრე დიასამიძე, 3) ვახტანგ მუსხელიშვილი, 4) ვახტანგ ლამბაშიძე, 5) ნიკოლოზ ჯანდიერი, 6) შალვა მესხიშვილი, 7) ვასილ ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი, 8) ივანე ზურაბიშვილი, 9) რევაზ გაბაშვილი, 10) დავით ვაჩნაძე, 11) ივანე ნიკოლაშვილი, 12) მიხეილ სარაჯიშვილი.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას—ვამოსთქვან თავის აზრი წიგნის ვაჭრობის შესახებ.

სიღნაღის განყოფილების წარმომადგენელი ნ. ჯანდიერი აცხადებს, რომ გამგეობა კერძო პირებსა და განყოფილებებს ერთისა და იმავე პირობებით უთმობს წიგნებს. განყოფილებები საერთო შემოსავლიდან 20% იხდიან მთავარი გამგეობის სასარგებლოდ, ასე რომ ჩვენ ზარალში ვართ. კერძო ვაჭრები ქართულ წიგნს სხვათა შორის ჰყიდიან, ისინი არც ისე არიან დაინტერესებულნი ქართული წიგნების გავრცელებით; საჭიროა ამ საქმის მოწესრიგება, საჭიროა განყოფილებებს ყოველ მხრივ უპირატესობა მიეცეთ.

თავმჯდომარე: გამოგზავნეთ განცხადება; გამგეობა გაარჩევს თქვენს წინადადებას და ეცდება, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, დააკმაყოფილოს იგი.

რ. გაბაშვილის აზრით, მაღაზია უსათუოდ უნდა გადატანილ იქნას უფრო მოხერხებულ ალაგას. გამგეობა მუდამ მიზეზებს ასახელებს. მართალია, მიზეზები ბევრია, მაგრამ უნდა მოვიშოროთ ეს მიზეზები. ცხადია, რომ მაღაზია, თუ რიგიან ქუჩაზე გადავიტანეთ, უფრო მეტს მოგვებს მოგვცემს. თუ გამგეობას ჰგონია საზარალოა, ამოვირჩიოთ კომისია და გამოარკვევს.

თავმჯდომარე—ჩვენ საზარალოთ მიგვაჩნია მაღაზიის გადატანა. დაგვიმტკიცეთ ციფირებით, რომ ჩვენ ვსცდებით, მანამ კი ლაპარაკი მეტია.

ამ საგნის შესახებ გაიმართა დიდი კამათი.

ა. ჯაჯანაშვილი, ალ. მდივანი, იოსებ ღორთქიფანიძე და სხვანი ამტკიცებენ, რომ ყოველად შეუძლებელია იმ სახით გადატანა, როგორც ახლა არის, რადგან აუცილებლად ზარალი მოგველის. თუ გადავიტანეთ, მაშინ ვაჭრობა უსათუოდ უნდა გავაფართოვოთ, ამისათვის კი საჭიროა თანხა. თავისუფალი თანხა ჩვენ არ გვაქვს, უნდა ფონდებს მივმართოთ; ხოლო ფონდებიდან სესხის აღება მეტად ძნელი და სახიფათოა.

ბ. ჭრეჭაშვილი, ი. რატიშვილი, დ. ღუმბაძე, დ. ვაჩნაძე და სხვები. მომხრე არიან გადატანის. 15 წელიწადია საზოგადო კრება მალაზიის გადატანს მოითხოვს, მაგრამ გამგეობა არ ასრულებს, ამბობენ ფული არ გვაქვსო. ფული თავისთავად არ მოვა, უნდა ვიშოვნოთ. ჩვენ გვაქვს თანხები; ავიღოთ სესხად, მოვაწყოთ მალაზია და ის გადაიქცევა შემოსავლის ერთ საუკეთესო წყაროდ. შიში უსაფუძვლოა, იგი საქმეს აფერხებს; საჭიროა გაბედულობა. მხოლოდ თავიანი კაცია საჭირო და მოგება უთუოდ გვექნება. ახლა მალაზია ისეთ ადგილას არის, რომ ხალხს ვერ უბოვნი; ქართველი საზოგადოების უმეტესობამ არ იცის, სად იყიდება ქართული წიგნები. ჩვენს მალაზიას მუდმივი მყიდველები ეყოლება, ქართული სკოლები და ქართველი საზოგადოება მას ყურადღებას არ მოაკლებენ, ამიტომ გადატანა სასარგებლოა და აუცილებელი.

ნინო ტყეშელაშვილის აზრით საჭიროა ვებრძოლოთ ცუდი წიგნების გავრცელებას. ამ საკითხს გამგეობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

დ. ხართაშვილის აზრით—გამგეობამ უნდა მონახოს უფრო დასამხარი ადგილი, საცა მუშტარი მოხვდება. აი მაგალითად რკინის გზის სადგურთან; ქართველთა უმრავლესობა იქით არის, მაშინ მალაზია ფართე მასსას მიუახლოვდება და ვაჭრობაც მეტი ექნება.

ექვთიმე თაყაიშვილის აზრით სულ ერთია სადაც უნდა იყოს წიგნის მალაზია, საქმე ამით არ გაუმჯობესდება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გამომცემლობას; განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სახელმძღვანელოები: განსვენებული ი. გოგებაშვილი მარტო თავის სახელმძღვანელოების გამოცემას ეწეოდა და დიდად ფრთხილობდა, რომ მის წიგნებს არ დაეგვიანათ და თავის დროზე ბაზარზე ყოფილიყო გასასყიდათ. გამგეობამაც უნდა დაიქირავოს განსაკუთრებული კაცი და ჩააბაროს გამომცემლობა.

ნინო უიფიანი აცხადებს, რომ ქართულ ოჯახში ქართული წიგნი თითქმის სრულიად არ მოიპოვება. კარგი იქნება დაწესდეს შეღავათიანი პირობები ისე, როგორც ეს „კულტურას“ და სხვა საგამომცემლო ფირმებს აქვთ რუსეთში ხოლმე. მაშინ შესაძლებელი გახდება თვიურად ფულის გადახდა და ეს გარემოება ძლიერ ხელს შეუწყობს ქართული წიგნების გავრცელებას.

თავმჯდომარემ მოსპო კამათი წიგნების ვაჭრობის შესახებ და საკითხი ასე გამოაცხადა: ინებებთ თუ არა ამორჩეულ იქნას კომისია, რომელიც შეისწავლის ამ საკითხს და ციფრებით ხელში დაგვიმტკიცებს, რამდენად სასარგებლოა სხვა ადგილას მალაზიის გადატანა.

14 ხმით წინააღმდეგ 9-სა კრებამ დაადგინა არჩეულ იქმნას კომისია. კომისიაში აირჩიეს ი. ი. ზურაბიშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, დავით ვაჩნაძე და რევაზ გაბაშვილი.

კრება 5 საათზე დამთავრდა. გაგრძელება დაინიშნა 24 ნოემბერს.

თავმჯდომარე გ. ყაზბეგი.

კრების მდივნები } გ. ბურჭულაძე.
 } ალ. მიქაბერიძე.

ო ქ მ ი

საზოგადო წევრთა კრებისა 1913 წ. 24 გიორ.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ნ. ყაზბეგმა 12 საათზე; დაესწრო 50 წევრი.

წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი.

თავმჯდომარე შეეკითხა დამსწრეთ: ღებულობენ ოქმს, თუ სურს ვისმე შესწორების შეტანა.

დ. ხართიშვილმა გამოაცხადა, რომ მან წინა კრებაზე ორი სიტყვა წარმო-სთქვა და არც ერთი ოქმში ისე არ არის შეტანილი, როგორც მან სთქვა. ჩვენი კრების ოქმს ისე აღგენენ, რომ კაცს შეუძლია ნამდვილი წარმოდგენა იქონიოს იმის შესახებ, თუ რა ხდება კრებაზე. მაღაზიის შესახებ სულ სხვა ვსთქვი და არა ის, რაც ოქმშია მოყვანილი.

რ. გაბაშვილი. საყვედურს აცხადებს, რომ რამდენიმეს ნალაპარაკევი შეერთებულად არის ოქმში გადმოცემული და კაცი ვერ გაიგებს, რომ ორატორს რა წარმოუთქვამს, საჭიროა ყველას ნალაპარაკევი ცალკე იყოს ნათქვამი, რომ სხვა და სხვა აზრი ერთმანეთში არ ავრიოთ. საჭიროა აგრეთვე კრების სურათი სრულად იყოს მოყვანილი და არა ისე, როგორც ახლათ: მაგ. ის, რაც გამგეობას უსაყვედურეს ილიასეულ საგურამოს და ტფილისის მამულის შესახებ—ოქმში სულ არ არის.

ი. როსტომაშვილმა და ვლ. ცაგარელმაც გამოაცხადეს, რომ არც მათი სიტყვის შინაარსია ნამდვილად გადმოცემული.

თავმჯდომარემ გამოაცხადა: ვისაც სურს, წერილობით წარმოადგინოს თავის აზრი და შეტანილი იქნება ოქმში.

თავმჯდომარე: ანგარიშის უკანასკნელი ნაწილი დარჩა დაუმტკიცებელი. აქვს ვისმე რამე სათქმელი ანგარიშის ამ ნაწილის შესახებ თუ არა.

მსურველი არ აღმოჩნდა და ანგარიში დამტკიცებულ იქმნა.

ამის შემდეგ, თანახმად კრების სურვილისა, წაკითხულ იქმნა ინსტრუქცია დ-

ინსტრუქციის შედგენილი კომისიის წევრის ივანე ზურაბიშვილის კერძო აზრი. ბ-ნი ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ ინსტრუქცია ეწინააღმდეგება წესდების მუხლებს და თუ ინსტრუქცი მივიღეთ, მაშინ წესდებაშია უთუოდ შესაფერი ცვლილება უნდა შევიტანოთ.

ამ საკითხმა გამოიწვია ვრცელი კამათი.

თავმჯდომარე მიუთითა წესდების § 15 და აღნიშნა. რომ ეს მუხლი ნებას გადაძლევს მივიღოთ აქ წარმოდგენილი ინსტრუქცია.

ი. როსტომაშვილი. მოიყვანა მაგალითები უცხოეთის ცხოვრებიდან და ამტკიცებდა, რომ ინსტრუქციის შედგენა უნდა ჩაითვალოს წარმატების დღით. თუ სექციების შემოდება განხორციელდა, გამგეობის მოქმედება წინ წავა. საქმე გართულდა, სექციები მინდობილ საქმეს კარგად წაიყვანენ, გამგეობის მოქმედება კი შემაერთებელი ძალა იქნება ყველა სექციებისა.

დ. ხართიშვილის აზრით § 15 წესდებისა ეხება კერძო საქმეებს და არა მუდმივს, ამიტომ უთუოდ საჭირო იქნება წესდების შეცვლა. ახლაც არის სექციები, მაგრამ არა ოფიციალურად. საჭიროა ისეთი პირობები შევქმნათ, რომ ყველას შეეძლოს მუშაობა.

გ. იმნაიშვილს შემცდარად მიაჩნია ზურაბიშვილის აზრით, რომ ვითომც ინსტრუქცია ეწინააღმდეგებოდეს წესდებას. რადგან საქმე გართულდა გამგეობა მართო ვერ შესძლებს რთულ საქმეების გაძღოლას; მისთვის საჭიროა დახმარება და სექციებიც ნამდვილ დახმარებას გაუწევენ. ერთი მოუვლის და გაუძღვება სკოლის საქმეს, მეორე ბიბლიოთეკების, მესამე გამომცემლობას იკისრებს და საქმეც გაიჩარხება: თუ ყველა სექციის დაწესებას არ მიიღებს კრება, ორი სექცია მაინც დაწესდეს: სასკოლო და საგამომცემლო.

დ. დუმბაძე ამბობს, რომ ხარკოვისა და კიევის წ.-კ. სიზოგადოების გამგეობაც სექციებად არიან დაყოფილნი და იმათი საქმეც კარგად მიდის. იქ ამნაირ დაყოფას ნიადაგი აქვს; იქ ფულიც ბევრი აქვთ და თანაგრძნობი მუშაკნიც ბლომად არიან. თუ ჩვენშიაც არიან გულშემატკივარნი და გულით იმუშავებენ, ძლიერ კარგი იქნება დავაწესოთ სექციები და ჩავაბაროთ საქმე. თუ სექციების დაწესება წესდებით არ შეიძლება, კომისიები დავუძახოთ.

ტყლაშაძის აზრით გამგეობა დატვირთულია სხვა და სხვა საქმეებით. სექციების საშუალებით მიეცით ფართო მასსას იშრომონ. თუ არაფერს გააკეთებენ, არას დაგვაკლებენ.

(დასასრული იქნება)



„ს ა ხ ა ლ ხ ო ბ ა ზ ე თ ი“

(წელიწადი მეხუთე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

კაზეთის ფასი დამატებთან: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპიკი. აღრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1914 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ სამ წიგნს: 1) „ქართველი მწერლები“, 2) „უცხოეთის მწერლები“. 3) „სამეცნიერო კრებული“.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჭსუს მიაღოს ფოსტით სამი საპრემია წიგნი.

Тифлисъ; редакция „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

გამოვა 1914 წ. სახმავშილო ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეათე)

ხელის მოწერა მიიღება ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში.

გოლფინის პრესბუტზე ზუბალაშვილის სახლში № 8. და წერაკითხვის გამავრც. საზოგადოების მდარიაში, თაგ.-აზნ. ქარვასლა)

1914 წლის 1-ლ იანვრიდან 1915 წლის 1-ლ იანვრამდე წლიური ხელის-მომწერლებს მიეცემა: მოზრდილთათვის 12 წიგნი 3 მან. მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მან. ნახევარი წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—3 მან.

საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: „მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“, (მრავალი სურათით) გიორგი ანთელიძისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძისა. გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1914 годъ

на газету

„Закавказская Рѣчь“

Годъ изданія шестой.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

въ доставк. на домъ: Въ Тифлисъ Въ провинц.

На годъ 6 руб.—коп. 8 руб.—коп.

„ полгода. . . . 3 руб. 50 коп. 4 р. 50 к.

„ 3 мѣсяца 2 руб. — коп. 2 р. 25 к.

„ 1 мѣсяць. . . . — 70 коп. — 75 к.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакция газ. „Закавказская Рѣчь“ Дворцовая ул., домъ Д. З. Сараджева.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“

Редакторъ Д. М. Думбадзе.

Издатель Э. Д. Горделадзе.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

(წელიწადი მეშვიდე)

1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭ-დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეც-ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მე-ცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი (4 მ.)** მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1914 წ. ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსოს და კომენსკის სურათებს.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველ-კვარტი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რე-დაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან**. **ქუთაისში** ისიდორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას ღ სამტრედიის იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტებს.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская

Гимназія. Л. Г. Бодвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე**.